ეროვნული ბიბლიოთეკა


# ლიტერატურული გაზეთი

№4 (380) 28 თებერვალი - 13 მარტი 2025 გამოდის ორ კვირაში ერთხელ, პარასკეობით ფასი 80 თეთრი


მანანა ჩიტიშვილი

* * *

ცხრა სიცოცხლეს
გასწვდებოდა,
დრომ რაც
ჯავრი დამასია,
დარდსა ვჭრი და
დარდსა ვკერავ,
მარხვაა თუ ნამაზია.
არ მაღირსა ხატაური,
სელი მაქვს და ბამბაზია,
სამყოფელად ქოხი მომცა,
სხვათა — ციხე-დარბაზია.
თუმცა ბედის უბადობით
კარი ბევრჯერ ჩამრაზვია,
ჩემი სული ჯერაც ისევ
გაფრენილი გავაზია.
მადლი ვერვინ დამინახა
სულ სხვის ჭირთა თანაზიარს,
ვტირი, თუმცა ეს საწუთრო
ცრემლშიაც კი ლამაზია.

*II-III*

ნინო გუგეშაშვილი

## ანდერგრაუნდი

ბიჭს ერქვა ნოე. ვირთხას ერქვა ლაიამი.

ბიჭი ამ ოციოდე წლის წინ მოვიდა გვირაბში — ერთი-ორი წელი წაიმუშავებდა და მერე რაღაც შეიცვლებოდა, აბა, სულ ასე ხომ არ იქნებოდა.

ვირთხა აქ დახვდა — თბილისის მეტროს დაარსებიდან ამ გვირაბში ცხოვრობდა მისი მამა-პაპა.

ვირთხა ძირძველი გვირაბელი იყო, ნოე — ჩამოსული, საბურთალოდან ჩამოთრეული ჯინსებ და ბოტასებშემოცვეთილი დამწყები პოეტ-მუსიკოსი. ძირძველი გვირაბელობისადმი მოწიწების ნიშნად ნოე ლაიამს ხანდახან „გვირთხასაც" ეძახდა და პურის ნამცეცებზე პატიჟებდა.

როცა ბოლო, გამეჩხერებული მატარებელი ჩაივლიდა და ძილმორეული მეტროპოლიტენის მთქნარებასავით მიილეოდა, დაცარიელებულ გვირაბში აჩრდილები ჩამოდიოდნენ რელსების შესამოწმებლად.

ერთ აჩრდილს ერქვა ლევანა — აჩრდილობის 32-წლიანი სტაჟი ჰქონდა.

მეორე აჩრდილს ერქვა გრიშა — ბოთლიანი აჩრდილი იყო, ამოიღებდა, გადაჰკრავდა და რელსებს გაუყვებოდა. 1997 წელს მეგობარმა აჩრდილებმა აჩუქეს გრიშას დაბადების დღეზე არაყი „საშა" და გვირაბშივე დალოცეს. მას შემდეგ გრიშა ჩამოსასხმელ არაყს ისხამს „საშას" ბოთლში, იქიდან სვამს მეგობრების და ბოთლის პატივსაცემად.

მესამე აჩრდილს ჰქვია ნიკო — მას აჩრდილობის პატარა სტაჟი აქვს, სულ შვიდი წელი, მაგრამ უნივერსიტეტის პროფესორობის სტაჟი აქვს დიდი და ცოტა უცნაური აჩრდილია, წიგნით დადის გვირაბში.

მეოთხე აჩრდილს ჰქვია სიმონა — აჩრდილობის ყველაზე დიდი, 52-წლიანი გამოცდილებით დამძიმებული ჩადის — სად მუშაობ, რომ ჰკითხავენ, მიწაშიო, უპასუხებს. სიმონა ყველაზე პროფესიონალი აჩრდილია, ძაფისოდენა ბზარსაც ვერ გამოაპარებს რელსი და შპალი. მის იმედად დაბორიალობს რელსებზე მთვრალი გრიშა, მერე „საშა"-ჩახუტებული მიიძინებს სადმე რელსებზე. მის იმედად დაგრიალებენ დღისით მატარებლები. სიმონა ყველაზე მშიშარა აჩრდილია — „შემცირების" გაგონებაზე კანკალებს. ხანდახან, როცა გრიშა გაყალბებული „საშას" ყლუპს მოსვამს და ხუმრობის ხასიათზე დადგება, მიეპარება სიმონას და ყურში ჩასძახებს: „შემცირება! შემცირება!"

*IV-VI*



ბესო ხვედელიძე

## სტუმარი

### ფრაგმენტი მომავალი წიგნიდან

— ვაიმე! რას გავხარ, გოგა?! რა მოხდა?!

— დაგვერხა, ნიცა! დაგვერხა!.. სადაა ჩემი რუკზაკი?

— რა ფერი გადევს! რა გჭირს?! რად გინდა რუკზაკი?

— გასაქცევი ვარ, ნიცა!

— სად გასაქცევი?! ამიხსენი, რა ხდება, გოგა?!

— ჩუმად! მეზობლებმა არ გაიგონ!

— მითხარი, გოგა!

— ...ბავშვი გავიტანე!

— რაო?!

— ველოსიპედით შემომასკდა ქუჩაში!.. გადაფრინდა ეგრევე! ბოძს მიეხალა სახით და თავით ჩაერჭო ხრეშში... მაშინვე გადმოვედი... მივედი... სუ სისხლში ცურავდა... არ სუნთქავდა!

— ღმერთო!

— შემეშინდა, ნიცა! წარმოვიდგინე საშინელებები! არავინ იყო ირგვლივ! ჩავჯექი და გამოვიქეცი...

— აუუ... ჩემი მანქანა სადაა?.. იქნებ დაგინახეს?

— არა მგონია!.. მეორე გარაჟშია!.. აგერ შენი მანქანის საბუთები! მერე საბურავები გამოუცვალე. ახლები ხომაა მეორე გარაჟში?! ისინი დაუყენე!.. ძველები გადაყარე სადმე ქალაქგარე სანაგაოზე!

— აუუუუ!.. კი, მაგრამ... სად მოხდა?

— იქ სუ ცარიელი სახლები და აგარაკებია! ჩამილაგე დროზე! უნდა გავიქცე!..

— შენი ბრალი იყო, გოგა?

— რა მნიშვნელობა აქვს, ნიცა?!. უკაცრიელი ქუჩებია ძელდაბაში... არავინ იყო, მეც უცებ შევვარდი მოსახვევში და თურმე ის ზემოდან მოქრის ველოსიპედით!

— ღმერთო! რა უნდა ქნა?.. ეგებ...

— რა ეგებ, ნიცა?! რა ეგებ?! ბავშვის გატანას ვინ მაპატიებს!

— აბა, რა უნდა ქნა?

— ჩამილაგე-მეთქი!.. ციხე და უბედურება მინდა ახლა მე?!

*VIII-IX*

ზაზა ბიბილაშვილი

## პოეზია, დანარჩენი ლიტერატურა, და დანარჩენი

2024

•

ახლახან რამდენიმე ახალგაზრდა პოეტის წიგნების წაკითხვა მომიწია — ყურადღებით, დაკვირვებით, პასუხისმგებლობით.

წავიკითხავდი სუსტ, ზედმეტ, არაფრიდან მოტანილ და არაფრის მომტან სიტყვას ან სტრიქონს, გულში მივმართავდი ავტორს: ეს სუსტია, ზედმეტია, არაფრიდან მოტანილი და არაფრის მომტანია, ამის ნაცვლად ასე და ასე უნდა გექნა, შემდეგში ასე და ასე ჰქენი ხოლმე...

მერე გავიფიქრებდი, იქნებ ეს ყველაფერი, და იქნებ სხვა ყველაფერიც, რაც ამ საქმეში ვიცი, ამ ავტორებს როდისმე, გულში კი არა, სინამდვილეში ვუთხრა-მეთქი.

აი, ასე მახსენდებოდა სინამდვილე, რომელშიც სულ უფრო და უფრო ნაკლები მნიშვნელობა აქვს იმის თქმას, რასაც ახალგაზრდა პოეტებს გულში ვეუბნებოდი.

•

ძველი ბავშვობის დროინდელი „ლექსების" რვეული გადავიკითხე. არ მიშველა იმის ცოდნამ, რომ ის „ლექსები" ბავშვობაში დავწერე. ნეტავ მეცინა და ის საშინელებები არ შემეგრძნო.

და თავს ვინ დადებს, რომ შეუძლებელია ასაკის, გემოვნების, აზროვნების იმ დონის არსებობა, რომელიც ჩვენს სოლიდურ ასაკს, გემოვნებას, აზროვნებას ბავშვის ასაკად, გემოვნებად, აზროვნებად შეისაბამებს? თუნდაც ყველაზე მოხუცი, გემოვნებიანი და მოაზროვნე იყო, რა ვიცით, რომ ეს კონდიცია უკიდურესი საზღვარია? განა უფრო იოლი, ადეკვატური, ჭკვიანური არ არის საპირისპირო შესაძლებლობის დაშვება მაშინ, როცა, ბავშვისგან განსხვავებით, ასე თუ ისე მოხუცი, გემოვნებიანი და მოაზროვნე ხარ და უკვე ძალიან კარგად იცი, რომ ძალიან ბევრი რამე არ იცი?

*X-XI*

ლიტერატურული გაზეთი

28 ᲗᲔᲑᲔᲠᲕᲐᲚᲘ - 13 ᲛᲐᲠᲢᲘ 2025

# მანანა ჩიტიშვილი



## ᲘᲡᲔᲕ ᲘᲡ ᲕᲐᲠ

მცხეთას ჩამოტანილ კვართით,
თბილისს აფრენილი ხოხბით,
ქვას ვკვეთდი და ვჭედდი რკინას,
ვყანობდი და ვვენახობდი.

მუხრანს ვახლდი აშოთანს და
ქსნის ერისთავთ ქსანზე ავყევ,
თმოგვის ციხეს რომ დასჭირდა,
საძირკველში ჩავენაყე.

მე ვამნიფებ გრემში ყურძენს,
გორში ნითლად ვფერავ ატმებს,
შენს საპატრონ-საერთგულოდ
ცხრავე ზეცა ერთად დავთმე.

ვიდიდგორე, ვაამაყე
საქართველოს დროშა სეფე,
ხეკორძულას, ოსტატს — არა,
მკლავი მამულს მომიკვეთეს.

მე მოვქარგე ქართვლი სრულად, —
ვაგვირისტე ვეფხვის ტყავი,
მე ვიყავი ხანძთელი და
ცურტაველიც მე ვიყავი.

ხმელეთზე ხომ მგლის ლეკვს ვგავარ,
ცაში ვედარები ქორებს,
სისხლით ბევრჯერ დანანრეტმა
ვიბასიან-ვიშამქორე.

ვერცროს სული გავიყიდე,
ბევრჯერ მევნო თუმცა ბედი,
იმ შირაზში, იმ კოცონზე
უპერანგოდ მე ავედი.

აქა ვარ და ისევ ის ვარ,
რაც ვიყავი უწინ, ადრე,
საგზლად მარადისობისთვის
შოთას წიგნი მოვინაგრე.

მცხეთას ჩამოტანილ კვართით,
თბილისს აფრენილი ხოხბით,
ქვას ვკვეთდი და ვჭედდი რკინას,
ვყანობდი და ვვენახობდი.

## ᲑᲐᲕᲨᲕᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲨᲘ

ვერ დაფარული დარდი და სევდა,
ტანთ — გაუხდელი სამოსი თალხი,
აღარც მამაა და აღარც დედა,
მარტოდენ ჩემი ბავშვობის სახლი.
სხვენზე ძველ ვარცლს და
სადღობელს სძინავთ,
როგორ არ დამცდეს საწუთროს ძვირი...
წვიმს, გატეხილი სარკმელის მინა
უჩუმარ ცრემლით მოთქვამს და ტირის.

მაინც როდიდან, ან რომელ დროდან
მოშრება თვალი, ცრემლებით სველი...
კუთხეში, უწინ დედა რომ ქსოვდა,
ახლა ობობას გაუბამს ქსელი.

## ᲐᲠ ᲓᲐᲛᲐᲕᲘᲬᲧᲝᲡ

ედება თვალებს
დაღლილობის თრთოლა და თენთი
და თუმც საწუთროს
სრბოლას მივდევ ჯერაც ისევე,
უკვე ბევრი რამ,
სანუკვარი რაც იყო ჩემთვის,
გადავივიწყე,
ან ძალიან ძნელად ვიხსენებ.

ვითა მრავალი,
წუთისოფლის დალმართს მივყვები,
ირღვევა ჩემი აზრისა და
სიფხიზლის ზღუდე
და იმდაგვარად მიფრინავენ
ჩემგან სიტყვები,
ვით გადამფრენი ფრინველები
ტოვებენ ბუდეს.

და ვიდრე ბინდი ამომივსებს
თვალებს გახელილს,
მხოლოდ ერთს შევთხოვ უზენაესს,
ცად მორჭმით მჯდომარს,
არ ამომიგდოს გონებიდან
დედის სახელი,
არ დამავიწყოს,
რუსთაველის პატრონი რომ ვარ.

## ᲘᲡᲔ ᲗᲝᲕᲡ

არეს ჯერ ფერი დაედო მრეში,
მთებზე ჩამოწვა ნისლების გროვა
და განთიადის წყნარ სიმშვიდეში
ასევე წყნარად დაიწყო თოვა.

განათუ ბამბის ბარდანა გასკდა,
ან გვირილები მოთიბეს შლილი,
ისე თოვს,
თითქოს სუყველა ვარსკვლავს
ერთად შეაწყდა სუყველა ლილი.

## ᲡᲣᲚ ᲔᲠᲗ ᲪᲠᲔᲛᲚᲨᲘ

ეს საწუთრო, ვითომ ტკბილი,
მაინც შხამად დალეული,
დიდ-პატარა, ერი, ბერი,
ერთურთს სამტროდ დარეული.
აღარც კრძალვა მანდილისა,
აღარც მიწა, მამეული,
არსად სახნის-საკვეთელი,
ნაოში და ანეული.
ცოდვისა და მადლის მქნელი
ერთმანეთში არეული,
ვითომ ყველა მართალი და
მაინც ყველა ბრალეული.
დღე უმზეო, უამური,
ღამე ველარ გათეული
და ზღვა სიმწრის —
სულ ერთადერთ
ობოლ ცრემლში ჩატეული.

## ᲧᲐᲛᲐᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲚᲔᲥᲡᲘᲡᲗᲕᲘᲡ

კოშკი რომ ზეცის თაღს გიდგას,
ნაკლებს არც ჩემი კამარობს,
გიჭედეს ცხრათა მჭედელთა,
მე ლექსის დავდგი, ყამარო.
ხან წვიმის ცრემლი ასველებს,
ხან ცისკრისფერად მარმარობს,
სხვის უარესი რითი ხარ,
ჩემი ლექსების ჯავარო.
არც მამა ღრუბელთ-ბატონობს,
არც დედა მეფე-თამარობს,
არც მე ვზი სავაზიროსა,
არცვის ბედნავსი ყმა ვარო.
ერში ერობას ვიქამ და
ლექსის წერის დროს სხვა ვარო,
ბევრჯერ სულ-ხორცით მკვნესარი
მას ჟამს მღელვარი ზღვა ვარო.
ბობოქარობდეს მორევი,
სტრიქონს დავკრავ და გავალო,
მინდა, ცვრად მინდორს შევშრები,
მინდა, ზეცაში ავალო.

## ᲣᲓᲐᲑᲜᲝᲔᲗᲘ

თითქოსდა ეს მზეც ძველებურად
არ დუღს და მწველობს,
ღრუბლის ჩრდილები გაწოლილან
გაღმა ახომდე,
მე აღარ მინდა,
შენზე ისევ ლექსები ვწერო,
ანდა მაგ თვალთა
უარაფრო მზერა მახსოვდეს.

იმდენჯერ მევნო ადრიდანვე
დრო უნდობარი,
იმდენჯერ ჩამწვა
ცხელი ცრემლის ღვარით სახე და
ბედი, ვითომდა
ჩემ კართან რომ იყო მომდგარი,
სულ სხვა კარებებს,
მერე სულ სხვა ჭიშკრებს აღებდა.

ხშირმა წვიმებმა
ლელიანი უკვე აჩალეს,
ვფიქრობ და შენში
ახლა ისე ხშირად ვეჭვდები...
ჩემს ბაგეებზე
რა ხანია, უკვე წავშალე
სუყველა კოცნის
შენეული ანაბეჭდები.

ზოგჯერ შემაკრთობს
ქარიშხლების მიეთ-მოეთი,
გავყურებ შენს გზას,
ასე შორს და ასე ლოდიანს
და თვალთა ჩემთა
უსასრულო უდაბნოეთში
ცრემლების მძიმე ქარავნები
მიდი-მოდიან.

## ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲨᲔᲜ ᲣᲬᲧᲘ

*დიმიტრი კორძაიას*

არა მშურს ზეცის,
ვარსკვლავების
რომ ვისმენ სიცილს,
თითქოს ოდესღაც
მეც ამ ცისფერ თაღზე
ვსახლობდი,
თაფლისფერ მინდორს
თაფლისფერი
გადაჭრის კვიცი,
ბედნიერი ვარ
ამ მინდვრებით,
ამ ტყით, ახოთი...
მხოლოდ შენ უწყი,
სახიერო,
მხოლოდ შენ იცი,
„ვეფხისტყაოსნით"
უფალს როგორ
მივუახლოვდი.

## ᲕᲘᲜ ᲓᲐᲛᲐᲪᲐᲚᲐ

ამ წეროებმაც
დამტოვეს ცალად,
უჩემოდ გაჰყვნენ
სივრცეს შორეთის...
მოვედი,
მაგრამ ვინ დამაცალა,
მეცხოვრა მხოლოდ
ჩემი ცხოვრებით.

ვერცარა ავი ვერ ავიცილე
და არც ფერადი
სიზმრები ახდა...
სულ სხვისთვის იყო
ყველა სიცილი,
ჩემი მარტოდენ
ტირილი გახლდათ.

დრო დავიწყების
ბურუსში გვმალავს
და ქარებს მიაქვთ
ოქრო და ლალი
და ფერმკრთალდება
არლუნის ჭალა,
ვით მომლოდინე
თვალები ქალის.

## ᲨᲔᲛᲝᲓᲒᲝᲛᲘᲡ ᲓᲦᲔ

ისე ვწერ,
თითქოს ვიმზადებ საგზალს,
ხვალის დღე მაინც
რომ მქონდეს მშვიდი,
არ ვიცი,
საით მივყავარ ამ გზას,
ან ეს ბილიკი
საითკენ მიდის.

სად არის
ჩემი ყოფნის ნაპირი,
სად ვნახავ მინდვრებს,
მზით დაისრულებს,
თუ გახსოვს,
რამდენ რამეს დამპირდი
და რომ არც ერთი
არ ამისრულე.

ვარდი მსურდა და
ნარი შევკონე,
გზა თუ აებნათ
ბინდში ამ თვალებს..
რა სხვანაირი
ვინმე მეგონე,
როგორ სულ სხვაგვარ
ვინმედ ჩაგთვალე.

მზის სხივი ადგა
ჩემს ცარგვალს ერთ დროს,
თუმც ახლა
ცრიატ დღეებს დავები...
და შემოდგომის
თრიმლიან ფერდობს
მისძოვენ
ნისლის თეთრი კრავები.

* * *

რა ლამაზია დიაცი,
ამოუჩნდება უბე რო...
სახლი უკაცო არ ვარგა,
არც მონასტერი — უბერო,
ვერ მოაწონებ
ზოგს ვერას,
რაც უნდა
სული უბერო.

## ᲡᲘᲧᲕᲐᲠᲣᲚᲡᲐ ᲓᲐ ᲬᲘᲗᲔᲚ ᲕᲐᲠᲓᲔᲑᲖᲔ

რანაირ სევდით
გავყურებთ წარსულს,
ჩავლილ დღეებს და
ჩამქრალ იმედებს,
ხომ არის ვილაც,
ჩვენად რომ არ გვსურს,
მაგრამ სხვისთვისაც
რომ ვერ ვიმეტებთ.

ბედი ბევრს უცხო
ნაპირზე რიყავს,
ბუდეს დამკვიდარიც
მახსოვს ნიბლია,
ზოგჯერ გგონია,
რომ აღარ გიყვარს,
თუმც უმისობაც
არ შეგიძლია.

ნეტავ ეს შაშვი
საით მაქეზებს,
ვის უძღვნის ღვთიურ
ჰანგსა და ბგერებს?!
სიყვარულსა და
წითელ ვარდებზე
დღეს პოეტები
ლექსს აღარ წერენ.

არც ოდებსა და
აღარც ბალადებს,
სულმა ზეცისკენ
როგორ იალოს?
და სიყვარული,
ჩვენ რომ გავაგდეთ,
დღეს ქუჩა-ქუჩა
დახეტიალობს.

გადაეყრები გზად
ზოგჯერ ავსულს,
მალვით მოშურნის
თვალით რომ გიმზერს,
რარიგ მძიმეა,
წასვლა რომ არ გსურს
და ვერც დარჩენის
ვერ ხედავ მიზეზს.

მიყვარს ცა,
უფლის თვალივით მშვიდი,
ფიფქს — ანგელოზთა
ცრემლს რომ გვათოვებს
და კიდევ კაცი,
ისე რომ მიდის,
უკან ტყუილს და
ღალატს არ ტოვებს.

ყველაფერს ალბათ
ვერ იტყვის ენა,
ხან — მოალერსე,
ხანაც — მგმობელი,
ზოგის მოსვლისთვის
მუხლს ვუყრით ზენას,
ზოგის — წასვლისთვის
ვართ მადლობელი.

* * *

არ ენდო სოფლის
ჭორს და გზა-ხიდებს,
არც — ბაგეს,
რაც უნდ ეშხით გიცინოს,
არის ჟამი, რომ
უნდა ნახვიდე,
თუ გინდა,
სული გადაირჩინო.

ღამეს სიცივე
მოაქვს სატევრის
და კარგად ვიცი,
რის თქმა და
რა სურს
და სიყვარული,
ნალალატევი,
წინოლასავით
ჰკიდია წარსულს.

**სიყვარულის მდინარემა**

*ქალო, შენი თეთრი კაბა*
*წყალს მიჰქონდა მდინარესა.*
ხალხური

წაიყოლა თეთრი კაბა
წყალმა, ჩამომდინარემა,
ეგებ კიდეც მაკოცე და
ვერა ვიგრძენ მძინარემა.
იქნებ ბაგემ არ დაიტყო,
თვალსუჩუმრად მღიმარემა,
არც რა უბემ შეიმჩნია,
საკინძჩახსნით მჩინარემა.
მერამდენედ მიმტრო ბედმა,
ავის მოუწყინარემა,
გულმა იგრძნო ორგულობა,
თვალზე უფრო წინარემან.
მინდობილი განგიშორა
ღალატმოუხდინარემა,
მზის ამოსვლას
მოსვლა ჰგავდა,
ჯვარცმას — გაუჩინარება.
დრო კი თავის წესზე ქროდა,
ვითა არვე, გინა — რემა,
როგორ მღვრიედ ჩაგვიარა
სიყვარულის მდინარემა.

**ნოემბრის ქარში**

დგას ნოემბერი,
ცას წვიმების მძივი მოება,
გადაგივიწყე სამუდამოდ,
განა დროებით,
შენ ახლა ალბათ
ჩემი ლექსიც გეუცხოვება,
როგორც ხსოვნაში ჩარჩენილი
მეუცხოვები.

შემჭკნარ ბალახებს
წვიმის წვეთი ვერცხლისფრად ქარგავს,
გაიშვიათდა თბილი მზე და
კარგი დარები,
ძველ ყრუანტელს და ძველ ოცნებებს
თანდათან ვკარგავ,
დამდგარა ჟამი სიმარტოვის
და მდუმარების.

აღარ მსურს, ფიქრმა
ავად ჩავლილ წარსულს მიმგვაროს,
არ დაილევრება ჩემს ლოცვაზე
ზეცა წყალობად...
ჩემი ლექსების იადონი
აღარ გიგალობს,
თუმც ვერც მიუხვდი,
ან აქამდე რას გიგალობდა.

აღარ ვკითხულობ
არც შენს გზა-კვალს
თუნდა შორიდან,
არც შენი ლანდი
ჩემს სიზმრებთან
ღამეს არ ათევს...
ნოემბრის ქარი
ჭადრის ყვითელ
ფოთლებს მომიტანს,
ვით მიჯნურისგან
გამოგზავნილ
ძვირფას ბარათებს.

**ზამთრის ეს დილა**

ზამთრის ეს დილაც
ძველებურ ბრიყვობს,
ცა მოიჭორფლა
შავი ჭილყვავით,
აღარც ის,
შენი ღირსი ვინც იყო,
არც — ის,
შენ რისი ღირსიც იყავი.

გრძელდება
მძიმე ცხოვრების დრამა,
შენმა სავალმაც
როდი ივარდა, —
თუ რამ გიყვარდა,
წალეკა ჟამმა,
ის დარჩა მხოლოდ,
რაც არ გიყვარდა.

ჯავრის ბეგთარი
ვინლა აგყაროს,
ან ვინ გიბოძოს
ფრთები ამურის,
გადასხვაფერდა
თითქოს სამყარო,
გაგვიუცხოვდა
თითქოს მამული.

შეცვალა ყოვლი
მტრობამ და ქიშპმა,
კაენი ინყებს
ავად ხეტიალს...
ხან უთქმელობა
თუ ღალატს ნიშნავს,
ზოგჯერ თქმა
ბევრად უფრო მეტია.

როგორ გასცდები
ყოფნის არეალს,
შორს ვარსკვლავების
ბრწყინავს ჯაგანი
და აღარ იცი,
ცაზე მთვარეა,
თუ მოქნეული
იატაგანი.

ზამთრის ეს დილაც
ძველებურ ბრიყვობს,
ცა მოიჭორფლა
შავი ჭილყვავით...
აღარც ის,
შენი ღირსი ვინც იყო,
არც — ის,
შენ რისი ღირსიც იყავი.

* * *

მოთელავს ქარი
ღრუბელთა თექას,
მყინვარი — ცის და
მიწის ტიხარი...
რამდენი რამე
მინდოდა მეთქვა
და სულ ორიოდ
სიტყვა გითხარი.

წამიხდა ლექსის
შნო და ჯავარი
ტრფიალის ცეცხლით
ნათიბს და ნაჩალს,
ნეტავ რა იყო
შენთვის მთავარი,
რაც ვთქვი,
თუ ის, რაც
უთქმელი დამრჩა.

**ჩვენ შორის**

ყველა ოცნება
გამომიკეტე,
ჩვენ შორის
ყინვის ჩადგი მინები,
ხომ ისარგებლე
ჩემი სიკეთით,
ჩემი დუმილით
და მოთმინებით.

ცაო, შენ რისლა
იყავ მდომელი,
საით მიგყავდით
ნეტავ, გზებო და
რად მიმაყენეთ
კარებს, რომელიც
ჩემთვის არასდროს
გაიღებოდა.

მაკრთობდა
ჩუმი გოდება ხეთა,
წამწამს გეკიდა
ცრემლი, ბალახო...
რამდენჯერ უნდა
მოვუკვდე ჩემ თავს
და გული
ჯავრის ფსკერზე
დავმარხო.

ფანჯრის მინებზე
ყინული-ბროლი,
ტყეზე მიგელავს
ქარის იაბო,
ჩუმი ჩურჩულით
ჩამოდის თოვლი
და ისიც თითქოს
შენზე მიამბობს.

ვინ შემარჩენდა
ყოფნას ინახად,
ჟამი გამეცრა
ხელში ქვიშადა,
მე რა ვიცოდი,
სიტყვა „მიყვარხარ",
ზოგჯერ არაფერს
თუ არ ნიშნავდა.

ყველა ოცნება
გამომიკეტე,
ჩვენ შორის
ყინვის ჩადგი მინები,
ხომ ისარგებლე
ჩემი სიკეთით,
ჩემი დუმილით
და მოთმინებით.

* * *

სანუთრო — ჭრელი,
ამნაირი არცრა მინახავს,
ცრუ და ამაო,
გაბნეული ქარში ნაცარი...
შენ კი არ მიხვალ,
თურმე მუდამ
იმას მიჰყავხარ,
შენი კითხული
არც ყოფილა
გზა და არც არი.

მზე აფრინდება ხოხობივით
მცხეთის გორიდან
და წამიერად შეიცვლება
არე მთლიანად...
რაც არა მსურდა,
იგი როგორ ადრე მოვიდა
და რაც მინდოდა,
რანაირად დააგვიანა.

**სიკვდილის მერე**

ქართლის მინდვრების
ყაყაჩო შლილი,
რკონის ტყეების
გრილი მყუდრო და
თვალზე თუ მადგა
ცრემლები წყვილი,
ერთი ყოველთვის
შენ გეკუთვნოდა.

გულს შენი ტრფობის
ზლუდე მოერტყა,
რაც ვწერე,
შენზე მოდარდემ ვწერე...
სხვას არაფერს გთხოვ,
ოღონდ პოეტად
დამტოვე
ჩემი სიკვდილის მერე.



## ანდერგრაუნდი

დასაწყისი პირველ გვერდზე

და აჩრდილი სიმონა კანკალს იწყებს.

სულ პირველად გვირაბში ჩასვლის წინ ნოეს თავს დაადგნენ ბრიგადის სტაჟიანი აჩრდილები საოსტატოში და უთხრეს:

— აქ რამ მოგიყვანა, ახალგაზრდა ბიჭი ხარ, ვარსკვლავები გცვივა თვალებიდან.

— ძალიან მჭირდება სამსახური, ცოლი მოვიყვანე, ბინას ვქირაობ...

— რა გეჩქარებოდა ცოლის მოყვანა?

— ძალიან მიყვარს.

— მერე, ამ გვირაბიდან როგორ უნდა არჩინო? წადი, სხვა რამე ნახე.

— სხვა ვერაფერი ვნახე, ესეც მამაჩემის ძმაკაცმა მიშოვა.

— ეე, ჩვენ რო გვიყურებ, სულ ასეთი აჩრდილები კი არ ვიყავით... წადი, დროზე წადი აქედან, სანამ შენც აჩრდილად იქცევი.

— ერთი-ორი წელი ვიქნები და მერე რამე შეიცვლება. მაგარი როკ-ბენდი მყავს, ჩემი ცოლი ძალიან კარგი მხატვარია.

— ეეე, ბენდი და მხატვარიო! რა დრო იყო, ჩვენც ვუკრავდით და ვხატავდით, ლექსებსაც ვწერდით... — გაიცინეს აჩრდილებმა და ნოეს დეფექტოსკოპი ჩააბარეს.

ნოე სწრაფი იყო და ძალიან ჯანმრთელი, ხალისიანი. სირბილით დააგორებდა დეფექტოსკოპს რელსებზე. ზურგზე გიტარა ეკიდა. შესვენებისას ჩამოჯდებოდა ბეტონის „ბანკეტკაზე", გიტარის კეისის ჯიბიდან პურის ამოღებასაც არ აცლიდა ვირთხა ლაიამი, უცებ გამოცინცილდებოდა.

ნოე უკრავდა ლენონს, მორისონს, კობეინს, დილანს და ჰენდრიქსს. ლაიამი პურის ნამცეცებს ჭამდა და განსაკუთრებულ სიმპათიებს არცერთი მუსიკის მიმართ არ გამოხატავდა. გულში კი ფიქრობდა, რომ მორისონი და ჰენდრიქსი უფრო გვირაბულად ჟღერდა, ლენონი უფრო განათებულ სადგურს მოუხდებოდა, დილანი — საოსტატოს ან სარელეოს, კობეინი — ავტოკატასტროფას.

ერთ დღეს ნოემ თავისი საკუთარი სიმღერაც შეაპარა ვირთხას — ლაიამმა თავი ასწია, ჰაერი დაყნოსა და ისევ ნამცეცებს მიუბრუნდა.

რადგან ლაიამს საბოლოოდ არ გაუფუჭდა მადა, ნოემ თავისი მეორე სიმღერაც მიაყოლა და ამის შემდეგ ლაიამი ნოეს რეპერტუარის შეთქმული მსმენელი გახდა.

უკრავდა ნოე, ჭამდა გვირთხა, შორს, გვირაბის მილევად ბინდ-ბუნდში გაიელვებდნენ აჩრდილები, გრიშა — ბოთლით, ნიკო — წიგნით, სიმონა — შემცირების კანკალით... მიიმალებოდნენ...

თითქმის ყოველდღე მოჰყვებოდა ნოეს გვირაბში ძმაკაცი პავლე, ჯგუფის ბასისტი — უკრავდნენ, ლამის 24 საათი უკრავდნენ მაშინ, მერე ლაპარაკობდნენ, არჩევდნენ აკორდებს, ერთმანეთს ვერ შორდებოდნენ.

გვირაბის აჩრდილებმა პავლეც ისე ჩაიამხანაგეს, დღეს რატომ აცდენსო, იკითხავდნენ ხოლმე, როცა გვირაბის შემოწმების შემდეგ საოსტატოში შეიკრიბებოდნენ და იქ პავლე არ დახვდებოდათ.

ნოე და პავლე სწრაფად მოირბენდნენ უბანს, რომელიც იმ ღამეს უნდა შეემოწმებინათ, გადაარიხინებდნენ დეფექტოსკოპს რელსებზე, მერე ჩამოსხდებოდნენ გვირაბში „ბანკეტკაზე" და უკრავდნენ. გვირთხა ჭამდა.

ნეტა ახლა ბადრიც აქ იყოსო, მესამე ძმაკაცზე ამბობდნენ — გვირთხაც მოწმეა. დრამერი ბადრი ვერ ჩაიტყუეს გვირაბში.

მოდი, ეს იყოს ბადრიო, მაინც სულ ჩვენთანააო, პავლემ თქვა, და ვირთხას ბადრი დაარქვეს.

დღისით მიტინგებზე დადიოდნენ, საღამოს რეპეტიციაზე, ღამით — გვირაბში.

ბადრი ვერც მიტინგებზე გაიტყუეს — მოგცლიათ ერთი, ნეტა თქვენო, ბადრი ამბობდა, მიტინგებზე ყველა ანგარებით დადის, მარტო თქვენ დადიხართ არიფი პატრიოტებივით და ყველა თქვენნაირი არიფი გგონიათო.

მიტინგებზე ჩუმად იდგნენ, არავის სახელს ყვიროდნენ — უბრალოდ, გრძნობდნენ, რომ რაღაც აუცილებლად უნდა შეცვლილიყო, და დადიოდნენ.

კონცერტებზე არ აკვრევინებდნენ ორგანიზატორები — გაალაითეთ ცოტა, ძალიან პირქუში ტექსტები და ჟღერადობა გაქვთო.



ნინო გუგეშაშვილი

რადიოში არ ატრიალებდნენ — ჩვენს ფორმატში არ ჯდება, გაალაითეთ ცოტაო.

თქვენი ძალად ბედნიერი და შალახო დედაცო, იგინებოდა პავლე.

მორისონისთვის რო ეგრე ეთქვათ, გაალაითეო, რას დაუკრავდა, ფანოლებსო?

ბადრი სულ უფრო იშვიათად მოდიოდა რეპეტიციებზე. ერთ დღეს დაურეკა პავლეს და კოსტიუმი სთხოვა, რაღაც ისეთ საქმეზე მიდიოდა, რომ კოსტიუმი სჭირდებოდა. პავლეს ჰქონდა სკოლის გამოსაშვები საღამოსთვის ნაყიდი კოსტიუმი, სულ შენი იყოსო, მისცა, მე რა ჩემ ფეხებად მინდა კოსტიუმიო.

— ცოტაც და რამე შეიცვლება, — ანუგეშებდა ცოლი ნოეს და ისევ სამი წლის წინ ნაყიდ კაბებს იცვამდა. კაბები ისევ ისე უხდებოდა.

შეიცვლება, აბა, სულ ასე ხომ არ იქნება!

მართლა შეიცვალა — მალე ახალი მთავრობა მოვიდა და აჩრდილებს დილის 6 საათამდე გვირაბიდან ამოსვლა აუკრძალეს.

არ დაგინახოთ დასხდეთ, წამოწვეთ ან საოსტატოში შეიკრიბოთ და დომინო ითამაშოთო.

ხელფასი კაპიკითაც არ მოუმატეს.

მაგრამ ნოემ შავი გასასვლელები ზეპირად იცოდა — იმუშავებდა, დაუკრავდა, გვირთხას აჭმევდა და მერე შავი გასასვლელებით მიდიოდა, ღამის 3-4 საათისთვის ბრუნდებოდა სახლში. ცოლი ელოდა, ხატავდა.

იმ დღეებში ბადრი სულ გაქრა და, როცა ბიჭებმა დაურეკეს, მერიაში დავიწყე მუშაობა კულტურის სამსახურშიო.

ვააბ, შეჩემა, როდის და ვისთან იჩალიჩეო? — გაუხარდათ ბიჭებს, მიულოცეს.

რა ვიჩალიჩე, ვაკანსია იყო და კონკურსში გავიმარჯვეო, ბადრიმ.

განყდნენ ბიჭები სიცილით — ნეტა რაში იყო კონკურსი, ბლუყუნში თუ ხინკლის ჭამაში და სლოკინშიო? მართლა ასეთი იყო ბადრი: ხინკალს ჭამდა კარგად, სლოკინებდა და ბლუყუნებდა. მაგრამ მისი ბლუყუნიც უყვარდათ ბიჭებს — ადრე სკოლიდან ერთად ბრუნდებოდნენ, ერთად აგროვებდნენ ნაწილებს მისი დრამისთვის, ერთად ოცნებობდნენ იმ დროზე, როცა გახდებოდნენ ისეთივე „სთარები", როგორებსაც თავიანთ ოთახებში გამოკრულ პლაკატებზე ხედავდნენ, ერთად სჯეროდათ, რომ ეს დრო მალე დადგებოდა.

ცოტა ხნის მერე ბადრის კიდევ დაურეკეს. იმან ჰკითხა, რას შვრებით, ისევ უკრავთო?

რას ჰქვია, ისევ ვუკრავთ? ახლა ვიწყებთო, ამათ უპასუხეს.

გაალაითეთ ცოტა, აი, ბრიტნი სპირსის პონტში დაუკარითო, ურჩია ბადრიმ.

შენ ხო არ გძმარავსო, ნოემ უთხრა, რა გალაითდა, ცხოვრება გალაითდა თუ რა გალაითდა, მე რომ გავალაითოო?

— აბა, ეგრე არავინ არ მოგისმენთ, ძმაო, ქართველს უნდა ჩახუტება და სიყვარული, როკიც უნდა იყოს ჩახუტების და სიყვარულის. საქეიფო როკი გვინდა ჩვენ!

— ჰო, ოცი წელია, ოდენ ჩახუტებას და სიყვარულსა ვჭვრეტთ, არ გაიპარო ჩახუტების კაიფში, — შეუღრინა ნოემ.

— არა უშავს, მალე ნელ-ნელა მიდგომები შეიცვლება, — ცოლმა თქვა. ერთი დღის წინ მისი პირველი ნახატი გაიყიდა 30 ლარად.

შეიცვლება, აბა, სულ ასე ხომ არ იქნება!

მალე მართლა შეიცვალა — ისევ ახალი მთავრობა მოვიდა და გვირაბების შავი გასასვლელებიც ამოქოლა. ყველაზე პროფესიონალი აჩრდილი სიმონა შეამცირა. აკი აკანკალებდა სიმონას „შემცირების" გაგონებაზე.

ახლა ლანდები დილის ექვს საათამდე გვირაბში დაბორიალობდნენ, თუმცა საქმეს 3-4 საათისთვის ამთავრებდნენ. მერე უბრალოდ ისხდნენ და თვლემდნენ გვირაბში, რადგან 6 საათამდე ბაქანზე და საოსტატოში ამოსვლაც ეკრძალებოდათ.

ახალმა ბანკებმა ახალი სერვისები შესთავაზეს და ნოემ სამი ბანკის კრედიტი მეოთხე ბანკის უფრო დიდი კრედიტით გადაფარა, ცოტა ხნით ამოისუნთქა.

ტელევიზიით გაიგეს, რომ ბადრი კულტურის სამსახურის უფროსად დანიშნეს.

აჩრდილებს ხელფასი 20 ლარით გაუზარდეს და ერთ ღამეს ჩუმად დალევის უფლება მისცეს — 380 ლარი რომ 400-მდე გაეზრდება ყოველღამ გვირაბში მობორიალე აჩრდილს, უნდა აღნიშნოს, აბა, რა უნდა ქნას? იმ ღამეს აჩრდილებმა გვირაბში იცეკვეს და მოგუდულად იმღერეს კიდევაც. გვირთხა ისე გამოძღა არა მარტო პურის ნამცეცებით, რომ იქვე მიეძინა. ლევანას რომ არ წაეკრა ფეხი და არ გაეღვიძებინა, ალბათ დილის პირველი მატარებელი გაიტანდა. შენლა მაკლდი, გრიშა არ მეყოფოდაო, ლევანამ, რა ყველა ჩემი გასაღვიძებელია, რაც სიმონა წავიდაო.

ბიჭებმა ბანკის ვალები ისევ ახალი, უფრო დიდი ვალებით გადაფარეს და ცოტა ხნით ამოისუნთქეს.

ბადრის დავურეკოთო, პავლემ თქვა, იქნებ რამე კონცერტებში ჩაგვსვასო.

ერთი მაგისიცო, ნოემ, თვითონ არა რეკავსო.

დაურეკე, სთხოვე, შენ მაგისთვის ავტორიტეტი ხარო, პავლემ უთხრა.

არ დაურეკა ნოემ.

ბოლოს პავლემ თვითონ დაურეკა. ბადრიმ ჰკითხა, ისევ უკრავთო? გაალაითეთ ცოტა, ქართველს ჩახუტება და სიყვარული უნდაო.

ჰო, ოცდახუთი წელია, ჩახუტებამ და სიყვარულმა დამახრჩოო — ნოემ თქვა.

და დადიოდა ქალაქი კვლავ მიტინგებზე.

მალე რამე შეიცვლებაო, ცოლმა — 50 ლარად გაიყიდა მისი მეორე ნახატი. ისევ უხდებოდა თხუთმეტი წლის წინანდელი კაბები.

შეიცვლება, აბა, სულ ასე ხომ არ იქნება!

მალე მართლაც შეიცვალა — ისევ ახალი მთავრობა მოვიდა და ბადრი დეპარტამენტის უფროსად გადაიყვანეს.

ბიჭებს უზომოდ გაუხარდათ — ჩვენია მაინც, ბლუყუნა კი არის, მაგრამ ხომ ერთად ვოცნებობდით უკეთეს ქვეყანაზე, რაც შეუძლია, იმას მაინც ხომ შეცვლისო...

ცოტა ხნის შემდეგ გვირაბიდან დილით დაბრუნებულმა ნოემ დილის ძილი გამოიძინა და ტელევიზორი ჩართო. წინა ღამის და წინა წლების უძილობისგან დაღლილობას უკვე რაღაც ბუნდოვანი სიხარული უმსუბუქებდა — ახლა ნამდვილად რამე შეიცვლება!

პირველი, რაც გაიგო საინფორმაციოდან, ის იყო, რომ დეპარტამენტის უფროსის ხელფასი გაორმაგდა.

ნოეს ყბა ჩამოუვარდა და ცოლს მალულად გახედა — ოცი წლის წინანდელი კაბა ისევ უხდებოდა ცოლს.

ცოლი მოლბერტთან მშვიდად იდგა, ხატავდა, უხდებოდა...

ნოემ ტელეფონი აიღო:

— ვა, ნოე, როგორ ხარ, ძმა!

— ეს რა გააკეთეთ, ბადრი?!

— რა გავაკეთე?!

— რა შენი ხელფასის გაორმაგებით დაიწყე, ტო! გრიშას ხელფასის გაორმაგებით დაგეწყო, ნიკოს და ლევანას ხელფასის გაორმაგებით დაგეწყო, ტო! მთელი ცხოვრება ღამის გვირაბში დაძვრებიან 400 ლარად, ტრეფიკინგი გაქვთ ოფიციალური; თქვენ მართლა ხო არ გძმარავთ!.. ცხოვრებამ შანსი მოგცა, ვილაცას მიეშველო... დაგავიწყდა, საიდან მოდიხარ?..

— რანაირად მელაპარაკები!..

— რანაირადაც ღირსი ხარ, იმნაირად გელაპარაკები, შე ლეწჩო ბლუყუნა!.. — ნოემ მრავალსართულიანი მიუშვა. ამ მრავალსართულიანში, როგორც ბეტონის მოუთავებელი სახლის ფანჯრებში, ისე შემოიხედავდა დროდადრო ბადრის საპასუხო შეძახილები, მათ შორის ერთი: „შენ ისიც გეყოფა, ვირთხას რო დაარქვი ჩემი სახელი"...

— ვირთხას?! ვირთხა კი არა, იმ ვირთხის დინგიც არ ღირხარ, შე მართლა ვირთხის გაგდებულო, სულ მანდ კი არ ეგდები, შენი... — და ისევ მიუშვა მრავალსართულიანის ჯერი. მთელი არსენალი დააცალა.

— არ გაბოროტდე, ძალიან გთხოვ, არ გაბოროტდე! — მოეხვია ცოლი, — ნელ-ნელა რაღაცები იცვლება. შეიცვლება, აბა, რას იზამს? აგერ, 70 ლარად გაიყიდა უკვე ნახატი. შენც მესამედ შეგიკვეთეს სპექტაკლის მუსიკა.

— გავბოროტდე არა ერთი, ვირთხის გაგდებული ბადრიას გულისთვის გავბოროტდები კიდე ახლა, — ტელეფონი დააგდო ნოემ, — მაგათი კარგიც... სლოკინის გარდა არაფერი იცოდა, სლოკინის მინისტრად მაინც დაენიშნათ. ან ბლუყუნის პრეზიდენტად. გინდა ყავა?

როცა ყავას სვამდნენ, ნოემ თქვა:

— მართლა უნდა შევუცვალო იმ ვირთხას სახელი. ცოდვაა მაგას ბადრიას სახელი ერქვას. ვინ იყო ყველაზე კარგი პრეზიდენტი?

— ჩვენთან თუ საერთოდ?

— საერთოდ, მსოფლიოში.

— რავი, რეიგანი, ლინკოლნი, კენედი...

— კარგია, რეიგანი, ლინკოლნი, კენედი. სამივეს ერთად დავარქმევ, „რელიკას" დავუძახებ დღეიდან. ბადრი არა ისა! ძირძველი გვირაბელია, მაგის მამა-პაპა მანდ ცხოვრობდა. ბადრიასავით ცალ-ცალი კალოშით კი არ ჩამოსულა ზემო ტეტიეთიდან.

რაღაც მართლა შეიცვალა — კაცს ერქვა ისევ ნოე, მაგრამ ვირთხას ერქვა უკვე რელიკა...

## იზრდებოდა ქალაქი

ბაყაყები უყურებდნენ ბალეტს.

გოგოს ბალეტი უყვარდა, მაგრამ ქუჩაშიც ისროდნენ, ბალეტის თეატრთანაც ისროდნენ — ვერ გახდა ბალერინა.

ბიჭს ხატვა უყვარდა, მაგრამ უბანშიც ისროდნენ, სამხატვრო აკადემიასთანაც — ვერ გახდა აკადემიის სტუდენტი.

დაქორწინდნენ და ქალაქის გარეუბანში, უკაცრიელ ტბასთან იყიდეს პატარა სახლი. ცენტრში სროლა იყო და ბინაც ძვირი ღირდა, ვერ იყიდეს.

ალბათ, იმიტომ ღირდა ძვირი, რომ იქ სულ ისროდნენ და სულ ერთმანეთს სცემდნენ ხალხის დიდი მასები — ექსტრემი ძვირია.

ქმარი, რომელიც ვერ გახდა აკადემიის სტუდენტი, ტბაში ანკესს ჩაუშვებდა, ნაპირზე ჩამოჯდებოდა და ხატავდა.

ცოლი, რომელიც ვერ გახდა ბალერი-

ნა, იქვე ბალახიან ბორცვზე შემოდგებოდა, წარმოიდგენდა, რომ ბალეტის თეატრის სცენაზე იდგა, და ცეკვას იწყებდა.

ამ დროს ბაყაყები ჩუმდებოდნენ და ბალეტს უყურებდნენ, დაჭაობებული ნაპირიდან თვალებამოყოფილები.

ირგვლივ არავინ იყო — მხოლოდ ტბა, მინდვრები, ბაყაყები და ამათი ციცქნა სახლი.

შემდეგ ქალაქში სროლა შეწყდა. სანდო წყაროსავით უჩინარმა ვილაც ტიპმა მეზობლად მოზრდილი ორსართულიანი შენობა ააშენა და წითელი განათებით „პანორამა" წააწერა. ძალიან გაურკვეველი შენობა იყო: ზედა სართული სასტუმროს ჰგავდა რესტორნით — იქიდან მუსიკა გამოგრიალებდა; ქვედა სართული ავტოპროფილაქტიკას წააგავდა — რაღაც რკინები გრუხუნებდნენ, მანქანები ჩერდებოდნენ. მესერზე საქართველოს დროშა ეკიდა, ჭიშკარზე ეხატა საბურავი და ეწერა, „უფალო, შეგვიწყალენ!"

აბრაც, როგორც ჩანს, იაფფასიანი, უხარისხო ჰქონდა — წამდაუწუმ გამორჩევით ქრებოდა და ინთებოდა ასოები, ყოველ დანახვაზე სხვადასხვა რამეს ამოიკითხავდი.

— ეს რა ააშენეს? მგონი შენ აგიშენეს სამხატვრო სკოლა, „პანორამა" აწერია, — იხუმრა ცოლმა.

— ბორდელია, — მშვიდად უპასუხა ქმარმა.

— პროფილაქტიკაა, — დაიჟინა ცოლმა, ქვეცნობიერად ქალების ინტერესებს იცავდა.

— ნუ, ჰო, ბორდელია და თანაც პროფილაქტიკა, შევთანხმდეთ.

ვერ შეთანხმდნენ, ვერც გამოიცნეს შენობის დანიშნულება, და დროებით „ბორდელაქტიკა" შეარქვეს.

მალე იქვე კიდევ ერთი სახლი გაჩნდა, მერე — მეორე, მესამე...

ბორდელაქტიკიდან მთელი ზაფხული მუსიკა და მანქანების მაღალი წნევით რეცხვის აპარატი, ჩვენებურად „კერხერი", ერთ ხმაზე გამოგრიალებდა.

ზაფხულის ბოლოს, სექტემბრის შუა რიცხვებიდან, მუსიკა მისუსტდა და „კერხერი" მოძლიერდა.

— ხო ვთქვი, პროფილაქტიკაა, — თქვა ცოლმა.

ამის თქმა იყო და წითელი წარწერიდან „პანორამა", „პა" ჩამოვარდა, თუ ჩაქრა, მოკლედ, მარტო „ნორამა" დარჩა.

— ხო, ვთქვი, ბორდელია, — თქვა ქმარმა.

ისევ ტბასთან იჯდა და შებინდებას ხატავდა.

— არა, პროფილაქტიკაა, — ცოლი ისევ ბორცვზე იდგა და შებინდების ცეკვას ცეკვავდა.

ბაყაყები უყურებდნენ ბალეტს.

— ნორამაო, გოგო, ნორამაო, ბორდელია, გაიგე!

— მერე რა, ნორამ რა? იქნებ მანქანა შეაკეთა ნორამ და წავიდა! — ქალებს იცავდა ქალი.

ისევ ვერ შეთანხმდნენ და ისევ „ბორდელაქტიკა" დატოვეს ძალაში სხვა ასოების ჩაქრობამდე ან სხვა მინიშნებამდე.

მხოლოდ იმაზე შეთანხმდნენ, რომ ბედს მიენდობიან და დააკვირდებიან ამ დარჩენილ „ნორამა"-ს. თუ „მა"-ც ჩამოვარდება და მარტო „ნორა" დარჩება, ესე იგი მართლა ბორდელია. თუ „ნო" ჩაქრება და „რამა" დარჩება, ესე იგი — პროფილაქტიკაა.

ამასობაში გაურკვეველი შენობის უჩინარმა პატრონმა „პა" შეაკეთა. და როცა „პა" აანთო, „რამა" გადაიწვა და „პანო" დარჩა.

— გითხარი, სამხატვრო სკოლაა-მეთქი, შეიარე ხოლმე, — დასცინა ცოლმა.

ამის თქმა იყო და „ნო"-ც გადაიწვა, დარჩა მხოლოდ ის ახალი შეკეთებული „პა".

— მე მგონი, საბალეტო სკოლაა, შენ შეიარე ხოლმე.

მერე მეოთხე სახლი აშენდა — უფრო მაღალი. მერე, მეხუთე, მეათე, ორმოცდამეათე — ყოველი ახალი მეზობელი ერთი სართულით მაინც ჩაგრავდა სიმაღლეში წინა მეზობელს. მხოლოდ მათი პაწაწა სახლი დარჩა ერთსართულიანი, ოროთახიანი.

ბოლოს ვილაც სანდო წყაროსავით უჩინარმა ტიპმა ტბა მთლიანად იყიდა, შემოღობა და „ვირჯინ ლეიკი" დაარქვა. სასწრაფოდ საიდანღაც გააჩინა მეორადი შეზლონგები, გამხმარი პალმები და ქარში გაწეწილი ქათმებივით მიბრეცილი ბუნგალოები.

ახლა ცოლ-ქმარს თითო ლარი უნდა გადაეხადა იქ შესასვლელად.

ხოლო იმ ადგილზე მოსახვედრად, სადაც ადრე ქმარი იჯდა და ხატავდა, ცოლი კი იდგა და ცეკვავდა — ხუთ-ხუთი ლარი.

იქ ახლა სახელდახელო სცენა იყო მოწყობილი და სანახევროდ შიშველი ქალები მუცლის ცეკვას ცეკვავდნენ, მათ იქით უხდიდნენ 50 ლარს მუცლის ცახცახში.

„ვირჯინ ლეიკის" ბაყაყები ახლა მუცლის ცეკვას უყურებდნენ, არადა ისევ ბალეტი და სიჩუმე უყვარდათ.

მთელი ღამე გუგუნებდა „ვირჯინ ლეიკი" და აზანზარებდა ბეტონის გიგანტებს შორის ჩაჭედილ ციცქნა სახლს, რომელსაც აღარც ტბაზე ჰქონდა ხედი, აღარც ცაზე, აღარც არსაით — მხოლოდ განათებული ასოებით მოთამაშე მაგიურ სასტუმრო-პროფილაქტიკას გაჰყურებდა კორპუსებს შორის მოწეწკებულ ვიწრო ღიობში.

ამასობაში თავიდან შეკეთებულ წარწერა „პანორამას" ისევ ჩაუქრა „პა" და შუანა „ა" — დარჩა მარტო „ნორმა".

— ჩვენ რომ ბორდელაქტიკა გვეგონა, ის ნორმა ყოფილა, — თქვა ცოლმა და თავის აივანზე იცეკვა.

„ვირჯინ ლეიკის" ბაყაყებმა ჯერ არ იცოდნენ, რომ გაყიდულები იყვნენ ტბასთან ერთად და ტბის ფსკერი ეკუთვნოდა ერთ მფლობელს, ხოლო წყლის ზედაპირი — მეორეს. არც ის იცოდნენ, რომ იმ გოგოს, რომელიც ადრე მათთვის უფასოდ ცეკვავდა ბალეტს, ახლა 5 ლარი უნდა გადაეხადა მათთან შესასვლელად, უბრალოდ, შესასვლელად და ნაცნობი ბაყაყების სანახავად.

მხოლოდ შესასვლელად — იქ ვინღა აცეკვებდა? მით უმეტეს, უფასოდ?

განა უსაქმოდ აცახცახებდნენ 50-ლარიან მუცლებს ნახევრად შიშველი ქალები.

კიდევ უფრო შიშველი ქალები და კაცები საქმიანად იწვნენ მეორად შეზლონგებზე გამხმარი პალმების ქვეშ და ქარში გაწეწილი ქათმებივით მიბრეცილი ბუნგალოების კონტურებში ბორა-ბორა და იბიცა ელანდებოდათ.

## მარჯვენაანთ ვეფხვია

ამნაირი ჯერ არაფერი ენახა ფიზკულტურის მასწავლებელს — მეხუთეკლასელი მარჯვენაანთ ვეფხვია მარცხნისაკენ არ ტრიალდებოდა. ცოცხალი თავით არ ტრიალდებოდა.

— მარცხნისააკენ! — მთელი კლასი შეტრიალდა, ვეფხვია დარჩა ადგილზე, ვითომც არაფერი, გაჯიქებული მზერით მთებს გახედა.

— ვეფხვია, არ გეყურება? მარცხნისაკენ!

— არ შევტრიალდები, მასწ, მარცხნისაკენ.

— რათა ვითომ?

— მარცხნისკენ შეტრიალებამ მარცხი იცის.

— აბა, ეგრე იდგები?

— ვიდგები, მასწ, მარცხს ხო ჯობია!

— მარჯვენისააკენ! — კლასი ისევ შემოტრიალდა მასწავლებლისკენ, მაგრამ ახლა ვეფხვია შეტრიალდა მარჯვენისაკენ და დადგა გვერდულად. მწკრივის ერთი ნაწილი მის ზურგში მოექცა, ხოლო მეორე — მის ცხვირწინ.

— რას შვრები, ბიჭო, ვეფხვია, აკი არ შევტრიალდებიო?

— მარჯვენისაკენ კი ვტრიალდები — გამარჯვება იცის.

— მარცხნისააკენ! — ისევ თქვა გაოცებულმა მასწავლებელმა და კლასი ისევ მარცხნისკენ შებრუნდა, ხოლო გვერდულად მდგომი ვეფხვია არც განძრეულა, თვალი თვალში გაუყარა მისკენ შემობრუნებულ თანაკლასელს.

— მარჯვენისააკენ! — კლასი ისევ მასწავლებლისკენ შებრუნდა, ხოლო მარჯვენაანთ ვეფხვია მარჯვენისაკენ, და ზურგით დაუდგა მასწავლებელს. ახლა წალმა-უკუღმა იდგნენ ის და კლასი. ბავშვები ფხუკუნს ძლივს იკავებდნენ.

— რა გჭირს, ბიჭო, მოიხედე აქით შენ!

— ორჯერ მითხარი „მარჯვენისაკენ, მარჯვენისაკენ" და მოვიხედავ, მასწ!

— მარჯვენისაკენ და კიდე მარჯვენისაკენ! — ვეფხვია ორჯერ შემოტრიალდა და, როგორც იქნა, კლასს გაუსწორდა.

— რა გჭირს შენ, რავა ჩამორჩენილი საათივით იქცევი?

— მასწავლებელო, მე მარცხნისაკენ არ ვტრიალდები სეერთოთ.

— ვითომ, რატომაო?

— მარცხნისაკენ შეტრიალება არის დამარცხებისკენ შეტრიალება.

— ეგ ვინ გითხრა?

— ბაბუაჩემმა ვეფხვიამ. აი აგრე რო ვტრიალოომთ მარცხნივ, იმიტომ ვკარგავთ მიწებს.

— რა მიწებს, ბიჭო?

— ახლა ჩვენი სოფლის ტბას და სათიბებს გვეცილებიან რუსები. ეგეც რო წაგვართვან, მერე ჩვენმა ნიკორამ სადღა იბალახოს და წყალი სადღა დალიოს?

ბავშვებმა გაიცინეს. მასწავლებელმა ჩაფიქრებით გაიარ-გამოიარა მწკრივის წინ.

— მომისმინე, მარცხნივ თუ არ შეტრიალდები, ასე სულ აცილებული იქნები კლასთან, ხან ზურგით იდგები, ხან გვერდულად...

ვეფხვია ჩაფიქრდა.

— ვიყო მერე.

— ეგრე არ გამოვა.

— მაშინ კლასიც მარჯვნივ დაატრიალე, მასწ. სუყველამ მარჯვნივ ვიტრიალოთ.

— იმ სკოლაში როგორ იქცეოდით, დაწყებითებში, მთელი კლასი მარჯვნივ ტრიალებდით?

— იქ მარტო ვიყავი კლასში, მასწ!..

— აქ არ გამოვა ეგრე, აქ უკვე ბევრნი ხართ და ყველას რომ შევატრიალებ, დავუშვათ, სტადიონისკენ და ყველა იქით წავა, შენ უკუღმა წამოხვალ, მდინარისკენ?

მასწავლებელს ისეთი თავსატეხი დაეხატა სახეზე, რომ პატარა ვეფხვიამ თვითონვე მონახა გამოსავალი.

— მასწ, „მარცხნისაკენო" რო იტყვი, კლასი შეტრიალდეს მარცხნისაკენ და მე სამჯერ სწრაფად მარჯვნისკენ დავკვიწიალდები და გავსწორდებით.

— ეგ როგორ?

— აი, ასე, მარჯვნივ, მარჯვნივ და მარჯვნივ! — სამჯერ შეტრიალდა ვეფხვია მარჯვნივ და აღმოჩნდა მარცხნივ.

— ეგრე არ გამოვა, შენ გელოდოს მერე მთელი კლასი?

— რა მელოდოს, მასწ, ისე ჩქარა დავკვიწიალდები, როოო! აბა, თქვი „მარცხნისაკენ"!

— მარცხნისააკენ!

ვეფხვია მარჯვნისკენ ისე სწრაფად დაბზრიალდა, რომ ვერც გაარჩიეს, საით შეტრიალდა და კლასს დაასწრო მარცხნისკენ პირით დადგომა. ბავშვები ჩაბჟირდნენ, მასწავლებელმაც ვერ შეიკავა სიცილი.

— მართლა რა ჩქარა დაბზრიალდა. კაცო!

— ცეკვას მასწავლის მამაჩემი, მასწ, სამტრიალებს ვაკეთებ.

— აბა, კიდე! მარცხნისააკენ!

კლასი ისევ მარცხნივ შებრუნდა, ვეფხვია ისევ მარჯვნიდან შემობზრიალდა და კლასს გაუსწორდა.

— და ახლა ასე უნდა იბზრიალო პლანეტასავით?

ბავშვები მინდორზე დაეყარნენ სიცილისაგან. ამ დროს სკოლის დირექტორმა ჩაიარა შორიახლოს, ბალისკენ მიდიოდა.

— რა ხდება აქანა? — შორიდან დაიძახა. ფიზკულტურის მასწავლებელი მიუახლოვდა და რაღაც ჩუმად აუხსნა.

— რომელია, აბა, რომელი? ესა? ახალი გადმოსული? რას ჰქვია, მარცხნისკენ არ ტრიალდება? — მრისხანედ იკითხა დირექტორმა და დაიქუხა, — მარცხნისააკენ!

დამფრთხალი ბავშვები სასწრაფოდ შეტრიალდნენ მარცხნივ და თავზარდაცემული ვეფხვიაც ისეთი მონდომებით დაბზრიალდა მარჯვნისკენ, რომ ერთ ბრუნზე თავი ვერ დაიმუხრუჭა და ბარემ მეორე ბრუნიც მიაყოლა. ის და კლასი ერთდროულად დადგნენ სწორ ხაზზე.

— ვაჰ! — შესძახა დირექტორმა. მერე მასწავლებელს გადახედა, მერე ისევ კლასს და ბოლოს ვეფხვიას დააკვირდა.

— ვისი ბიჭი ხარ შენ?

— ლომკაცა ტოგონიძის.

— ააჰა, ეგრეც ვიფქვე. წამო შენ ჩემთან, წამო, — მერე მასწავლებელს მიუბრუნდა, — შენც წამოდი ერთი, ეს სერიოზული საქმეა...

მასწავლებელმა კლასს ბურთი გაუგორა, ახლავე მოვალ, თქვენ ითამაშეთო. დირექტორის კაბინეტის წინ ვეფხვიას უთხრეს, აქ დაგველოდეო, და დირექტორი და მასწავლებელი კაბინეტში შევიდნენ. დირექტორმა ტელეფონზე დარეკა:

— ქალბატონო ქეთო, როგორ გიკითხოთ?.. მე და ფიზკულტურის მასწავლებელი განუხებთ... თქვენი დაწყებითი სკოლიდან ახლა ბავშვი გადმოვიდა ჩვენთან, მეხუთე კლასში...

— ჰო, ვეფხვია? რა იყო, მარცხნისკენ არ შეტრიალდა?

— მაგ საკითხზე გირეკავთ, თქვენი პედაგოგიური გამოცდილება გვჭირდება...

— მაგათი ჯიშის ამბავი ხო იცით, დათაბატონო! მარცხნისკენ არ შევტრიალდებიო, ტბას და სათიბებს წაგვართმევენ რუსებიო და მერე ჩემნა ნიკორამ რა ჭამოს და რა დალიოსო!

— და თქვენ როგორ ავარჯიშებდით ფიზკულტურაზე?

— ძალიან ადვილად, დათა-ბატონო! სულ არ უხსენოთ მარჯვენა და მარცხენა. ხო იცნობს მადაურობას კარგად?

— კი კაცო, მაგის დედულეთი აქაა.

— ჰოდა, უთხარით, „გოგიაანთკენ!" „იაშვილებისკენ!" „მიტუშაანთკენ!" მიტრიალდება და მოტრიალდება უპრობლემოდ. მე ასე ვეუბნებოდი: „ჩვენიაანთკენ!" „ლუხუმაანთკენ!"

— კი, მარა, თქვენთან მარტო იყო კლასში და აქ მთელი კლასი მაგ ტერმინებით ალვზარდოთ? „გოგიაანთკენ" და „მიტუშაანთკენ?"...

— რა გითხრათ, აბა, მარცხნივ რომ ვტრიალდებოდით და ბაბუაჩემს არ დაუჯერეთ, იმიტომ მოვიდნენ რუსები აქამდეო, არაფრით არ ტრიალდება მარცხნივ...

დირექტორმა ტელეფონი გათიშა.

— აი, რა არის ჯიში! ბაბუამისი ვეფხვიაც ასე იყო სკოლაში, ვერაფრით ვერ შეატრიალეს მარცხნივ. იმიტომ ჰქვიათ „მარჯვენაანთები". ახლა ეს სასაზღვრო ზონის სოფლიდანაა და გონია, რო თუ მარჯვნივ იტრიალებს, მაგის ნიკორას სულ ექნება საბალახო და სარწყულებელი...

— მერე, სკოლაში ჰე, და ჯარში რაღა ქნა ბაბუამისმა? იქ ვინღა აპატიებდა?

— ეეე, ჯარში ერთად ვიყავით და გამაჭალარავა მაგის ნერვიულობამ. მე ვთქვი, რამე თუ არ მოვიფიქრე, გაობახტში ამოხდება სული-თქვა. მთელი გზა მაგას ვფიქრობდი და იცი, რა მოვიფიქრე? იქ ხო „ნაპრავო", „ნალევო" იციან რუსულად, მარჯვნივ და მარცხნივ ხო არ ამბობენ. ჰოდა, რო ავუხსენი, „ნალევო" „მარცხი"-დან კი არ მოდის, „ლევ"-იდან მოდის-მეთქი, „ლევი" რა არისო, მკითხა. ლევი რუსულად ლომია და მამაშენსაც ხო ლომკაცი ერქვა, მამაშენს ეცი პატივი და შეტრიალდი-თქვა. იცი რა მიპასუხა? დავფიქრდები, გადავხარშავო! ჰოდა, გზაში ეტყობა გადახარშა და იქ მერე, „სტროიში" „ნალევოზე" თავისუფლად შეტრიალდა... ამასაც რამე უნდა მოვუფიქროთ, ისეთი ჯიშისაა, ასე ადვილად არ შეტრიალდება... ფეხბურთი უყვარს? — იკითხა უცებ დირექტორმა.

— რა ვიცი, აბა, ფეხბურთი ვის არ უყვარს.

— დაუძახე ერთი!..

ვეფხვია შემოვიდა და ისეთი მზერით შეათვალიერა მასწავლებლები, რომ მოსყიდვას არ ვექვემდებარებიო, აგრძნობინა.

— ვეფხვია, შენ ფიზკულტურა არ გიყვარს? — შორიდან დაიწყო დირექტორმა.

— კი მასწ, ძაან მიყვარს, ყველა გაკვეთილს მირჩევნია.

— რატომ გირჩევნია ყველა გაკვეთილს?

— რა ვიცი, მასწ, დავალება არ გვაქ ხოლმე ფიზკულტურაში და კიდე, ფეხბურთს რო ვთამაშობთ ხოლმე ბავშვები.

— ფეხბურთი გიყვარს?

— კი, მასწ, ძალიან.

— რომელი გუნდი გიყვარს, რომელი ფეხბურთელი?

— „ბარსა" მიყვარს და მესი.

— მერე, იცი, რო მესის გოლები სულ მარცხენა ფეხით გააქვს?

— მარცხენა?.. კი, ვიცი... — დაიბნა ვეფხვია.

— შენმა დიდმა ბაბუამ, ლომკაცმა რომ წააქცია ფარახელი მოჭიდავე ცალი ხელით, რომელი ხელი აუკრეს მაშინ ბაბუაშენს, იცი?

→

## მარჯვენაანთ ვეფხვია

დასასრული

— მარჯვენა...

— ანუ რომელი ხელით გაიმარჯვა?

— მარცხენათი... — სულ უფრო იბნეოდა ვეფხვია და თვალებს აფახურებდა.

— ესე იგი, მარცხენათი გაიმარჯვა ბაბუაშენმაც, მესიმაც, „ბარსამაც"...

— მარცხენათი გაიმარჯვა?.. — თითქოს თავის თავს ჰკითხა ვეფხვიამ.

— ჰო. მარცხნისკენ შეტრიალება დამარცხებისკენ მიბრუნებას კი არ ნიშნავს. ეს ნიშნავს, რომ შენ შეტრიალდი მარცხენა ხელისკენ და მარცხენა ფეხისკენ, რომლითაც შეგიძლია გაიმარჯვო, როგორც ბაბუაშენმა და მესიმ გაიმარჯვეს, გაიგე?.. შენ ამით ამტკიცებ, რომ მარცხენათიც მაგარი ხარ და, მარჯვენასაც რო მიაშველებ... ეე, მტერს გული გაუსკდება!

ვეფხვია ჩუმად დადგა, ფიქრიანად აფახურა თვალები. ცოტა ხანში თქვა:

— დავფიქრდები მე მაგაზე, მასწ, გადავხარშავ.

— კაი ბიჭი ხარ. ნადი ახლა და ჩვენ რო გაგვეხარება, ისე გადახარშე, აპა ჰე!

როცა ვეფხვია გავიდა, დირექტორმა შუბლიდან ხვითქი გადაიწმინდა, სკამზე დაეშვა და მასწავლებელს შეხედა:

— ახლა, სანამ ეგ ხარშავს, შენ მოძებნე ინტერნეტში და თუ ვინმე ცაცია ბოქსიორი და ფეხბურთელი ნახო, სუყველა თავზე დააყარე, აზრზე მოსვლა არ აცადო. სპორტის მასწავლებელი შენა ხარ, ბოლო-ბოლო, თუ მე? მე სულ ორი სპორტსმენი ვიცოდი — მესი და ბაბუამისი ლომკაცა. კიდე კაი, მესი ჰყვარებია, თუარა რა უნდა მექნა, მარტო ლომკაცას ამარა დავრჩებოდი.

— მაგარი კი ჩაუტარე, აი, დავით-ბატონო.

— მიდი, მიდი, ჰე, სანამ ეგ ხარშავს, შენ დაგუგლე.

მასწავლებელი უკან მიჰყვებოდა კლასისკენ ზლაზვნით მიმავალ ბიჭს. როცა წამოეწია და გვერდულად გახედა, დაინახა: ისეთი ღრმა ჩაფიქრება და ლარი ეხატა ნარბთაშორის მეხუთეკლასელ ვეფხვიას, ისეთი ალმური ასდიოდა თავზე, რომ აშკარად იქ რალაცას ხარშავდა.

## წმინდა წყლის ნიკორები

დილაადრიან ჩააწყო ზურგჩანთაში საძილე ტომარა, სამი დღის საგზალი და ტანსაცმელი.

— არც წიგნი მიგაქ, არც მობილური. ძაან მოგძულებია ცივილიზაცია, — ასანთი მიაწოდა მამამ.

— რამდენიმე დღე დავისვენებ სისუფთავეში, სიჩუმეში. წმინდა წყალივით მჭირდება.

— გავიგე. რა მყავხართ ასეთები შენ და შენი სეხნია! ისიც სულ წმინდა წყალს ეძებს.

— რომელი სეხნია?

— ნიკორა. საქონელს რო გავდენი, ღელიდან კი არ დალევს. აუყვება, აუყვება, ყნოსავს ამ გაკრიალებულ ღელეს, გეგონება, წუმპე იყოს ან კანალიზაცია სადმე უერთდებოდეს.

— დიდი გაიზარდა ნიკორა? სულ ისეთ დროს ჩამოვდივარ, ეგ მთაშია.

— უჰ, ხარია! ნიკორიც გაეზარდა, ნამგალა მთვარე და ერთი ვარსკვლავა შუბლზე. ყველა საქონელი ღელიდანა სვამს, ეს აუყვება, აუყვება წყალს და სალაციდან დალევს. ნეტაი, სადა სვამს? ან რას უწუნებს ამ კამკამა ღელეს, წყაროს წყალია. ჩვენ ზევითაც ალარავინ ცხოვრობს, რო რამე ერეოდეს...

მამა-შვილმა ერთნაირად გაიცინა.

— მაინც რა გლლით თბილისში, ვერ გავიგე. გუშინ ჩამოხვედი და დღეს მთაში მიდიხარ დასასვენებლად. ამ მწერლებს და პოეტებს მაინც რა გლლით? — ზურგჩანთას კრავდა მამა.

— მწერლებს და პოეტებს ღლიან მწერლები და პოეტები... არც მოგიყვები, არ გაგიმეტებ. კვირას ჩამოვალ და კარგ რამეებზე ვილაპარაკოთ.

— კარავი მიგაქ?

— არა, ხულას დავდგამ.




სახაზომში ასული ნიკა სალამომდე სახელდახელო ხულას დგამდა იქვე მოჭრილი ტოტებისა და ნათიბი ბალახისგან. მერე პურის ყუა შეჭამა, პირდაპირ წყაროდან პეშვით წყალი მიაყოლა და ისე დაიძინა, ცეცხლიც არ დაუნთია. დილით ქორის კივილმა გაალვიძა. ადგა. მარტო ის და ქორები იყვნენ. ჭიქაც არ წამოუღია, დიმელას ფოთლით ან პეშვით დალევს წყალს, ანდა პირდაპირ დაეყუდება გვრიმეს — აქ რისინას და წირწკილას სათავეა, ვილაც მადლიანს პატარა ხის ლარიც გამოუჩორკნია. ბილიკს ჩაუყვა ნიკა, გვრიმესთან მუხლებზე დადგა და დაიხარა, პირდაპირ წყალს დაადო ტუჩი. თან სვამდა, თან სახეს იგრილებდა. ერთ ყურში ლარიდან გადმოსული წყლის შხიპინი ესმოდა, მეორეში უცებ ნელა მომავალი ფლოქვების ხმა შემოვიდა. ნიკამ თავი ასწია, წამით გუბეში თავისი სახის და ხარის რქების გამსხვრეულ ანარეკლს მოჰკრა თვალი. მეორე ნაპირის ბუჩქებიდან ჩამომავალ ბილიკზე ხარს გამოეყო თავი და ნიკას უყურებდა. შუბლზე თეთრი ნამგალა მთვარე და პატარა ვარსკვლავი ეხატა.

— ნიკორა! აქა სვამ წყალს?!. ამსიმაღლეზე ამოდიხარ წყლის დასალევად?! — აღმოხდა ნიკას, — აგიმღვრიე წყალი, ნიკორა? ტუჩი ჩავყავი, ბოდიში!.. ახლა სად უნდა დალიო? ამის ზემოთ ალარაფერია, — ნიკა ისევ მუხლებზე იდგა და თითქოს ლოცულობსო, ხელაპყრობილი ელალადებოდა ნიკორას.

ნიკორამ ერთხანს უყურა, მერე მოვიდა, თავზე დაყნოსა, კისერი დაიგრძელა და თავის წილ ნაპირზე დაადო დრუნჩი წყალს. წამიც და, ერთად სვამდნენ ერთი გუბიდან. ხან ნიკორა ასწევდა თავს, ნიკას დაყნოსავდა, ენას რიგ-რიგობით შეიყოფდა ნესტოებში და ისევ ჩაყოფდა დრუნჩს წყალში, ხან ნიკა ახედავდა, ნიკორას შუბლზე აკოცებდა და ისევ გუბეს დაემხობოდა.

„ახლა მამაჩემს დაანახა მისი ორი წმინდა წყლის ნიკორა" — გაიფიქრა ნიკამ, როცა შუბლზე ხარის შუბლის შეხება იგრძნო. ალარ სწყუროდა, მაგრამ თითქოს ეხათრებოდა, ხარზე ადრე შეეწყვიტა სმა. როცა წმინდა წყლის ნიკორა თავის სწორად ჩაგთვლის და შენთან საერთო გუბურიდან სვამს, მაშინ მასზე ადრე არ უნდა შეწყვიტო, ხარისოდენა წმინდა წყალი უნდა დალიო.

## (მთვ)არეულების ბაქანი

ველოდით. ვიდექით. მხოლოდ ერთი ბიჭი დადიოდა, მწვანე „პანამა" ეხურა, ქუდქვეშ გრძელი, თხილისფერი თმა უბზინავდა. ისეთი ბიჭი იყო — რეჟისორი რომ ვყოფილიყავი, რობინ ჰუდს ვათამაშებდი. აჩქარებული მოუყვებოდა მეტროს ბაქანს, სხივიანი თვალებით ლიანდაგს აკვირდებოდა და იმეორებდა: „აქ რას უნდა გაყვეს ადამიანი?"

იგრძნო, რომ ვუყურებდი — ჩემ წინ შეჩერდა, გვირაბს გახედ-გამოხედა და მკითხა:

— აქ რას უნდა გაყვეს ადამიანი?

— რას უნდა გაყვეს და მატარებელს! — მკვახედ მიახალა თმაში ბუმბულებგაჩრილმა უცხო ქალმა და ხელი ჩამავლო მკლავში, — მოიწი, შვილო, ათასი გადარეული და იარალიანი დადის.

— ადრე რელსები იყო და იმას გაჰყვებოდი. ახლა რელსებიც არ არის, — ქალს არც შეხედა ბიჭმა.

— როგორ არ არის? აბა, ეს რა არის?! — გვირაბში ჩაიხედა ქალმა. ხელში ეპოქის ფუფუნება და სიამაყე — სახელურიანი მწვანე ნავთქურა ეჭირა და აქანავებდა.

— ალარ არის რელსები. ახლა რას გავყვე? — გაიმეორა ბიჭმა და გაიარა.

— ყაჩალია ვილაცა! მოდი, შვილო, აქეთ, — ისევ გამქაჩა ნავთქურიანმა და ფრთა-ბუმბულიანმა ქალმა.

— ფსიქიატრიულიდანაა გამოპარული, — ფეტრისქუდიანმა კაცმა აგვიხსნა, — ადრე ტრამვაის ლიანდაგს მოჰყვებოდნენ კლინიკიდან, ასე აგნებდნენ გზას. ახლა აყარეს ტრამვაის ხაზი გლდანში...

— მერე, ასე თავისუფლად უნდა იარონ გიჟებმა? — წარბი ისე აზიდა ქალმა, თავის ბუმბულს აარტყა.

— გიჟი თავისუფალია, ქალბატონო! — გაულიმა ბიჭმა შორიდან და მარცხენა ხელის საჩვენებელი და შუანა თითებით „V" ნიშანი აჩვენა.

— ნახე! რაც უნდა, გადასარევად ესმის, — კიდევ უფრო დაეჭვდა ქალი.

— რა ქნან? ალარც ოჯახს აქვს ამათი თავი, ალარც ქვეყანას. ღიაა ფსიქიატრიულის კარი, ვისაც უნდა შედის და გამოდის, — თქვა კაცმა. მერე მოახლოებულ ბიჭს ჰკითხა, — საით მიდიხარ?

— ან ბებიაჩემთან, იქა, თევზის მეტროსთან. ან მამაჩემთან... რა ჰქვია?.. პაოლო რო წევს, — ბიჭი ახლა უკვე მოკლე ბოლთებით დადიოდა ჩვენ სიახლოვეს, თითებს ატკაცუნებდა.

— ნახე, მაშაყირებს! რა თევზი?! რა პაოლო?! — ქალმა ბუმბული მოიჩეჩა, მერე უცებ ფეტრისქუდიან კაცს მიუბრუნდა, — თავის მოკვლა ხომ არ უნდა?

— თევზი, თევზი! თევზის მეტრო! ტევზ! — დაიძახა ბიჭმა და ისევ მოკლე ბოლთაზე მოუხვია.

— ესე იგი, ბებია ცხოვრობს თემქის მეტროსთან, მამა — დიდუბის პანთეონთან, — გვითარგმნა კაცმა, — მეც თემქაზე მივდივარ, მივაცილებ სახლამდე.

— თქვენ რა კარგად უგებთ. ძაან არეულია, საწყალი. არადა, შეხედავ — მზეჭაბუკივით ბიჭია!

— ჰო, ვუგებ. მეც მყავს ასეთი ბიჭი, — თავი გაიქნია ფეტრისქუდიანმა იქით, სადაც გლდანის ფსიქიატრიული ეგულებოდა, — იქიდან მოვდივარ.

— უი!.. თქვეეენც?.. უჰ, რამდენი არეულია, — თავ-ბუმბულები სინანულით გადააქნია ქალმა.

მეორე მხარეს ისეთი გადაჭედილი მატარებელი ჩამოდგა, ვაგონებს შორისაც იდგა ხალხი.

90-იანი წლები იყო, მთვარეული ქვეყანა. ვის ვახსოვდით ან არეულები, ან დალაგებულები? ისეთები ვიყავით, თავისუფლად შეგვეძლო, ყველა ერთად გავყოლოდით ლიანდაგს და მივდგომოდით ფსიქიატრიულს, ან იქიდან აყრილი რელსებით გამოვქცეულიყავით.

## ჭინკები

ისე დაიცალა ჩემი სოფელი, რომ ჭინკებს გამვლელი ენატრებათ.

ისვრიან კენჭებს — არავის ხვდება, არავინ გარბის, ვერავინ გადარიეს შიშით, ვერავის დააყარეს სიცილი.

ზოგჯერ იტყვიან:

— ჩვენც ქალაქში ხომ არ წავიდეთ? იქ ბევრი გამვლელია, ვესროლოთ და ვესროლოთ კენჭები, რამდენიც გვინდა.

— გამვლელი ბევრია, მაგრამ კენჭები არ არის.

— იქ ბოროტი ჭინკები ცხოვრობენ, დანიანები, თოფიანები, გამვლელებს კლავენ, ჩვენც რომ მოგვკლან?

— ვერ მოგვერევიან.

— ჩვენ აქ სოფლელი ჭინკები ვართ, უწყინარები, უბრალოდ კენჭებს ვისვრით და ვიცინით.

ზოგჯერ ისე მოსწყინდებათ, რომ თვითონ იწყებენ გამვლელობანას თამაშს, გაითვლიან ანთა-ბენთელზე:

*„ენთელ-ბენთელ, ვარსკვლავენთელ,*
*ღამელ მთა ზელ დაიღვენთელ,*
*ღვინკა-რინკა, გრამაცინკა,*
*გადის მგზავრი, რჩება ჭინკა"...*

და როგორც მოუწევთ — გამვლელებად და ჭინკებად გადანაწილდებიან.

გაივლის ვითომ მგზავრი რისინას ღელეში და ნამდვილი ჭინკები კენჭს დააყრიან.

ის გაიქცევა, ნაძალადევად შეშინებული ვითომმგზავრი, და ესენი ნაძალადევი სიცილით იჭაჭებიან.

მერე თვითონვე მობეზრდებათ ეს თამაში და უფრო მოიწყენენ — ნაღდი ცხოვრება ენატრებათ, ნაღდი გამვლელი.

რისინაც ალარ გადაირია! ეს რისინა მაინც მოდიდდეს, წყალი მოიტანოს! როგორი გადარევა იცოდა, ხარ-ურმიანი კაცი წაიღო ერთხელ. მაგრამ იქ ჭინკების ხელი არ ერია, სულ ტყუილად დაბრალდათ...

რა ქნან, რა წყალში ჩაცვივდნენ? უწყლო ღელეში როგორ ჩაცვივდნენ?

— სოფელში კენჭებია და გამვლელი არ არის.

— ქალაქში გამვლელია და კენჭები არ არის...

წამო, ჩვენ წავიდეთ, ჭინკების ხათრით მაინც ვნახოთ სოფელი.

გავიაროთ რისინაში, ნაძრახ ღელეში.

წამომყევი, თორემ მარტო წავალ და ისე გაუხარდებათ ჩემი დანახვა, რომ ყველა ჭინკა მარტო მე შემომახტება.

და იქნებ ისე შევუყვარდე, ყელგამოწევით შემევედრონ, ჩვენთან დარჩიო და მართლა დავრჩე მათი გამოგონილი თამაშების ნამდვილ გამვლელად.

და იქნებ ისე შევუყვარდე, რომ მე გავიარო და მათ კენჭიც ალარ მესროლონ.




## გალაკტიონის მონოლოგი...

განა რა გახდა, ღმერთო, ეს პალტო
(სხვა სიკეთეზე თქმაც ზედმეტია...).
რით ჩავათბუნო ერთობ დესპოტი
სული — ნაჩვევი ხრამ-ხრამ ხეტიალს?!

ვხედავ, ცრემლი სდით წლებს და არ კურნავს
(ვერც თვლებჩაცვივნულ ხიდებს ამრთელებს),
დრო, სითავხედე, მათ რომ არგუნე —
პირმოქუფრული თუ პირნათელი...

განა სალბუნი „ტკბილ ხმებს" აწყენდათ?
თუ უნყ, შენდარად ჯვარზე აცვამენ,
ყველა „ავაზაკს" კალამნაწყმედილს
ერთი ლექსიც რომ ღმერთს განაცვალეს?!

გავაუხეშე სული აზიზი
ჩემში ისე, ვით ღამეს ნებავდა,
აღარ ილვიძებს მთვარე საზიზღრად,
არც ნამებს ვითვლი გათენებამდის...

ტყვია ცამეტი სადაც გაქრილა,
ჩქეფს აგონიად სისხლის „ფანტანი"...
ყველა ოცნება სადად აჭრილი
კვლავ მდის სიზმრებში გაუფანტავად...

ო, სივრცეები ჩემი მტერია,
ვებრძვი არტახებს, რითმებს, სტრიქონებს...
დღესაც თუ შევრჩი ამ ისტერიას
და სხვა სამყარო გამოვიგონე,

ხვალ შემინული სილალით ისევ
მნყურვალ ხარივით შევსვამ მზეს, მლაშეს,
კვლავ მწუხარების ჩრდილებს დავისევ
და დემონთ ჩემსავ მკერდს ვუფეშქაშებ...

დღეს კი...
ეჰჰ...
პალტო...
ღმერთო, ეს პალტო,
რით ვერ მალირსე წამლად რეტიანს,
რომ მოვირჩინო ერთობ დესპოტი
ხორცი — ჩვეული ხრამ-ხრამ ხეტიალს...

## სიჩუმე საჯდლაბნეთში...

იქ — უფლის სახლი:
მოლიპული ბილიკით, ვიწრო,
აქ — სუფრა, დახლი...
ოლიმპური სიმშვიდით გიმზერს...
მშვენიერება მგესლავივით ტყავს თავად იძრობს
და მოწყვეტილი ჩანჩქერივით წვება კლდის ქიმზე...

დაგვიანება — უმეცარი ნამყო, ნაგაზი,
ჩაფშვნილ ეშვებით იდეალებს ჩემობს მკვდრადშობილს,
ფერიცვალებას ფერუცვლელი ამკობს ლაგაზი
და მონატრებას — მოძმარული გემო ბავშვობის...

ვით ლომის ფიტულს, დაბზუიან ფანდით, ალებით,
ახლადგამომცხვარ იმპერიებს ხარბი ბუზები...
კარდინალურად შიშვლდებიან კარდინალები,
ხოლო ფრანტები ჰალსტუხიან ჰაბიტუსებით
ჩეხენ თვის გამზრდელს —
ღრმად აჭდობენ ლახვარს მუხაში,
რის ვარჯებქვეშაც შეიმეცნეს, რაც რომ იძიეს,
მათ ყოველ ჟესტში იხატება ზრახვა უხამსი,
მათი ყოველი გაელვება აკრთობს მიწიერთ
და მუხას ვნებულს, თითო, ორ-ორ ვარჯად უჯდება
ვერგამეტება, ვერგათელვა და დამუნჯება...

ეჰ... წარმავალთა მომავალი ადგენს მკვდართ სიას
და წამებულში მის ყოფილ „მე"-ს —
მკვდარ ლომს უსმენენ,
რადგან სიჩუმე საჯდლაბნეთში ვისთვის ფარსია,
ვისთვის კი მხოლოდ სამარეა ამოუვსები...

და მაინც...
წინ გზა — მოლიპული, ბილიკით ვიწრო,
რაც ყოველ მოკვდავს ოლიმპური სიმშვიდით ავსებს...
ბედნიერება? — მგესლავივით ტყავს თავად იძრობს
და მოსხლეტილი მეწყერივით
ეშვება ხრამზე...

* * *

აქ არც დელია, არც მარსელი, არც ციურიხი...
აქ სხვა ფერია დაჰკანკალებს ლპობილ მატერიკს...
თეთრი სიკვდილი (შავ მორალში) რეკს ციური ხმით
და სულს ისრუტავს ფერწასული
ობივატელის...

აქ, რახანია, აიფუტკნა ლაფანის კოშკი
და სხვა ჭია ღრღნის უნახნაგო აწმყოს — თითო ყვავს...
ვერც დიდებულთა სილუეტებს დალანდავ დროშკით,
ვერც გამაძლართა გაუმაძღარ „ალერსს" მოთოკავ...

და უმეტესად მზეჭაბუკის ამო მხარულით
ბრმა სიძაბუნე გეგებება გაშლილ ხელებით...
აქ სამოთხეა — სამოთხიდან გამოპარული,
გამოძიძგნილი ევებით და ვაშლის ხეებით...

...და ნამით ნამზე ამოლამბულ ჩრდილებს მიათრევს
სისხლდაწრეტილი ანგარება, ლხინით სუფრულით...

...თუმცა ხანდისხან ღვთის განგებით ჩნდება სინათლეც
და სინედლისგან დაცლილ გულებს
ფეთქვას უბრუნებს...

## იდუმალება უზენაესი...

*ტიციან ტაბიძეს*

ძველ დროს ყოველთვის მომეტებით მისტირის კაცი
(თუ მკითხავ: აწმყო უპირობოდ მოსასპობია!..)
და ამ უსაზღვრო, შეუფარდავ „ისტერიკაში"
ფერუმარილით კეთროვანი მოსავს ჭორფლიანს...

ალლო სილალის საწყისშივე მომსპობ არჩევანს
აქვს შეუმცდარი, მისკენ ლექსით თუ გაიჭერი...
იცი? — უმანკო ცრემლთა დენის მოსკოვს არ სჯერა,
ჩვენ კი ნიანგის სისხლშელოპრილ
ცრემლზეც გვიჭერენ...

...განა შეიძენს მიწიერი ვერცხლით მზის იერს,
როს მის საქმენი იმთავითვე აუგს ჩარხავენ?!.
თვით ლექსიც მიტომ ეთვისება მეწყერს მყისიერ,
რომ ვერ გადურჩეს მოყმე ცოცხლად დაუმარხავი...

დასაშვებია: ცა განუდგეს მძებნელს გალეშილს,
ეთიოპია ხვატს გაექცეს, ან მზე ლუგანოს,
თუმცა ფასს ჰკარგავს პედესტალი
მსხვერპლის გარეშე,
როგორც მუშტრისგან უარყოფილი ხრამზე დუქანი...

მსხვერპლის გარეშე ულმერთობაც უფასურდება,
ერთი ტყვია კი ათას კურდღელს უთხრის სამარეს...
არ ემძიმება სიმართლისთვის უფალს ხუნდები,
არ ემცირება სინათლისთვის ფურთხი ამ არეს...

...წყალმა წაილოს ჩრდილოეთიც, ეთიოპიაც,
სჯობს თავს საკუთარს რომც გაექცე, არ დაუმალო,
რომ ეს ცხოვრება უჟამკარო, ერთი „ჰოპ!"-ია:
დანარცხებამდის დამარცხება გარდაუვალი...

...და სააქაო უმზეობის ფურთხში ამოთხვრილ
ყოფიერებას როს წილ შხამთან მიაგუნდავებ,
ეტყვი, რომ ჰპოვე
სიზმარეთში კუთხე სამოთხის,
რომ იმ სამოთხეს საქართველო ჰქვია უდავოდ...
...და მხოლოდ მეწყერს თუ გაანდობ წმინდა იმ ალაგს
შენში, როს ლექსად აიძულებ მის დაფასებას...

...ბედნიერებას კი აქ ვერვინ ვერ დაგიმალავს,
რადგან, უბრალოდ, ჯოჯოხეთში
ის არ არსებობს...
\- - -
...იქნებ როდისმე მზემ მოაშთოს ურცხვად ეს ჩერო,
ხორცს დაენაფოს უკვდავება, როგორც მხეცი რომს,
მოსკოვს თუნდაც ზღვა ცრემლთა დენის
ნურც ხვალ ეჯეროს,
მაგრამ ნიანგის მკვდარადშობილ ცრემლზე ეცინოს...

P.S.
...დაჩეჩქვილ სულებს დამსხვრეული ძვლების ტკაცანი,
წარბშეუხრელი მძვინვარება მუზებრ ჩაესმით
და შეწირულთა მდუმარებას წლებით ნაცადი
იდუმალება ესალტება უზენაესი...

## მახე...

სიყვარული მახე არი...
აღიარე!
გრძნეულება — მწუხრთა რისხვა უხალასო,
ჭირხლმა: „რული, სახის არეს (დალიანი),
ჩვეულ ვნებას უხარისხოდ
უხალავსო"...

მოლაყბეთა ცეცხლი ბლავის რიხიანად,
მოცინართა ღიმი ჭკნება შრომწნისდარი,
ჰფონავს დღეთა — „მერცხალთ" ავი გზით ყიალი:
დაშაშრული ფრთებითა და დროშის ტარით...

თუ ფსკერს ელტვი, მოჰიკანო, ეს ფსკერია
(აბა, ციურ შარავანდედს ბრმას ვინ ანდობს?!).
ვნების ალი
აფეტიშებს „ექსტერიერს", —
ნდომის ალი — შეშლილ გრძნობის ასპირანტი...

ჭრელ ნილბებში ჩაკირული, ლალი ფარით,
სულთა წვისთვის რაც აროდეს არ დასჯილა:
სიყვარული —
ეს უზადო მახე არი:
სიკვდილამდის რომ ატყავებს კაცთა ჯილაგს...

P.S.
...ვისლა ვეცეკვოთ?..
აღარც ვუწყით...
ამდენი როკვით
შემოგვეყვლიფა უსუსური ტერფის თავები...
მგლის გვარზე ხტის-თქო, დავასკვენით,
ასპიტთან ძლოკვი
და გმობის ნაცვლად
მგლებადქცეულთ ვეფლირტავებით...

## მარტის არტი

*ყველაზე მარტივი მოტივი მარტია...*
გიო საჯაია

მარტივი
მარტო
მარტის
არტია,
მარტინესივით
მარტინნასვამი,
სიყრმით ორსული,
სიძვაფანტია,
თან მარტოსული
მარტინასავით...

## პარალელური ხაზები...

თუ ქარს მოიმკი, ქარიშხალს დასთეს
(აქ მე ნიავის დამთესს რა ვუთხარ!..)
და მერე იმ კრულ ქარიშხლის დასტებს
ღრმა და შეუვალ სამარხს გაუთხრი
შენში... დაცეცხლავ არყით და ჯინით
შეშლილთ, დააცვამ მაუდის ხურჯინს
და საარაკო ალხით დასჯილი
იმედოვნებას დაუდებ ბურჯად...
\- - -
...მე კი წვიმებში ჩაძირული, მორცხვის მანევრით,
სულს ვექაჩები წლებდაზაფრულს,
ხორცი მანელებს...

...დავაპაუზე ცხოვრება და მეც დავპაუზდი:
დამხრჩვალ თევზივით ვილუმპები დამშრალ აუზში...

ბესო ხვედელიძე

# სტუმარი

## ფრაგმენტი მომავალი წიგნიდან

*იმდენი ტყუილი მოროშა, თითონაც დეიჯერაო..*
*იმერული ანდაზა*



დასაწყისი პირველ გვერდზე

— ძელდაბაში რა სიკვდილი გინდოდა?! გირეკავდი! სულ გათიშული გქონდა!

— რამდენჯერ უნდა გამამეორებინო, ნიცა? კორპორატიულს ვგეგმავდით და საქირავებელი სახლის სანახავად ავედი... პირადად!

— სხვა ვერავინ ნახე იქ გასაგზავნად, გოგა?

— მძღოლს ხომ არ გავაგზავნიდი? ნიცა?! რეებს ბოდავ? დაბალ პოზიციებზე ვინც მყავს, იმათ რა იციან — რაა კაი, და რა — ცუდი? სად აქვთ გემოვნება და თვალი? მაგიტომაც არიან, როგორც არიან! უფროსმა ავილე თავზე!.. რა გიკვირს? ჩემში როდიდან გეპარება ეჭვი, ვერ გავიგე?!

— ვაიმე-ვაიმე! ნაგეყვანა ვინმე!

— რაში მჭირდებოდა? 15 წუთის სავალია ცენტრიდან მანქანით... შესვენებაზე გამოვვარდი... არც მითქვია არავისთან, სად მივდიოდი...

— და ახლა რას იფიქრებენ? რო არ მიხვალ...

— მივალ, ნიცა! ყველაფერი მოვიფიქრე! ჯერ ისევ სამსახურში გავივლი! დავენახები ხელქვეითებს!.. არ ვეტყვი არაფერს! დროზე! სადაა ჩემი პასპორტი? არქეო-ცენტრის ბეჭდით მივლინების შაბლონი ამომიბეჭდე ინტერნეტიდან!

— რა არქეო-ცენტრი? გაგიჟდი?

— ინტერნეტში ნახე მაგათი ლოგოიანი სამივლინებო ბლანკი. ოთხი დღის წინანდელი თარილი დააწერე!.. ალიბივით მექნება... შენი ძმის არქი-აპარატი სადაა?

— რად გინდა გიას აპარატი? ვერაფერს ველარ ვხვდები!

— ნუ მეკითხები! უნდა გადავრჩეთ! ყველაფერი მოვიფიქრე!

— გოგა, ლოგოიანი ბლანკის პოვნას, ტექსტის შედგენას და ამობეჭდვას ოცი წუთი მაინც უნდა!..

— მიდი, მერე!.. მე გამოვიცვლი და გადავივლებ! დროზე ქენი! შევვარდი მე აბაზანაში!

— კარგი, გოგა!

— სააგენტოში ვიტყვი, რომ სასწრაფოდ გამომიძახეს რეგიონში ინსპექტირებაზეეე! მივლინება ერთკვირიანი ჩაწერეეე! ტექსტი ჩემი სამივლინებო ტექსტებიდან დააკოპირეეე! თარილები შეცვალეეეე!.. ოთხი დღის წინანდელი თარილი დასვიიიი!

— და მივლინება სად ჩავწერო?

— ესე იგი... ხარაგაულის რაიონი! სოფელი ვარძია!

— აქ რომ მომადგნენ — რა ვუთხრა?

— მივლინებაშია უკვე მეოთხე დღეათქო. თუ გკითხეს — სად? უთხარი — რეგიონში! თუ ჩაგეძიენ — სააგენტოში მივიდნენ და იქ მოიკითხონ! შენ არ იცი! მანქანა თუ მოიკითხეს — არ იცი სადაა... ის გარაჟი ჩვენზე მაინც არაა! უნდა გავვარდე, ნიცა! ყველაფერი კარგად იქნება!

— რაღა უნდა იყოს კარგად? რა გვეშველება, გოგა? რა ვარძია? გამოქვაბულებში მიდიხარ?

— ეს სხვა ვარძიაა!.. ტელევიზორს უყურე! გამოაცხადებენ უეჭველი იმ ბავშვზე! დაგირეკავ! შენ რაც გითხარი — ის ქენი! მანქანას საბურავები შეუცვალე! გარეცხე სადმე მოიკაში.

— არ ეტყობა რამე? ნაკაწრი ან შეჭეჭყილი!

— ისევ ისეთია!

— გოგა, სულ ვერავინ დაგინახა?.. ან კამერები არ იყო სადმე?..

— რა კამერები, ნიცა! მიგდებული დაბაა... ადგილობრივები ყველა გადახვეწილია უცხოეთში! აგარაკები აქვთ ცარიელი სხვა იქაურებს და აქირავებენ თბილისელებზე...

— მერე?.. იქნებ მაგათ ჰქონდათ?

— რა?

— სათვალთვალო კამერები!

— ამდენი დრო არ მაქვს! წავედი! გაკოცე! ხაზზე ვარ მოკლედ!

— მიყვარხარ, გოგა!

* * *

ღამის სოფელი ისეთ ხმაზე ხვრინავდა, ცაზე ვარსკვლავები მთვარესთან ერთად თრთოდნენ.

— მასპინძელო! — ხრინწით შეუძახა პირველივე მხვრინავ სახლს ზურგჩანთიანმა წვეროსანმა, ხის ღობეს მკლავებით ჩამოეყრდნო და ყური მიუგდო. სახლში ჯერ საწოლმა გაიჭრიალა, მერე ბაცი ჩრდილები შეირხნენ. სახლიდან გამომავალი ხვრინვა მაინც არ განელებულა.

— მასპინძელოო! — გადაინაცვლა წვეროსანმა მეზობელი სახლის ღობესთან.

იქაც მთელ ხმაზე ხვრინავდნენ.

— ალოო!.. რა გძინავთ ეგეთი ყველას ერთად?!

ცოტა ხანში სახლის კარი ტვინისგამაწვრილებელი ჭრიალით გაიღო და ბნელში ვიღაცამ გარეთ გამოყო თავი.

— რომელი ხარ მადანა? — იკითხა ქალის გაბზარულმა ხმამ.

— მაპატიეთ, ასე გვიანობას რომ გაწუხებთ!..

— რომელი ხარ-თქვა მადანა?!

— არ ვარ, ქალბატონო, აქაური!.. არქეოლოგიური პროექტით გამანაწილეს თქვენკენ!.. — დაიწყო წვეროსანმა ახსნა, — ვინმე მინდოდა მენახა, უფროსი!..

— რასაა რო ღრიალებ მერე ატრუებული?!

— გვიანია, და არ ვიცოდი, ვის მივდგომოდი!

— ჩვენ უკვე გვძინავს! ნოდარი წყაროზეა! — თქვა ხმამ ცივად და კარიც მიიკეტა.

წვეროსანი ღობეს მოშორდა და დაფიქრდასავით. სავსე მთვარის შუქით განათებული სახლები ისევ უცნაურად ხვრინავდნენ. შუაღამის სიომ უცებ სულ სხვა მხრიდან სიცილ-ხითხითის ბუნდოვანი ხმებიც მოიტანა. წვეროსანი რაღაც ხანს ერთ ადგილას იდგა, მერე უცებ ტელეფონი აუწკრიალდა ჯიბეში.

— ჰო, ნატო... — აჩურჩულდა წვეროსანი მობილურში, — კი... ყველაფერი მოვაგვარე!.. კარგი რა? ხომ იცი, რა ჩურჩუტიცაა! დაიჯერა! მენატრები უკვე!.. კორპორატიულისთვის დაჩის სანახავად ვიყავი მარტო-მეთქი... ძელდაბაში... კაი რა! საერთოდ არ არსებობს ეგეთი! აბა, იმას ხომ არ ვეტყოდი, სადაც ვიყავით! ..სააგენტოში რა ხდებოდა?.. მიყვარხარ! არ ინერვიულო, ნატო... თუ რამე და — ნიცას ჩასვამენ!.. ამოვიდა მაინც ყელში! შენმა ბანძმა რამე ხომ არ შეგატყო?.. აუ, ახლა აქ იყო, რას გიზამდი! თან ტყეში ვარ, სიბნელეში!.. ჰაჰა!.. კაი! სააგენტოს მიხედე!.. აღარ დამირეკო! მე გამოვალ კავშირზე! მპუა!

წვეროსანმა მობილური გათიშა, ხელი გაბეზრებულმა ჩაიქნია და სიცილ-ხითხითიანი ხმებისკენ ორღობის გავლით გაეშურა. გზას ხელისცეცებით იკვალავდა. სახეში ალაგშემოშხუილებულ ფოთლოვან ხეთა ტოტებს ხელისგულებით იგერიებდა და განზე სწევდა. ხმები სულ უფრო და უფრო ახლოვდებოდა. ბნელი ორღობიდან გაძრომას რომ აპირებდა, უეცრად, წინ, საგრძნობლად იმატა სინათლემ. წვეროსანმა სიბნელიდან განათებული სოფლის წყარო დაინახა და გაინაბა. მჩქეფარე წყაროსთან მომცრო კოცონი ენთო, წყაროსთავზე ოცვოლტიანი ნათურა ბჟუტავდა. იქვე სოფლის კაცები შეგროვილიყვნენ, მათი გაწელილი და გაგანიერებული ჩრდილები ერთმანეთს ეტმასნებოდა. ფეხზე მდგომებს სავსე ჭიქები ეჭირათ. რამდენიმე იჯდა. იქნებოდნენ, ასე, ათამდე. წვეროსანმა შვებით ამოისუნთქა, ბნელი ორღობიდან გამოვიდა და წყაროსკენ შინაურულად გაუყვა.

ფეხის ხმაზე, და მერე სულაც უცხოს დანახვაზე, სოფლელები უწესრიგოდ აწრიალდნენ და ყველამ საკუთარ თოფ-იარაღს დაუწყო ძებნა. მთვარის შუქზე გამოსულმა წვეროსანმა მისკენ მიშვერილი ლულები რომ დაინახა, ადგილზე გახევდა, ზურგჩანთა ძირს დააგდო და ხელები ასწია.

— რა ხდება? ჰეი!.. არ მესროლოთ! სტუმარი ვარ!

სოფლელებმა ერთმანეთს გადახედეს. მერე ნოდარა-უფროსი გამოვიდა წინ და წვეროსანს თოფის ლულა მუცელზე მიადო.

— შენი ფეხით მოდი, არა? — ჰკითხა მერე ეჭვიანი ქირქილით და თავისიანებს გახედა.

— ვინ?.. რა ჩემი ფეხით? — დაიბნა წვეროსანი.

— გამოტყდი ეხლა და არ გინდა ლაქილუქი!..

— გაგიმარჯოთ, ხალხო! — მიესალმა დაბნეული წვეროსანი კაცებს, — რაში უნდა გამოვტყდე? თქვენ საიდან უნდა მიცნობდეთ?.. არქეოლოგიური გათხრების საერთაშორისო პროექტმა გამომანაწილა თქვენკენ... პირველად ვარ ამ მხარეში!.. ავტომობილს საბურავმა დაუშვა და აღარ გარისკა მძღოლმა! უკან გაბრუნდა... მე ძველი სასაფლაოს მხრიდან გადმოვედი...

ძველი სასაფლაოს ხსენებაზე სოფლელები ერთხმად აშარიშურდნენ და წვეროსანს წრე შემოარტყეს.

— აჰა! ძველი სასაფლაოო! — ნიშნისმოგებით გადახედა სხვებს ყველაზე მაღალმა.

— თავისი პირით თქვა! — დაუკრა კვერი მეორემ.

— რა გაქვს გუდაში? — მიარტყა თოფის ლულა ძირს დაგდებულ ზურგჩანთას ფეხი მესამემ.

— წეიკუნცხე და გახსენი შენი ხელით! — ნოდარა-უფროსმა წვეროსანს უბიძგა, მანაც მაშინვე ზურგჩანთასთან წაიჩოქა.

— რა გჭირთ, ხალხო?.. — ამოიხედა მერე ქვემოდან შიშით, — არქეოლოგიური პროგრამის ღია ტენდერში მივილე მონაწილეობა და თქვენთან გამანაწილეს!..

— გახსენი-თქვა, თვარა მიგყვერე ჩემი ხელით!

აფითრებულმა წვეროსანმა უცებ ამოალაგა ყველაფერი ზურგჩანთიდან.

— აგი რაია? — მიადო თოფის ლულა ნოდარა-უფროსმა მომცრო შავ ყუთს.

— არქეოლოგი ვარ-მეთქი!.. გათხრების კერძო პროექტებში ვმუშაობ!

— აგი რაია-თქვა?!

— შავი და თეთრი არქეოლოგიის შესახებ თუ გსმენიათ?.. — მთლად დამფრთხალმა წვეროსანმა რიგრიგობით მოუთვალიერა სოფლელებს სახეები, — ეს ჩემი სამუშაო აპარატი და მისი თანმხლები, დამხმარე ხელსაწყოებია!.. მეტალის და სხვა ლითონის საგნების მაძიებელი აპარატი თავისი არქეოლოგიური კომპლექტით: **Bounty Hunter**!.. უფრო გასაგებად რომ ვთქვა, არქი-მეტალ-დეტექტორი!..

— შავი და თეთრი — სამღვდელოება ვიცით ჩვენ! — დამცინავად დაიროხროხა ნოდარა-უფროსმა და ყველანი ერთხმად ახითხითდნენ.

— რას იბრიშტები აქანა?!.. — გამოიწია კიდევ ერთი ადგილობრივი, — ვინ ოხერი ხარ, პირდაპირ თქვი, დეილოცე, გადაყლურწე და მოძუძგე უკან! ამ ჯერზე მაინც არავის გაგატანთ! — მიაწოდა წვეროსანს იქვე ღვინით სავსე სასმისი. წვეროსანი ფეხზე წამოიმართა და გამოწვდილი ჭიქა ჩამოართვა.

— ხალხო, სოფელი ვარძია არაა ეს?.. ბორჯომ-ხარაგაულის ნაკრძალის ბოლო სოფელი! აგერ ა, ნახეთ!.. — მიაწოდა თან უბიდან ამოღებული ბლანკი ერთ-ერთს.

— მაგი რაღა ოხრობაა? — დაეჭვდა უცებ ნოდარა-უფროსი და ძველი სასაფლაოსკენ გაიხედა.

— ოფიციალური საბუთია, რომ წარმოვადგენ არქი-ცენტრის საერთაშორისო განყოფილებას. ძველ სასაფლაოს, ჩემზე უკეთ გეცოდინებათ, იქედანაც უდგება გრუნტის გზა. ეგრე ამომიყვანა მანქანამ და ველარ წამოვიდა მეტი... მეწყერი შეგვხვდა... — თქვა წვეროსანმა და ჭიქა ასწია, — დალოცვილები ყოფილიყავით!.. მადლი თქვენ, სიკეთე და ბარაქა! გავაბრუნე ტაქსი უკან, მარტომ მოვიგდე ჩემი ნივთები მხარზე და წამოვედი ფეხით. ბილიკს გამოვყევი... კი ჩამომალამდა ამასობაში! — წვეროსანმა სასმისი მოიყუდა და ბოლომდე გამოცალა.

სოფლელები მაინც ეჭვის თვალით უყურებდნენ.

პირველი ზორო გამოერკვა და იარაღი დაუშვა.

— არქეოლოგია, კაცო, გონია მართლა... — გადაუჩურჩულა გვერდით მდგომს, — რას ჩავაჭიჭინდით?.. საბუთიც უჭირავს...

— რაფერ ვიქცევით, ხალხო, სირცხვილია! — აჰყვა ზოროს ის გვერდით მდგომი. სოფლელებმა ერთმანეთს გადახედეს და უხერხულადაც შეიშმუშნენ.

— რა გჭირთ, ადამიანებო? მოხდა, კი მაგრამ, რამე? — გაშალა ხელები გაკვირვებული სახით წვეროსანმა. ყველანი დუმდნენ და განზე გაურბოდათ დარცხვენილი მზერა.

— ომი ხომ არ დაიწყო? — ხმაში შფოთი ჩაუდგა წვეროსანს.

წყაროელები ამ კითხვის გაგონებაზე უნესრიგოდ აწრიალდნენ. სირცხვილის ალმურმა თითქოს ერთდროულად დაურბინათ სახეებზე. წვეროსანმა ნივთები ზურგჩანთაში უცებ ჩააბრუნა და იქვე დაჯდა.

— გააპიპინე კიდო ერთი, ზორბა-სარდიონა! — უბრძანა ზორომ ბოცასთან მჯდომ მოდღლეზილ კაცს.

— არქეოლო-ლოგიო?.. და რა უნდა იპოვო აქ ეგე-გეთი?! — სიმთვრალისგან აშკარად ენას უკიდებდა სოფლის მხატვარ-ვეტერინარი მურმანა, — ერთი გაუ-გაუკაცუ-კაცურებული სოფელია!..

— ჩვენ სრულიად სხვა მონაცემებს ვეყრდნობით, მეგობრებო!.. იმერეთის სოფელი ვარძია დიდი თამარის დროს გაჩნდა აქ მე-12 საუკუნეში. თამარისვე ბრძანებით აშენდა აქ თქვენი ისტორიული ტაძარი — ეს მისი პირველი ბრძოლის შემდეგ მოხდა ურჯულოებთან, რომელშიც 16 წლის თამარი დამარცხდა მესხეთის ვარძიის გამოქვაბულებთან. უკან დახევისას ჩვენებმა თან გამოიყოლეს იქ მომლოცველი 400-მდე ქრისტიანი ბერ-მონაზონი. ვიდრე ის ნამდვილი, მესხეთის გამოქვაბულებიანი ვარძია უკან დაიბრუნეს, გეო-პოლიტიკური მნიშვნელობა რომ არ დაეკარგა, აქაურობასაც ვარძია ეწოდა! სწორედ აქ, იმერეთის ვარძიაში მოილოცავდა იმვარძიელი, ანუ იქიდან წამოყვანილი 400-მდე ბერ-მონაზონი... ნელა-ნელა გაჩნდა ტაძრის გარშემო დასახლება და შემდგომ სოფელი... კი უნდა იცოდეთ ეს ამბავი თქვენ! მე კიდევ, მეგონა, გზა ამებნა!.. — მიმოიხედა წვეროსანმა და ჯიბიდან ორად გაკეცილი ფურცელი ამოიღო, — აგერ თქვენ კიდევ ერთი საბუთი!..

გაგონილისგან სულ მთლად დაპატარავებულმა ბიჩოკიემ ნაბიჯი წინ გადმოდგა, წვეროსანს ფურცელი ჩამოართვა, გაშალა და ჩაიხედა. ცოტა ხანს ტუჩებს ჩუმად ბრეცდა. ბოლოს, ჩასწვდა რა დაწერილის შინაარსს, სხვებს დარცხვენით გახედა.

— ბეჭედიც ასვია გერბიანი!

* * *

— სოფლის უძველესი ლეგენდაა ამფერი... — მორცხვად გაბედა კოლამ.

— რამფერი? — კილოზე გასცინა წვეროსანმა, მაგრამ იქაურებს ვითომც არაფერი გაუგიათ, ისე გაუტარეს უკბილო კბენა.

— ასეა ჩვენკენ: ხანდისხან, აგვისტოს ბოლო სავსემთვარობას, ძველი სასაფლაოდან სიკვდილი მოდის... ხან დაიყანთრება და დაიჯღვარკება, ხანაც დაკვარკვალიტებული დაბაჩუნობს!..

— ჰაჰა! — გაეცინა წვეროსანს, მაგრამ სოფლელებს არც ამ სიცილისთვის მიუქცევიათ ყურადღება.

— ხანაც დაფსხლიკული და დაკუნტული დაკვინტრიშებს!.. — ჩამოართვა სიტყვა კოლას ნოდარამ.

— ჰაჰაჰა! — კიდევ უფრო ხმამაღლა გაეცინა წვეროსანს.

— ხანაც გამოსკვანჩული დაიკვანწება! — დაამატა ბიჩოკიემ, — გადაიხლინინებს სოფელს... დაფოთიალობს მასე და ვისაც ქე შეიგულებს ქენქერას, გააცუცურაკებს და გეიყოლებს!..

— მოიცათ! ვინ სიკვდილი? — შეჭმუხნა შუბლი წვეროსანმა.

— სამი წლის უკან მოხუცი ელენა წააშტრიკინა!.. ვერ ვნახეთ ვერსად. ქალაქის პატრულიც კი ჩეერთო!

— ჩამოვასხათ ელენა ბებოს ხსოვნის! — გასცა ბრძანება ნოდარა-უფროსმა და ზორომაც ყველას ჩამოუსხა.

— გაანათლოს-გაანათლოს! — ადუდუნდნენ წყაროელები.

— იმის ორი წლის წინ ქერა ლია წეიყვანა... — განაგრძო კოლამ თხრობა, — ძროხებმა ჩეიჯლიგინეს მისი ფანჯრის წინ... ჩვენმა მურმანამ ზედ სიყვარულის ახსნა დოუწერა, აბდლვიალებულ ქერა ლიას კიდევ, ამის გადამკიდე, სიხარულისგან გეესკლიცა გული... ასე დაგვირჩა მურმანა უცოლოდ და უსიყვარულოდ!..

— ჩამოვასხათ ლიასიც! — გასცა ისევ ბრძანება ნოდარა-უფროსმა და ზორომაც შეასრულა.

ლიას სახელის გაგონებაზე სოფლის მხატვარ-ვეტერინარი მურმანა ფეხზე წამობარბაცდა, ჭიქა ასწია, თითქოს რაღაცის თქმა უნდოდა, მაგრამ გატიალებულმა თავი ვერ შეიმაგრა და ჭიქიანად წყაროში გაადინა ტყაპანი.

— გეითხლიშა, გიო ბიძაშენი უკვე!.. — მიმართა ბიჩოკიემ იქ მყოფ სოფლელთაგან ყველაზე ახალგაზრდას, — გადაიკიდე და წეიღე სახლში. ეგ დილამდე მაინც ვერ გამოიშვინტილებს! ლიას ხსოვნა იყვეს!

ახალგაზრდა მაშინვე დაემორჩილა ასაკით უფროსს, წყალში ჩავარდნილი მურმანა კაშნესავით მოიგდო კისერზე და სიბნელეში გაქრა.

— ექვსი წლის უკან შერმადინი ჩეჩმაში გაბოდიალდა შუაღამისას, — განაგრძო კოლამ სოფლის ეპისტოლე, — ცოლმაც დეინახა ფანჯრიდან, მარა უკან გამობრუცუნებული აღარავის უნახია...

— შიდაც არ დაგვხვდა!.. — ჩამოართვა სიტყვა ზორომ, — დირეში რაფერ გაძვრებოდა ტრაქტორივით კაცი? მაინც მევშალეთ!.. ფიცრები ავყარეთ... იქ რომელი ჩახტებოდა?.. აგერ ზორბა-სარდიონამ კი, მაინც კაცურად ისკუპა!.. ამეიგანგლა, მარა ვერაფერი ნახა...

— მასე იყო ზუსტად! ის ზმურტლი ეხლაც ამდის!.. — ამოიროხროხა წყაროსთავზე აქამდე ჩუმად მყოფმა დიდრონმა სარდიონამ, — არადა, ნევსი ხომ არ იყო, იმოდენა კაცი ძლრენში დაკარქულიყო?..

— დღეს მეოთხე დღეა ამა წლის აგვისტოს სავსემთვარეობის!.. დღესაც ვუდარაჯებთ და მორჩა!.. დევისვენებთ ერთი წლით! სახლებში გვყავს მთელი სოფელი — ქალები, მოხუცები, ბოვშვები გამომწყვდეული, — დაასრულა თხრობა ნოდარამ და წვეროსანს გახედა, — ვითომ ძინავთ!.. ხვრინვით ატყუებენ სიკვტილს! ჩვენ კიდო ასე გამობლუწუნებულები ვდარაჯობთ აქ... ვინ მოგვერევა?

— თან ხომ მიარონიებს და მიარონიებს! — განაგრძო ბიჩოკიემ, — რაც ჩვენ გვახსოვს, მასეა! იმის წინა, უფრო ძველ გაქრობებზე რა სიკვტილი ვთქვათ?..

— ჰე-ჰე! — გაუნათდა მზერა წვეროსანს, — მოიცა! მართლა სიკვდილი გეგონეთ ანუ?

— თავიდან მართლა ვინცხა სიკვტილი და უბედურობა გვეგონე, ძამია! — უპასუხა ზორომ, — რავარია, შუაღამით მობოდიალებს სოფელში ვინცხა გაბლენძილი, მარა გიყურებთ და საბუთიანი, პატიოსანი კაცი ჩანხარ! აპარატით ხარ თან... ზორბა-სარდიონა!.. დაუქიქინა უკვე, რო კუსავ თვალებს ინდოურივით — შენთან დარჩეს ამელამ სტუმარი!.. კინკილად ხარ მაინც! დანარჩენს ხვალე მივხედავთ... ადე, ჰა!

— რავა?

— რავა და იმფრა!

ზორბა-სარდიონი ფეხზე წამოიზლაზნა. ის და წვეროსანი, ერთმანეთთან შედარებით, პარამეტრებში ისე ჩანდნენ, როგორც იმერული ინდაური და იაპონური ქათამი.

* * *

ეზოს სუფრა ბევრი არაფერი: თეფშით ფხალი, შოთი პურის რამდენიმე ნაგლეჯი, წყალ-წყალა წითელი ლობიო და პომიდვრის მჟავე კიდევ. ჟანგისფერი ღვინით სავსე გრაფინიც იდო ტაბლაზე, პირმოქერცლილი ორი თეფშიც იყო მოღრეცილ ჩანგლებიანად. წვეროსანი იქვე იჯდა და წვერზე ხელს ნერვიულად ისვამდა.

— ძამია-იმანო, შენი სახელის კითხვა ქე დამავიწყდა!

— გოგა! — გაუწოდა ხელი წვეროსანმა თავზე წამომდგარ ზორბა-სარდიონს.

— უხ! ჩემს დიშვილსაც გოგლიკო ქვია...

— მე მაინც უფრო გოგა ვარ, მასპინძელო!..

— რაფერც შენ იტყვი, ძამია!... დღეს ჩამომდის! ერთადერთი დიშვილი მყავს! იმფერი კვინტრიშაა, იმფერი! დოუზარელი! ყველაფერს მიგონებს... წყალზე მეგზავნება, პურზეც... თხილსაც მიბოჭავს ხოლმე. ხეზეც უყვარს ძრომიალი!

— რამდენისაა?

— ა, ემხელა! — აჩვენა ხელით ზორბა-სარდიონმა.

— ეგ რამდენი გამოდის?! ჰა-ჰა!

— ცხრის! ბიძიას ოქროა! ჩამომივა გადუდლნული და ჩემი ხელით უნდა ვალვრიჭინო წყაროს წყალში.

— ჰოო... ეს ყარაულობა როდისლა რჩება? — სიცილს ძლივას იკავებდა წვეროსანი.

— მეოთხე მამალი ქე რო დეიყივლებს!.. — უპასუხა ზორბა-სარდიონმა და თავადაც ჩამოჯდა ტაბლასთან, — შუადღის ავტობუსს გამოაყოლებენ ალბათ!

* * *

პირველი მამლის ყივილი მალევე გაისმა. პირველს მეორე აჰყვა. სადღაც გაღმა სოფლიდან მესამე მამალი აყივლდა. მეოთხე მეზობლად იყო. ეს იყო და მთელ სოფელში ხვრინვა ერთბაშად შეწყდა. წვეროსანს გაეცინა.

— წელსაც გადავრჩით! — დაირტყა მუხლისთავზე ხელისგული ზორბა-სარდიონმა და მეორე ფეხი გაიქნია.

დუნედ თენდებოდა. კაცები საპატიო ყარაულიდან შინ დინჯად ბრუნდებოდნენ.

ზორბა-სარდიონთან ჯერ კოლამ შემოჰყო ცხვირი წველა ყველით ხელში. მას ზორო და ბიჩოკიე მოჰყვნენ პრას-ხახვ-ნივრით და კიტრ-პამიდვრით სავსე ჯიბეებით. ნოდარამ ჭყინტი სიმინდები მოიტანა, ვაშლი და თხილიც... ჭიქებიც მაშინვე აჭახუნდა და სადღეგრძელოებიც ჩამორიგდა:

— შენი სტუმრობისა იყოს, გოგა-ბატონო! კილამ სიკვტილი და უბედურობა გვეგონე!.. მაგნაირების აქანა არ გაგიკვირდეს!.. მთაა. ძველ ადათ-წესებზე ვართ მიმბული! — იმორცხვებდა კოლა და ისედაც მოკუნტული, კიდევ უფრო მოკუნტული ჩანდა, — აგერ, ჭყინტი ყველი გადეილე! ჩემი ამოყვანილია... რას ამბობდი? რა უნდა იპოვოო?

— გაგიმარჯოთ, ხალხო! მადლობა მასპინძლობისთვის! იდღეგრძელეთ-აშენდით!.. — მოიყუდა ჭიქა წვეროსანმა და ბოლომდე გამოსცალა.

— ემასე! — გაეხარდა ზოროს, — პესოკი ზომაზე აქვს. არ გაგჟვლეპს!

— ჯერ მე თვითონაც არ ვიცი, რას ვიპოვი!.. — წამოდგა ფეხზე წვეროსანი, — მაგრამ ისტორიას თუ დავეყრდნობით, აქ მართლაც მნიშვნელოვანი რამ შეიძლება აღმოჩნდეს მიწის სიღრმეში... მაგას აპარატი გვეტყვის!

— ჩვენ მიწაში საუნჯეს რა გამოლევს! კაი დაქექილი კი ჩანხარ, ისე! — ჩაეცინა ნოდარა-უფროსს.

— ჰოდა, ვინ იცის... სახელი. ისტორია. ტაძარი. თამარი!.. ყველაფერი დიდი საიდუმლოსკენ გვიბიძგებს! — მედიდურად დაიწყო ჩამოთვლა წვეროსანმა.

— დაჯე-დაჯე! — დაუყვავა ხელით ბიჩოკიემ, — იშვიათად თუ ამოვა ვინცხა უცხო აქ მასე დასარჩენად. ცხრა თვე ცარიელია აქოურობა. თხუთმეტი სული ვრჩებით ხოლმე, ვადაგასული ბებრები და ერთიც ვატატყია დედაკაცი!.. ახლა არ უშავს — კია ჟრიამული, მაგრამ იმფერი ველარ, უწინ რო იყო!

— სულ ერთნაირად ხომ არ იქნება?.. — გამოთქვა აზრი კოლამ ქალაქურ კილოზე და ყველა გაალიმა.

— სნაკვი შენ! გადაშენდი აქიდან, რო იმწლიკვები უშნოდ! — დაუბრიალა თვალი ზორომ, — ჰოდა, აგერ კაცი რაცხა საინტერესოს აპირებს... ვუტიოთ! სტუმარ-მასპინძლობა ქე ვიცით და არ გვეშლება მაგი ამბავი...

— მე ამ კაი კაცს არ გოვუშვებ არსად! — გამოიდო თავი ზორბა-სარდიონმა, — ისეც მოყირჭებული მაქვს კინკილა თავი!

— გაიხარეთ!.. — გაუხარდა წვეროსანს, — დანარჩენი — აპარატი თავის დამხმარე ხელსაწყოებით აგერ მაქვს... ხვალიდანვე შევათვალიერებ სოფელს... ტაძარს... რამე სხვა ადგილებიც გეცოდინებათ!

— ჩვენც რომ გამოგყვეთ? — შეეკითხა ნოდარა, — თან გზას გასწავლით... მაინც ყურპაინტურს არ ხარ, რა საითაა!.. აგერ, ბიჩოკიე თავის მჟავე ღვინოს გამეიყოლებს და მევირთხათ მერე ფეხი წყაროსთავზე...

— ეგ მეც მინდოდა მეთხოვა!.. რომელი ორღობე საით მიდის, საიდან უნდა ვიცოდე?.. ემანდ, მეც სიკვდილმა არ მომიტაცოს!

— ან ვახტანგიეს ძროხამ გირქინოს პატრონივით! — გაეცინა ბიჩოკიეს.

— სუყველა გვიგულე!.. მე ზოროს მეძახიან! ზაურა ვარ ისე! მჭედელი!

— მერაბია ვარ მე! გოუმარჯოს! სოფლის მწყემსი ვარ მე!

— ისე ბიჩოკიეს ვეძახით შინაურობაში!

— კოლა გახლავარ მე, ჩემო ბატონო! სოფლის ბიბლიოთეკარი. ოღონდ ბიბლიოთეკა აღარა გვაქვს. დეიწვა პანდემიის დროს.

* * *

— გოგა!

— ჰო. ხომ მშვიდობაა, ნიცა?

— ტელევიზორში ანახეს ის ბავშვი!.. დამნაშავეს ეძებენ!

— მოკვდა?

— 48 საათია კლინიკური გათიშვა აქვს... ცხრა წლის ყოფილა. დილმის რესპუბლიკურში ყავთ... ბავშვთაში. გადარჩებაო!.. შენ სად ხარ?

— სოფელში... გათხრებზე... ხომ გითხარი?

— რა იცი შენ გათხრების?

— ალიბია ეს, ნიცა!

— ვის თხრი, კი მაგრამ?

— თამარ მეფეს!.. კაი, ნიცა! გაკოცე! აქ დენი არაა და ყველგან არ იჭერს ტელეფონს. დილაობით გამოვალ ხოლმე წყაროსთან და დაგელაპარაკები!

— მოიცა, გოგა!.. ვინაა აკაკი შადური?

— ააა... ეეე... ჩემი მოადგილის მეუღლეა! აკაკი შადური საიდანღა იცი?

— წელან დარეკა — და მე ყველაფერი ვიციო, რაც მოხდა წყნეთშიო და გამითიშა!

— ...

— გოგა, მთელი ცხოვრება რატომ მატყუებ?! რა ძელდაბა? ტელევიზორშიც წყნეთი თქვეს!

— ძელდაბა გვერდითაა!

— გადავამოწმე, გოგა! ტყუილია ეგეც! არ არსებობს ეგეთი დასახლება!..

— შენ თავს გეფიცები, ნიცა!

— კიდევ რა მომატყუე, შე ავადმყოფო-იდიოტო?!

* * *

— რაფერ მობლაზული შემოდი, გოგა-ძამია? — შეეკითხა ეზოში შემობრუნებულ წვეროსანს ზორო.

— არ ვიცი, აღარაფერი ვიცი! — ამოთქვა დაღონებულმა წვეროსანმა.

— რა არ იცი, ძამია? — ჩაეძია უფრო ღრმად ნოდარა-უფროსი.

— რაც მთავარია, მგონი, გადავრჩი! — თქვა წვეროსანმა და ჯირკზე მძიმედ დაეშვა.

— აბა, ყველა აქ ამომსვლელ ნაღდ სტუმარს გოუმარჯოს! — ასწია ჭიქა ბიჩოკიემ და უცებ გამოერკვა, — მეიცა, რას გადარჩი მაგისთანას, გოგა-ბატონო?

— სიკვდილს! — ამოიოხრა წვეროსანმა და სახე ხელისგულებში ჩარგო...



ეროვნული ბიბლიოთეკა



ზაზა ბიბილაშვილი

# პოეზია, დანარჩენი ლიტერატურა, და დანარჩენი

## 2024

•

თქვენი ახალი ნაწერის პირველწამკითხველად თქვენც იმ ადამიანს ამჯობინებთ, ვის გემოვნებასაც ენდობით, ვისაც ძალიან არ შეაწუხებთ, ვინც ნაწერს გულწრფელად შეგიფასებთ და ვისაც თქვენი ნაწერი მოეწონება?

•

კრიტიკის ერთ-ერთი მთავარი საზოგადო ნაკლი:

უარყოფითი გწყინს, დადებითი გწყენს.

•

ხელოვნურ ინტელექტს რამდენიმე ლექსი წავაკითხე და ვთხოვე, განეხილა.

იმის შთაბეჭდილებებს არ მოგიყვებით, ჩემი შთაბეჭდილება კი ასეთია:

აი, მაგის მასტურბირებალა გვაკლდა ლიტერატურაზე!

•

პოეტი რომ ბოდავს, რალაცნაირად კიდევ გასაგებია — აკი ბევრისთვის პოეტი, საზოგადოდ, ბოდავს. მაგრამ აი, კრიტიკოსის, ლიტმცოდნის ბოდვა მართლა რა უბედურებაა?!

•

როცა ვინმე გეტყვის, რომ ძალიან მაგარი პოეტი ხარ, სანამ თავში აგივარდებოდეს, ჯერ გაარკვიე, ამ ვინმეს სხვებისთვის რა უთქვამს მათი პოეტური შესაძლებლობების თაობაზე. შანსია, აღმოაჩინო, რომ „ძალიან მაგარი პოეტის" ეპითეტს იმათთან გენიოსის წოდება ცვლის.

ან პირიქით — თუ გინდა, რომ თავში აგივარდეს, არაფერიც არ გაარკვიო.

•

თუ პოეტი გქვია და „მთა და მდელო" და „საქართველო" არასდროს გაგირითმავს, ჩემგან მინიმუმ ერთი პლუსი გაქვს.

•

„იმიტომ ვწერ, რომ არ შემიძლია, არ ვწერო" — ამის მოსმენა იმისგან ხომ გამაღიზიანებელია, ვისაც შეუძლია, არ წეროს და მაინც წერს, მაგრამ იმისგან მაინც განსაკუთრებით, ვინც წერს, მიუხედავად იმისა, რომ არ შეუძლია, წეროს.

•

სხვათა შორის, „მზე ჩადის", „მზე ამოდის", „ვარსკვლავი მოწყდა", ცისა და დედამიწის ანტონიმებად შეპირისპირება და სხვა ასეთები, უბრალოდ, სინამდვილის აღწერა კი არა, მეტაფორებია, პოეზიაა. ეგ — როდიდანო? — თუ იკითხავენ, ვუპასუხებ: — ჯერ კიდევ იმ დროიდან, როცა შევიტყვეთ, რომ მზე კი არ ბრუნავს დედამიწის გარშემო, არამედ პირიქით; რომ ატმოსფეროში მოხვედრის გამო აალებულ მეტეორს ვარსკვლავისა არაფერი სცხია; რომ ცა და დედამიწა თავთავიანთი მასშტაბებით ყოვლად შეუდარებელი ობიექტებია... პოდა, იქნებ დროა, რომ პოეზიამ ეს ამბავი გაითვალისწინოს და ამ მეტაფორების გამეორებას თუ არ მოეშვება, ის მაინც აღიაროს, რომ უკვე მემრავალმილიარდეჯერ იმეორებს.

სხვათა შორის, ამაზე ლექსის დაწერაც შეიძლებოდა.

საერთოდ, შეიძლებოდა ახალ პოეზიაზე ფიქრი, იმის ფიქრიც რომ შეიძლებოდეს, რომ ამაზე ფიქრს რაიმე აზრი აქვს.

•

არის სიტყვები, რომლებმაც ჩვენ თვალწინ შეიცვალეს მნიშვნელობა. არის სიტყვები, რომელთა მნიშვნელობები ჩვენი არსებობის ათწლეულების განმავლობაში მყარია, მაგრამ აშკარაა, რომ ოდესღაც საფუძვლიანად შეცვლილა.

შეიძლება, ერთი შეხედვით ასეთებად არც მოგვეჩვენოს, მაგრამ მცირე დაკვირვება დაგვიდასტურებს, რომ „შესანიშნავი" და „არაჩვეულებრივიც" ნამდვილად უკანასკნელი ტიპის სიტყვების რიგიდანაა.

უბრალოდ, დაუჯერებელია, რომ მათით თავიდანვე ალტაცება, ალმატებული ქება გამოიხატებოდა და ერთიც და მეორეც მხოლოდ იმას არ ამბობდა, რომ საზლვრული ობიექტი მთლად ჩვეულებრივი, შეუმჩნეველი რამე (ან ვინმე) არ არის, რაც უთუოდ დადებით შეფასებასაც კი არ გულისხმობს.

მაშ, როგორ განვითარდა და შეიცვალა ამ სიტყვების ბედი? ზუსტად, აბა, მე რა ვიცი. წარმოდგენით კი ასეთი რამის წარმოდგენა შემიძლია:

„— ჰა, როგორია?!" — ჰკითხა თავის რომელიმე საკუთრებაზე, ნაქნარზე ან ქმნილებაზე მავანმა მავანს. კითხვადასმულმა მავანმა მიზეზთა გამო ვერ უპასუხა — ბევრი არაფერიაო და მით უმეტეს — არაფრად ვარგაო. ამიტომ პასუხად „არაჩვეულებრივია" და „შესანიშნავია" მოიფიქრა. ანუ მაგ შენს საკუთრებას, ნაქნარსა თუ ქმნილებას გვერდზე ისე ვერ ჩაუვლი, როგორც არაფერსო, შენიშნავო, რა. იქნებ ცოტათი დასცინა კიდეც შემკითხველს. აი, ისე, როგორც იმ ფილმში მოცარტმა — სალიერს, როცა მეორემ პირველს თავის ნაწარმოებზე აზრის გამოთქმა სთხოვა, პირველმა კი მიუგო: — როგორც კი მოვისმინე, მაშინვე მივხვდი, რომ ეს... ეს... სალიერიაო! ასეა თუ ისე, მთქმელის ნებით თუ უნებურად, მცირე ირონია „არაჩვეულებრივია-შესანიშნავიაშიც" ნამდვილად იგრძნობა...

მაგრამ ეტყობა, ყველაფერი ამით ვერ დამთავრდა. მიღებულმა პასუხმა აბეზარი მავანი ვერ დააკმაყოფილა (ან რას უნდა დაეკმაყოფილებინა — ვითომდადებით შეფასებას თუ ირონიას?). ამიტომ მორიგი „როგორიას" მოსმენისას მოპასუხე მავანი იძულებული გახდა, ნათქვამისთვის ინტონაცია ნაეშველებინა, რაც ჩვენ შეგვიძლია, პუნქტუაციით გამოვხატოთ: „შესანიშნავია! არაჩვეულებრივია!" ამასთან, არაფერი გვაიძულებს, გამოვრიცხოთ, რომ ამ ინტონაციით მოპასუხე მავანმა მხოლოდ გააძლიერა ირონია. სამაგიეროდ, მერე და მერე — იქნებ ისეთი დროის დადგომისას, როცა ქვეტექსტები ნაკლებად ესმით ხოლმე — ამ სიტყვებმა დღევანდელი მნიშვნელობა მიიღო.

რა თქმა უნდა, უფრო სავარაუდოა, რომ ყველაფერი სხვანაირად მოხდა, მაგრამ ლოგიკა არც ზემოთ წარმოდგენილ ვარიანტს ეწინააღმდეგება.

•

„არ შემილიას" მოსმენა კიდევ შემიძლია და აი, „შეულებელიასი" — უკვე შეუძლებელია.

•

არ ვიცი, დღევანდელ ქართულ შემოქმედებით ენერგიას თეორიულად „ფაუსტის" მხოლოდ თარგმნა შეუძლია თუ დაწერაც, მაგრამ იმას კი ვხვდები, რომ დღეს ჩვენში „ფაუსტის" თარგმნა კიდევ შეიძლება დაფინანსდეს, მისი დაწერისგან განსხვავებით.

•

მწერალმაც უნდა იცხოვროს, რა თქმა უნდა, მაგრამ ეს — ცხოვრება — მწერლის, როგორც ასეთის, პირდაპირი მიზანი, „საქმე" არ უნდა იყოს.

მწერლის საქმეა, ეცადოს, გაერკვეს, რა არის ეს — ცხოვრება.

•

ერთმა სპორტულმა პორტალმა გურამ კაშიას ეროვნული საფეხბურთო ნაკრების კაპიტნობიდან გადაყენება მოითხოვა — იმის გამო, რომ კაშიამ ხვიჩა კვარაცხელია მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელად არ დაასახელა (და დაასახელა „მხოლოდ" მესამე საუკეთესოდ მსოფლიოში!).

ამ ფაქტმა კიდევ ერთხელ დამანახა, თუ ჩვენი აზრით რისთვის არსებობენ მსაჯები, მოსამართლეები, ჟიური თუ საგანგებო კომისიები: არა იმისთვის, რომ მტყუან-მართალი, სიმართლე-სიცრუე, უკეთესი-უარესი გამოავლინონ და შესაბამისი შედეგი განაპირობონ, არამედ იმისთვის, რომ, უბრალოდ, ვინმეს მიემხრონ; თანაც, ნებისმიერ ვინმეს კი არა — ჩვენი მოსაზრება-დამოკიდებულებები გააფორმონ ოფიციალურად.

•

იმისთვის, რომ სპორტში ვინმეს რამე მოუგო, აუცილებელი არ არის, ის ვინმე გძულდეს.

ასე გამოვა, რომ მხოლოდ იმას უნდა მოუგო, ვინც გძულს; ან არავინ გიყვარდეს.

•

ევროპის საფეხბურთო ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე გასვლის სიკეთეებიდან:

ერთ-ორ დღეს ხომ გვეყვარება ერთმანეთი.

მერე კიდევ მოვიგებთ რამეს — ძიუდო, ისა, ესა.

•

საფრანგეთი თავისი კოლონიური პოლიტიკის შედეგებს ახლა იმკის!.. ოლიმპიური მედლების სახით.

•

მარაზმი კია ამდენი საზამთრო დღესასწაული, მაგრამ ისიც მართალია, რომ ამ ცანცარში, სულ ცოტა, ნახევარი ზამთარი გადის ხოლმე.

•

8 მარტი არის „დღესასწაული", რომელიც ქალთა და მამაკაცთა გათანასწორების მოსურნე საზოგადოებამ, წესით, მალე უნდა გააუქმოს.

უბრალოდ, უხერხულია, ვთქვათ, მელიორატორებს, სამთო ინჟინრებსა და ქალებს თითო დღე „ჰქონდეთ" წელიწადში, რაც, ბუნებრივად, იმას ნიშნავს, რომ დანარჩენი დღეები არამელიორატორების, არასამთოინჟინრების და არაქალებისაა. ეს მოვლენა ჩვეულებრივად ჯდება იმავე კონტექსტში, რომელშიც ზის ერთი ცნობილი ფეხბურთელის ნათქვამი (სხვათა შორის, ქალების მხარდასაჭერად), რომ „ქალები ცხოვრებას გვილამაზებენ", ან სულაც იუმორისტული ფილმიდან ფრაზა — „ქალი ადამიანის მეგობარია".

რა უჭირდა, ამ დღის აღნიშვნა ქალთა უუფლებობას, მამაკაცებთან მათი გათანასწორების მცდელობასა და ამისთანებს რომ გულისხმობდეს, და არა ქალებისთვის რაღაც საოცარი დღის მილოცვას და ამით მათ გაბედნიერებას (თუნდაც საჩუქრის დამატებით და იმის გათვალისწინებითაც, რომ ზოგ საჩუქარს შეუძლია, სიხარულის საფუძველი შეიქნას).

აქვე ვაღიარებ, რომ მილოცვის კატეგორიულად მომხრე ქალებისთვის ამასაც არ დავინანებ, მაგრამ შევეცდები, რამენაირად ისიც გამოვხატო, რომ მათ იმაზე გაცილებით სერიოზულად აღვიქვამ და ვეკიდები, ვიდრე ეს მათთვის „ქალთა დღის" მილოცვით გამოიხატება.

•

ეჰ, ამ საბანკო ბარათებმა გააფუჭა საქმე, თორემ ადრე სეზონების ცვლილებისას ტანსაცმელში იმდენ ფულს პოულობდი, საერთოდ აღარ გჭირდებოდა მუშაობა.

•

ბინაში (და თითქმის მთელ ქალაქში) წყლის მოწოდების შეწყვეტიდან რამდენიმე დღეში მივხვდი: კონდიციონერის მთავარი სიკეთე ის კი არ არის, ჰაერს რომ აგრილებს, არამედ ის, რომ წყალი გასდის.

•

„განკითხვის დღე" ან „საშინელი სამსჯავრო" — დაარქვი, რა, შესაფერისი სახელი.

რა — „ფეისბუქი", რისი — „მეტა".

•

ყველაზე დიდი საშინელება, იცით, რა არის?

ფეისბუქის გათიშვის გამო პანიკაში რომ ხარ და ისიც არ შეგიძლია, ეს პანიკა ფეისბუქზე გამოხატო!

•

სოციალურ ქსელში ერთს ვუთხარი — შენი აზრები ზუსტად იმდენად მაინტერესებს, რამდენადაც შენ გაინტერესებს ჩემი აზრები-მეთქი და „ფრენდებიდან" წამშალა.

რა თქმა უნდა, ვიაზრებ და ვაღიარებ ჩემს დანაშაულს.

შესაბამისად, საჯაროდ ვაცხადებ, რომ დანარჩენი „ფრენდების" აზრები იმაზე ზუსტად ორჯერ უფრო მეტად მაინტერესებს, ვიდრე იმათ აინტერესებთ ჩემი!

•

რომ ვაკვირდები, საფეისბუქე პოსტი ლექსზე ადვილად იწერება. არადა, „ამოგება" ლექსზე მეტი აქვს.

•

ზოგჯერ მგონია, რომ ფეისბუქზე ჩემს პოსტებს თითქმის ვერავინ ხედავს, რაც მაქეზებს, უფრო თამამად ვწერო სიმართლეები.

•

არანაირი აზრი არა აქვს კამათს ფეისბუქზე.

ზუსტად ისევე, როგორც ნებისმიერ სხვა ადგილზე.

•

ზოგი სანამ არ გაძაგებს, კი ვერ მიხვდები, რომ როცა გაქებდა, მაშინაც ბრიყვი იყო.

•

იმდენი ჭკუა რომ გვქონდეს, რამდენსაც ვარიგებთ, ჭკუის დასარიგებელი არავინ იქნებოდა.

•

მიუტევე მოყვასს პოლიტიკური სიბეცე, სიჩლუნგე თუ გულუბრყვილობა.

მით უმეტეს, რომ ბოლოს შეიძლება ეს ყველაფერი, მას კი არა, შენ დაგიდასტურდეს.

•

სულ ამ მოვლენაზე ვლაპარაკობთ და მასაც ვერ დავარქვით ნესიერი სახელი.

რა „არჩევნები"?

რა თქმა უნდა, კალკია. სინამდვილეში, ეს პროცესია, ზმნაა — არჩევაა, და არა არსებითი — არჩევანი.

•

ვიცი, აუტანელია, სხვა რომ შენს მხარეზე არ არის. ამიტომ ძალიან მინდა, თქვენს მხარეზე ვიყო. მაგრამ ერთი პრობლემაა: სხვადასხვა მხარეზე ხართ.

•

განა შესაძლებელია განსაზღვრა, როდის რისი, რა თანმიმდევრობით სწავლებაა სწორი, ოპტიმალური? საერთოდ, რა უნდა ასწავლო და რა არა? განა შეიძლება, არ შეცდე?

უამრავი ფაქტორის გამო არა ვარ მასწავლებელი. მათ შორის ეს კითხვებიც იგულისხმება.

•

თუ გვინდა, სამართლიანები ვიყოთ, ვიდრე ბავშვების სათნო და კეთილ ადამიანებად აღზრდას შევუდგებოდეთ, ჯერ ერთი საშინელი საქმე უნდა ჩავიდინოთ — ისინი უნდა გადავარჩიოთ. ყველას ერთად თუ დავუწყებთ სიკეთისა და სათნოების ჩანერგვა, ასეთ შედეგს მივიღებთ: ჩვენი მცდელობა სიკეთისა და სათნოებისადმი ბუნებრივად მიდრეკილ ბავშვებზე გაჭრის, სხვებზე კი, ასე ვთქვათ — ნაკლებად. შესაბამისად, გავზრდით შანსს, მომავალში მეორეებმა დაჩაგრონ პირველები. ხოლო თუ კონტინგენტს წინასწარ გადავარჩევთ და სიკეთისა და სათნოების ჩანერგვას მხოლოდ ბუნებით სასტიკ ბავშვებში შევეცდებით, ზემოხსენებულ შანსს, პირიქით — მცირედით მაინც შევამცირებთ.

მთავარი პრობლემა ის არის, რომ ეს უფრო ბელეტრისტული იდეაა, ვიდრე რეალისტური. დაახლოებით სწორედ ამაზე დავწერე კიდეც „ნახევარზღაპარა"...

•

კითხვის რა მოგახსენოთ, მაგრამ, აი, წერა სულ, სულ ბოლოს უნდა ასწავლო ადამიანს — სხვა ყველაფერს რომ ისწავლის, მერე.

•

„დრო რომ იტყვის თავის სათქმელს" და სიცოცხლეში დაუფასებელსა და გაჭირვებულს სიკვდილის მერე აღიარებენ, ადამიანის თავს მომხდარი ამაზე დიდი უსინდისობებიც არსებობს, მაგრამ ამის ზომასაც არაფერი დაენუნება.

სიცოცხლეში ხომ მიჩქმალეს, სიცოცხლის მერე უკვე მისი დანატოვრით სარგებლობენ: ზოგი ამ დანატოვარს სწავლობს; ზოგი ამ დანატოვარს ასწავლის; ზოგს ამ დანატოვრის შესწავლა და ანალიზი თავის შემოსავლიან საქმიანობად უქცევია; ზოგს დროშად უჭირავს ეს დანატოვარი თუ მისი ბუტაფორია...

ან სიცოცხლეში დაფასება ვის შერჩენია და სიცოცხლის მერე ვის გამოსდგომია. და სიცოცხლის მერე დაფასება — ხომ საერთოდ...

•

ადამიანების მიმართ დამოკიდებულების ორი ტიპია განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და იქნებ ძირითადიც:

1. ადამიანებს (ან ადამიანების კონკრეტულ ჯგუფს) უყურებ, როგორც გამოყენების ობიექტს, სარგებლის მოპოვების წყაროს, საკუთარი სიკეთის მიღწევის საშუალებას.

2. ადამიანებს (ან ადამიანების კონკრეტულ ჯგუფს) უყურებ, როგორც თანამოძმეებს, ვისთან ერთადაც უნდა მიაღწიო რაიმე სიკეთეს, სარგებელს, ვისი გაზრდა, კარგად ყოფნა, წარმატება შენი კარგად ყოფნისა და წარმატების აუცილებელი პირობაა.

თუკი შენი დამოკიდებულება პირველი ტიპისაა, შენთვის უმჯობესია, საქმე გქონდეს რაც შეიძლება ბრიყვ, გონებაშეზღუდულ, მორჩილ მასასთან. მეორე შემთხვევაში — პირიქით. და რაკი პირველი ტიპის შემთხვევა გაცილებით უფრო ხშირია, ვიდრე მეორე, ისინი უფრო ხშირად აღწევენ წარმატებას, ვისი ცხოვრებაც ადამიანებთან პირველი ტიპის დამოკიდებულებას ეყრდნობა, ვიდრე მეორენი.

•

მიიღო ადამიანი ისეთი, როგორიც არის.

ხინჯს ვერ უპოვი, ისეთი დამოკიდებულებაა — დიდსულოვანი და, რაც მთავარია, სწორი: ვინ ხარ, რა უფლება გაქვს, სხვისი გადაკეთება მოინდომო და იკისრო? თან, ობიექტურად ვინ დაადგინა, რომ ამა თუ იმ ადამიანის შენთვის სასურველი ვერსია მის რეალურ ვერსიას სჯობია?

მაგრამ მე მაშინაც არ გაგკიცხავ, თუ ვერ ახერხებ ამას — მიიღო ადამიანი, კონკრეტული ადამიანი ისეთი, როგორიც არის. არ გაგკიცხავ იმიტომ, რომ შეიძლება ეს, ზემოთ ნახსენების საპირისპირო — სულმოკლე დამოკიდებულების გამოხატულება კი არა, შენი პირადი ტრაგედიის ნიშანია. შენი, ვისაც ზოგადად ადამიანზე ზოგადად უკეთესი წარმოდგენა გქონდა, გინდა — მისი ღვთიური წარმოშობის რწმენისგან, გინდა — ბავშვობაში ჩანერგილი ცოდნისგან, გინდა — წიგნებისგან ნაწყალობევი. ასე იცოდი: ადამიანი კარგია, სიკეთეს ემსახურება, გაჭირვებულს ეხმარება, ბოროტებას ებრძვის და, რა თქმა უნდა, ამარცხებს კიდეც. ადამიანთაგან თუ მაინც ვინმეა ავის მსახური — ცოტაა და გზას აცდენილი, და ბოლოს ისიც, კეთილი უმრავლესობის ძალისხმევით, ან გამოსწორდება, ან (რას იზამ) გაირიყება...

აი, აქ ხარ ცოდო. აქ ხარ დამარცხებული. განწირული ხარ, ვერასდროს მიხვდე და თუ მიხვდი — დაიჯერო, სინამდვილეში ვინ, რა, როგორი არის ადამიანი; შესაბამისად, ვერასდროს მიიღო ის ისეთი, როგორიც სინამდვილეშია.

•

აკი მხოლოდ ჩვენ — ადამიანები — ვცხოვრობთ და დანარჩენი — ცოცხალიც, არაცოცხალიც — ამ ცხოვრების ანტურაჟია. მათი არსებობის მნიშვნელობას ჩვენ მიმართ მათი პოზიცია განაპირობებს: შინაური ცხოველები, მავნე მწერები, სასარგებლო წიაღისეული, ბოროტი სული...

და სინამდვილეში სულ სხვა ვიღაცები რომ ცხოვრობდნენ და ჩვენ — ადამიანებიც — მათი ცხოვრების ანტურაჟის ნაწილი ვიყოთ — რატომ ვერა ვითომ?

•

ვამბობთ, ვწერთ — „ჩვენ, ადამიანები". და არ ვიაზრებთ, რომ ამ გამონათქვამში, წესით, ერთად ვიგულისხმებით ის კონკრეტულებიც, ვინც ამას ვამბობთ და ვწერთ, მოსეც, იუდაც... იესოზე თავს ვერ დავდებ... პილატეც, სოკრატეც, ესქილეც, ევრიპიდეც, ალექსანდრე მაკედონელიც, იულიუს კეისარიც, კლეოპატრაც, ბრუტუსიც, ნაპოლეონიც, ჟოზეფინაც, შოთა რუსთაველიც, უსახელო უფლისციხელიც, ჰიტლერიც, სტალინიც, ლოთი, ნარკომანი თუ ცხოვრების ჯანსაღი წესის მიმდევარი მეზობლებიც... და კიდევ უამრავი ვინმე, ვისაც არ ვიცნობთ ან ვინც ასეთი ჩანაწერების ჩაწერის დროს არ გვახსენდება.

ჰოდა, რა ვიცი, რანაირად უნდა გააგრძელო ფრაზა — „ჩვენ, ადამიანები"?

•

წარმოიდგინეთ: ზოოპარკის ცხოველი კარგად მოქცევას ცდილობს, თან ცალი თვალი მომვლელზე უჭირავს და ფიქრობს: „ხომ ხედავ, რა კარგად ვიქცევი? ამიტომ იქნებ ცოტა მეტი მაჭამო"... ეს „კარგად მოქცევაც" შეიძლება ისეთი საეჭვო რამ იყოს, როგორიც მომვლელისადმი ლაქუცი, მისი ფეხების ლოკვა, მისი მოსახიბლი ჰანგის ყმუილია...

რამეს (ან ვინმეს) ხომ არ გაგონებთ?

•

დავაკვირდი და რატომღაც ასე მომეჩვენა:

რამე ნაგავი უნდა აკეთო, ფული რომ იშოვო — საარსებოდ აუცილებელი ფულიც კი, გამდიდრებას არ ვგულისხმობ. და მერე როგორმე უნდა გამონახო დრო იმისთვის, რომ ნამდვილი რამეც გააკეთო.

თანდათან ეჩვევი კიდეც ამას, თითქოს ასეც უნდა იყოს.

მაგრამ რატომ? რატომ არ ღირს არაფერი ის, რაც „ღირებულია"?

ვაზუსტებ — პათეტიკის გარეშე ვკითხულობ.

წესით, ღირებული ხომ ღირებული უნდა იყოს, იაფი — იაფი და უფასო — უფასო?

•

მარტოობის ერთი საჭოჭმანო საჩუქარი ყველას და ყველაფრის ობიექტურად დაკვირვების შესაძლებლობაა (დაზღვევისთვის, აბსოლუტურ ობიექტურობას ნუ ვიგულისხმებთ).

აქ არ არის ურთიერთობები — ობიექტურობის პირველი მტრები. შესაბამისად, ისინი ვერ გაიძულებენ, ადამიანების, ფაქტების, მოვლენების მიმართ კონკრეტულ მომენტში შენთვის სასარგებლო პოზიციის შესაბამისად ან მათი შენდამი დამოკიდებულების მიხედვით განეწყო. ამასთან, როცა არ მოქმედებ, უფრო მახვილად ჭვრეტ.

საჭოჭმანო კი შეიძლება ამისგან გამოწვეული შედეგი იყოს: ცინიზმი, გაბოროტება, სასოწარკვეთა ან კიდევ ერთი-ორი სხვა უვარგისი რამე.

•

შენი თავი თუ არ გიყვარს, არავის ეყვარებიო. ეგ არ ვიცი, მაგრამ ეს ხომ ფაქტია: შენი თავი თუ გიყვარს — მინიმუმ, ერთ ვინმეს უყვარხარ.

•

ვინმეს ერთგულება თუ შეჰფიცე, სიმართლის ერთგულებას ნუღარ შეჰფიცავ; იქით სიმართლესაც ნუღარ შეჰფიცავ, შენი ერთული ვიქნებიო.

არ ხდება ეგრე — სიმართლე ყოველთვის ერთი ვინმეს მხარეს არ არის ხოლმე.

•

სიმართლის მთქმელს ცხენი და კაი ცხოვრება ვინ მიაშავაო.

ასეც შეიძლებოდა თქმულიყო.

•

კაცო, როცა აზრის გამოთქმას გთხოვ, ჩემი აზრი უნდა გამოთქვა, თორემ შენი აზრი რაში მაინტერესებს?!

•

აზრის გამოთქმის თანაბარი უფლება გამოთქმული აზრების თანაბარ ღირებულებას არ ნიშნავს.

•

აზრის გამოთქმის საყოველთაო უფლება იმას არ ნიშნავს (არ განაპირობებს), რომ გამოთქმული აზრების უმეტესობა სისულელე არ არის.

თუ ჩავუღრმავდებით, პირიქითაც კია.

•

ცხოვრება გრაფომანის დაწერილ წიგნს ჰგავს — შიგ თითქოს ყველაფერია, გამოტენილია ამბებით, დიალოგებით, ტრაგედია-კომედიებით... დაამთავრებ და საბოლოოდ მიხვდები, რომ სისულელე წაიკითხე.

•

ადრე მეგონა, სამოთხეში დავიბადე. მერე მეგონა, სამოთხეს ავაშენებდით. ახლა მგონია, სამოთხეში მოვხვდები.

რა ვიცი, რაღაცაში როგორ არ გამიმართლებს?



## თორნიკე გოგნიაშვილი



## მეზღვაური

მეზღვაური გემბანზეა, მას აღარაფერი აშფოთებს, მხოლოდ სინანულით იხსენებს ფრაგმენტებს თავისი ცხოვრებიდან: სახლს, რომელიც გაჭირვების გამო გაყიდა, შეყვარებულს, რომელმაც მიატოვა, მშობლებს, რომელთა სულებიც მაღლა აფარფატდა და საყვარელ ქალაქს, რომელიც დატოვა... მიდის. მუსიკას უკრავენ, ზღვა სიშავეშია ჩაკარგული, მისი სინანულიც ზღვისტოლია, ისიც სიბნელეშია ჩაკარგული...

## ჩაი

ჩაი... ვდგამ, ორთქლი სახეზე მეხვევა, წამწამებზე მედება, ოდნავ სიმძიმეს ვგრძნობ, ნელ-ნელა იწყებს თვლემა მოსვლას, მიტყუებს, მეპარება როგორც მელია ჩიტს, მერე ვფხიზლდები. მხნედ ვარ, მოგონებები მოდიან, დიდად არ ვუკვირდები შინაარსს, სწრაფად ენაცვლებიან ერთმანეთს, მე დისტანცირებული ვარ ყველაფერთან და ეს დისტანცირება წარსულთან შვებას მგვრის. უემოციო ვარ, ახლა ამ მოთენთვას თითქმის ყველანაირი მოგონება უხდება, განსაკუთრებით მოგონება ზამთარზე, დათოვლილ ხეებსა და გულში არეკლილ ოცნებებზე. ჩაის კვამლში ჩავიძირე. მედიტაციას ჰგავს... როცა უბრალოდ კმაყოფილი ხარ არსებობით, როცა ყველაფერი უბრალოა, უგრძნობლობით ხარ ბედნიერი...

## ასე იყო

დავჯექი... დავლიე რძიანი ლიქიორი... შევჭამე ნუშის ნამცხვარი და გავიხსენე რაღაცები ღრმა ბავშვობიდან...

აქ დგას ლარნაკი დიდი მწვანე ბალახებით...

აქ დგას წიგნების კარადა და შავი პიანინო...

ავხადე პიანინო, ნელა დავყარე თითები ზედ...

გავიხსენე ძველი წიგნები...

შევურიე ეს გახსენებები ბავშვობის მოგონებებს...

აირია ლიქიორი...

მოგონებები და გული გახდა ანდრე ფრენოს პოეზიასავით მელანქოლიური...

რატომ ფრენო?

არ ვიცი...

პიანინომ აახმაურა სევდა...

კარადიდან წამოსულმა მტვრის სუნმა აანთო სული...

ასე იყო ეს ყოველივე...

## ხმები შორიდან

— რა არის ცხოვრება?

— ცხოვრება? მე ასეთ რამეს არ ვიცნობ...

— აბა, რას იცნობ?

— მე არაფერს ვიცნობ...

— არც საკუთარ თავს?

— კი!

— ვინ ხარ?

— ლახვარი ვარ ფარისეველთა და ცრუთა გულში!

## აურა

ნიკომ სიგარეტს მოუკიდა და გზას გახედა, აქეთ ქვიანი, უშნო გზა იყო, უფრო იქით პატარა კორომივით. აივანზე იდგა, თავისი მეუღლეც იქ იყო, ისიც გზას უყურებდა...

ნიკო, ნაძველბიჭარი, ემოციური ახალგაზრდა კაცი იყო, ათას ქაოსში გამოვლილი და ათასი სიტუაციიდან გამომძვრალი, ქალაქელი... ახლა, რაც ასაკი მოემატა, რაღაცებს სხვა თვალით შეხედა — მოუნდა, ქალაქთან ახლოს პატარა სახლი ეყიდა, მეუღლესთან, შვილებთან ერთად წასულიყო და დაესვენა ზაფხულის ცხელ დღეებში. ახლა განცხადება ნახა და ამის გამო იყო ამ აივანზე. ძველი სახლი გახლდათ, შელახული კედლებით, შელახული ჭერით, მორყეული ჭიშკრით — პატარა ბაღი ჰქონდა, მაგრამ ნიკო ფიქრობდა, რომ ესეც საკმარისი იყო; ხეებს განახლება სჭირდებოდა. უკვე გადაწყვიტა, ეზოში რამდენიმე ძირი ვაშლი, ატამი და ალუბალი დაერგა, კიდევ რამდენიმე სხვა ხეც... სახლის მეპატრონე ტანდაბალი, მსუქანი კაცი იყო, იგი აქვე ახლოს იდგა და გაშტერებული ადევნებდა თვალს გზას, აივნის მეორე მხარე სხვის სახლს გადაჰყურებდა, უფრო სწორად, აივანს, აივანი აივანზე იყო მიბჯენილი, აქ რამდენიმე ადამიანი იჯდა და ფუსფუსებდა. სიცილის და ლაპარაკის ხმა ისმოდა...

— მოკლედ, ასეა რა, რაც ნახეთ ეგ არის! მოიფიქრეთ! — თქვა მეპატრონემ.

ნიკომ თავი დაუქნია... ნიკოს მეუღლე ნიკოსთან მივიდა:

— რას იტყვი?

— ვნახოთ... — უთხრა ნიკომ.

ნიკო ორჭოფობდა — ფან მოსწონდა, ლამაზი ეზო ჰქონდა სახლს, მაგრამ თან სახლი ზედმეტად შელახულ-შელანძღული ეჩვენა, გაკეთებაში ბევრს გამოართმევდნენ...

აივანზე ნუში გადმოწეულიყო, გაზაფხული იყო, ყვაოდა ნუში... ნიკოს მეუღლე ყვავილებისკენ წავიდა, ნიკოც გაჰყვა ინსტინქტურად, ნიკო იქით შეტრიალდა. უცებ მეზობლების აივანზე ერთ ქალს მოჰკრა თვალი, ქალი გამხდარი იყო, შავგვრემანი, მოკლედ შეჭრილი თმა ჰქონდა, თავად ქალს აქეთ არ ამოუხედავს, მხოლოდ ნიკომ შეამჩნია — საიდან ეცნობოდა? ნიკო შეცბა, მერე ფიქრებში წავიდა, ვერ გაიხსენა, ნუშის ყვავილებისკენ წავიდა, მეუღლემ გაუღიმა, მერე სახლის მეპატრონე მათთან მივიდა და უთხრა:

— გაცინოთ?

უკვე გაეცინათ.

— დიახ! — მიუგო ნიკომ.

—ერთხელ ამ ხეზე ავედი, ბურთი გაიჭედა ტოტებში, ჩამოვვარდი და ძაღლს დავეცი ზედ! საცოდავი ძაღლი, ვაიმე, რომ მახსენდება ხოლმე! — კაცმა ხმამაღლა გაიცინა.

ქალმა გაიცინა, ნიკომ თავშეკავებულად, მან ისევ იქითკენ გაიხედა — არა, ეცნობოდა ეს ქალი და აი, უცებ მოაგონდა... რამდენიმე წლის წინათ ერთ ოჯახში მოხვდა — საქართველოში როგორც ხდება ხოლმე ჩანგალზე; იქ ჩხუბი დაიწყო, ნიკოს ერთმა უხეში სიტყვა უთხრა, სიტუაცია აინეწა, საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ იარაღზე გაივლეს ხელი. იქვე ერთი ქალი იყო — უშნოდ, თავაშვებულად ხუმრობდა, მერე პიანინოზე დაუკრა და იმღერა... აქ საიდან? აქ საიდან ეს ქალი? ფიქრებიდან გამოფხიზლდა, მეუღლეს ხელკავი გაუყარა და სთხოვა, წასულიყვნენ.

— კარგი, კიდევ რამდენიმე სახლი უნდა ვნახოთ და თუ რამეა!.. — უთხრა სახლის მეპატრონეს.

— კეთილი და პატიოსანი! — უთხრა მეპატრონემ.

ქალმა ჩუმად უთხრა ნიკოს.

— მოხდა რამე?

— არაა...

ჩამოვიდნენ, მეპატრონეს დაემშვიდობნენ. ლამაზი, პატარა გზა გადიოდა, ნიკოს მოსწონდა ეს გზა, ეს გარემო, ეზოც. არ მოსწონდა მხოლოდ ზედმეტად შელახული სახლი და აურა; განცდა, რომელიც უცებ დატრიალდა იქ, მეუღლე ცნობისმოყვარე, გაშტერებული თვალებით უყურებდა ქმარს და კითხვებს სვამდა. ნიკო ჯერ თავდახრილი მიდიოდა, მერე მოტრიალდა და ქალს უთხრა.

— აურა არ მომეწონა...

— აურა?

— ჰო, აურა. ხომ იცი ჩემი ხასიათი?! წამოდი, რა, სხვებიც ვნახოთ...

ქალი მიხვდა, რომ რაღაც ვერ იყო რიგზე, მაგრამ აღარ გამოეკიდა სიტყვებზე, დაუჯერა, დამორჩილდა და თავდახრილი გაუყვა გზას — როცა მოუნდება, მაშინ მითხრასო, გაიფიქრა. ნიკო წინ მიდიოდა, ნელა მიადგამდა ფეხებს, ის ახლა არც ფიქრებში იყო, არც განცდებში. ანკი რა იყო გასაცდელი? მხოლოდ ირონიული ღიმილი გადაჰფენოდა სახეზე...

## კარგ სახლში...

ოჰ, ეს მარადმწვანე მოგონებები, სულ აქ არიან, სულ გულში აქვთ ატეხილი ხმაური... ასეთი სახლები ძალიან მომწონს: სოფელში ძველებური სტილის რემონტი, ყვითელი პარკეტი, ტყავის სავარძლები, ძველი წიგნების კარადა, სადაც ფერად-ფერადი ყდებია წარმოჩენილი, ძველებური, ბროლის ჭურჭელი, ათასნაირი ძველმანი, ჩუქურთმებიანი ნივთები, ეზო, რომელშიც ნაძვებია და, რა თქმა უნდა, აუზი... ასეთ სახლებში მგონია, რომ სულ საინტერესო რამეები ხდება, ამაღლებული რამეები, მე ვიხსენებ იქაურ ცეკვებს, წვეულებებს, მინების ხმას, ლაპარაკებს, პოეზიას და თრობას, სქელ, თრობანარევ სუნთქვას და ჩოჩქოლს წვრილმანი შეკამათებების გამო, ლურჯ გიტარას, რომელიც ერთს ჰქონდა და დაბალ, სევდიან ხმას, რომელიც სავსე იყო მელანქოლიის ფერებით...

აივანზე გამოვედი — ნაძვები იდგა თეთრ კედელთან, მაღლა ატყორცნილი, მედიდური ხეები, რომელიც მტვრით იყო სავსე; ეს მტვერიც უხდებოდა თითქოს. სიგარეტს მოვუკიდე... კვამლი მაღლა ავიდა, ცა მოლურჯო, მონაცრისფრო იყო. ნასვამი ვიყავი, შიგნიდან ფუსფუსის ხმა გამოდიოდა; ამ ხმას მუსიკა ერთოდა, კიდევ ჭიქების ერთმანეთზე მირტყმის ხმა, ზამთარი დგებოდა, ციოდა — სიცივე, თრობა და დაღლილობა ერთმანეთს ხვდებოდა გულში, ხავერდის მუქი პიჯაკი მეცვა, მძაფრ სუნამოს სურნელს ვგრძნობდი, კიდევ სასმლის სუნს, კიდევ... კიდევ იყო რაღაც სურნელი, რაღაც უჩვეულო, დღემდე ვცდილობ ამ სურნელის გახსენებას, დღემდე მინდა, გავიხსენო, რა ერქვა იმ სურნელს, ვანილივით რომ დაყრილიყო სულზე...

## კრავაი და შერმაზანი

მარჯვნივ უხვევდა გზა, მარცხნივ დიდი ტინნარევი გორაკები იყო; ცოტა იქით — ტყე, ბინდში საშინლად მომზირალი. ციოდა, ქარიანი ამინდი იყო, შემოდგომის ფოთლებს მტვრიანი ტალღები დააქროლებდნენ ჰაერში.

შერმაზანმა ხელი გაუშვა კრავაის და ჯოხს კარგად დაეყრდნო, კრავაიმ ღრმად ამოიოხრა და შედგა.

— კარგა გზა გამოვიარეთ, — თქვა შერმაზანმა.

— ჰო...

— ხომ არ გეშინია?

— არა, რისი?

— რაღა დარჩა, აბა? ეს დახვეული გზაც და მერე სახლში ვართ, თითქმის რა.

— ჰო...

— რაღაც უხასიათოდ მეჩვენები!

— არა, რატომ ფიქრობ ასე?

— რა ვიცი, მთელი საღამო ასე იყავი, ხმას არ იღებდი...

— ცოტა უგუნებოდ ვარ, არ ვიცი, რატომ, გამივლის, გინდა, დავისვენოთ ცოტა?

— როგორც გინდა...

შერმაზანი ქვაზე დაჯდა, კრავაიც მიუჯდა, ერთხანს დუმდნენ, მერე შერმაზანმა ჯოხი ისევ აილო და თქვა.

— ხომ არ სჯობია, გზა გავაგრძელოთ? რაც მალე მივალთ...

— მგონი, ეგრე სჯობია.

კრავაიმ გადაიხედა იქით, გორაკის ოდნავ მოშორებით, პატარა ორლობესავით იყო. გაახსენდა, ბავშვობაში ურბენია ამ ადგილებში — „გზას დავიმოკლებ, მგონი, ესე სჯობს, კარგი დროა" — გაიფიქრა და შერმაზანს უთხრა.

— ერთი წამით გავალ და მოვალ!

შერმაზანმა შეხედა.

— სად გახვალ?

კრავაი იქით გაიქცა, ტყისკენ, შევარდა და ხეებში დაიმალა, შერმაზანი აყვირდა, კრავაის ეძახდა, კრავაიმ ქურთუკის ჯიბიდან საშიში ნიღაბი ამოიღო, გაიკეთა და გაჩერდა, შერმაზანი ჯერ ისევ გზაზე იდგა და იქიდან ეძახდა კრავაის.

— აქ ვარ, აქ, გზის პირას რომ ქვაა! — დაუძახა ქალმა.

— სად? რა მოიფიქრე? რას ჰგავს ეს, გადაირიე? რას აკეთებ? ეს რა არის?

შერმაზანი ქვასთან გაჩერდა, კრავაი ჩუმად გავიდა და ზურგს უკნიდან ტაში შემოკრა, შერმაზანი მოტრიალდა და შეხედა საშიშ სახეს. რამდენიმე წამს იდგა, მერე უეცრად დაეცა გონდაკარგული.

კრავაიმ ნიღაბი მოიხსნა, ჯიბეში ჩაიდო და იმ ორლობისკენ გაიქცა. გაძვრა. აქეთ ბაღები იყო, დახუნძლული, სავსე, ნაყოფით ტოტებდაზნექილი. გაირბინა ეს ბაღებიც, გავიდა კიდევ. გული ყელში უცემდა, ოხრავდა, ხმამაღლა ბოდავდა გაუაზრებლად. მერე როგორც იყო, დადგა სწორ გზაზე, ტრასაზე. ცოტა ხანს იდგა, მერე დაიხარა, ჩამოჯდა. ცოტა რომ დაისვენა, გზა გააგრძელა, მალე გაჩერებას მიადგა. აქ გაჩერდა. მანქანის ფარები დაინახა, გზაზე გადგა და ხელი დაუქნია.

მანქანა გაჩერდა, კრავაი ჩაჯდა.

მანქანაში ქალი იჯდა.

— გამარჯობა, დაიკო!

— გამარჯობა!

— რა ქენი?

— ის, რაც საჭირო იყო. ეგ მე გავაფრთხილე, თუ გააგრძელებდა იმ ქალთან სიარულს, დაისჯებოდა მწარედ! ხვალ ან ზეგ ჩემ ძმას გავგზავნი და ჩემს ნივთებს წამოვიღებ.

კრავაის დამ გაიცინა და მანქანა დაძრა.

## ცხოვრება

დაღლილი ვარ მდუმარებით, ხმაურით, ოცნებებით, სიზმრებით, დარდით... ახლა აქ, ხის მაგიდასთან ვზივარ, ვუყურებ ბაღს, შინდს. წელან ვნახე შინდის ქვეშ ჭიანჭველების ბუდეა, დადიან, ფუსფუსებენ... იქვე სხვა მწერებიც არიან, ალბათ მხნეები არიან, დაუღლელები... მთელი ცხოვრებაა, ცხოვრებაზე ვფიქრობ, მთელი ცხოვრებაა, წამების დერეფანში დავაბიჯებ... აი, ახლა ვუყურებ... ქვები ყრია, ფოთლები, მტვერი... მინდა ამ მტვერში... ჭიანჭველებში გავერიო, აქ შევიდე, ჭიანჭველად ვიქცე, ინსტინქტებით ვიცხოვრო...აღარ მინდა, გული მტკიოდეს... ამ ქვებში, ამ სიმყუდროვეში, ამ მდუმარებაში მინდა, დავივანო... გამონანათებს მზე, გამოვალ, დავწვები ქვაზე, წამიღებს რული, არ მეცოდინება არაფერი,

არაფერზე ვიფიქრებ, გული არაფერზე დამნყდება...

## ისევ ფილოსოფია

ისევ ფილოსოფია სჯობს, ცხოვრების ფილოსოფია... უცნაური განცდები მაქვს; მინდა, ცხოვრებაზე ვიფიქრო და ვილაპარაკო... რა აღარ წამიკითხავს, რა აღარ გამიგია, მაგრამ ყველაფერი ტყუილია... ვერც ხელოვნება, ვერც ლიტერატურა ვერ მპასუხობს ვერცერთ კითხვაზე. მგონია, რომ ადამიანების, პატარა ადამიანების მოგონილია ეგ ზეშთაბეჭდილება. არ წამიკითხავს მწერალი, რომელიც ჩემს გაოცებას შეძლებდა. არ მინახავს მხატვარი, რომელიც სასწაულს ჩაიდენდა. ჯაზზე ლაპარაკობენ, ეგეც ალიაქოთია! ჭეშმარიტება ის შუქია, მე რომ მეფინა! იქ იყო სიმართლე, ანკი რა არის სიმართლე? იქნებ ტყუილი სჯობს ამ ყველაფერს? მთელი დღე იჯდე, სვამდე, ან კარტს თამაშობდე და უყურებდე მზის სხივებს! გაზაფხული მიყვარს! გაზაფხულზე ყველაფერი ადვილია... სკოლასთან ერთი სახლი იყო, მიტოვებული, იქ ვიჯექი ხოლმე ეზოში, როცა სკოლაში წასვლა არ მინდოდა, დავჯდებოდი, თავს მივადებდი კედელს და თვალებს დავხუჭავდი... ვიყავი ასე... მზიანი დღე იყო, ვიჯექი, მზე თვალებზე მეფარებოდა, დიდი, კაშკაშა შუქი იდგა დახუჭულ თვალებში... აი, ახლა რომ ვუყურებ ცხოვრებას, ის შუქი იყო ყველაზე საინტერესო რამ, რაც კი ვნახე... უმიზნოდ ვცხოვრობ! დღეს ფილოსოფიის ხასიათზე ვარ... ხან თითქოს მწამს, ხან ისიც არ ვიცი, რა არის ღმერთი... გუშინ მთელი დღე მინდვრებში ვიხეტიალე, ბალახი მაღალია, სურნელია ბალახის, მარტოობა, სიცხე, ფიქრი... მერე არხის წყალს მივაჩერდი, მსიამოვნებდა წყლის ყურება... ძილი მომერია, გავირინდე, ისეთი შვება და სიამე იყო... ხომ შეიძლება, იბადებოდე წყლის ყურებისთვის, გარინდებისთვის და არა ტკივილისთვის?! ხომ შეიძლება?..

## ფოთოლცვენა

მე მიყვარს ეს ფოთოლცვენა, ახლა რომ დულს, მიყვარს მისი სიყვითლე... იდინეთ, ფოთლებო, იტირე, შემოდგომავ, შენ დროის მარგალიტი ხარ და გიხდება ტირილი, შენი ფოთლები მასულდგმულებენ დღეს; შენ, ამ დროის ფოთოლცვენავ, გამახსენე სიყვარული, რომელიც მშანთავდა, ეს წვა იყო ჩემი გზნებების აყვავება... დავსეირნობდით... ელვარებდნენ ჩვენი გულები და ირწეოდა სამყარო ჩვენს ირგვლივ, გვეუბნებოდა: ეს სილამაზე ახლა უფრო დიადია! ჩვენ... ჩვენ ვგრძნობდით ყველაფერს ასმაგად... სიყვარული სამარიდან წამოაყენებს ადამიანს, სიყვარული... შენ გამახსენე, ფოთოლცვენავ, ის სიყვარული... ის მეტყველი თვალები, მგრძნობიარე ბაგე, სუსტი ხელები, ნიავის დაქროლაზეც ტოკავდა ის პატარა გული... ვიდექით უხმოდ ვეებერთელა ხის ქვეშ და ვდუმდით, ვდუმდით მზის ჩასვლამდე! ეს დუმილი... ო, ფოთოლცვენავ, ამ დროის ფოთოლცვენავ, არასდროს დავივიწყებ შენს ყვითელ ლაბირინთებს...

## ბავშვები

მუქი საღამოა — სოფლის გზა, ხის სკამი, ბავშვები... ერთი ბიჭი ჰყვება:

— ერთხელ, პატარა რომ ვიყავი, მამაჩემს ვილაცები ეკამათნენ. ღამე იყო, ვიწექი, ხმა მესმოდა. ლაპარაკიდან რაღაც სიტყვებს ვიგებდი, ვხვდებოდი, რაც ხდებოდა, მამაჩემს ვალი ჰქონდა ვილაცების. მოვიდნენ, ეკამათნენ, იცი, როგორ? აი, ყვირილის გარეშე რომ გელაპარაკებიან, მაგრამ ყვირილი რომ სჯობს. პატარა ვიყავი, მაგრამ მივხვდი, რომ საშიში, რაღაცნაირი პირქუში ხალხი იყო, ისიც არ ვიცი, მამამ ამ ხალხთან რატომ და როგორ დაიჭირა საქმე. გვიჭირდა და ფულის სესხება მოუნია, მერე როგორც ხდება ხოლმე... ერთმა იარალი ახსენა, ერთს კიდევ, მგონი, თანაც ჰქონდა პისტოლეტი... წამოვდექი, გადავიხედე ფანჯრიდან, სიბნელეში იდგნენ... როგორ შემეშინდა. სანამ მამაჩემი დაბრუნდებოდა, მეგონა, მოუკვდებოდი. თან მამაჩემი ისეთი კაცი იყო, ასე იოლად ვერაფერს ეტყოდი. ჩუმი, ჩაკეტილი, თუ რაიმე ისეთს ჰკითხავდი, მაშინვე გეტყოდა, რომ შენი საქმე არ იყო. მერე ისევ შემთხვევით გავიგე, ყურმოკვრით, რომ ვილაც ნათესავმა აჩუქა მამას ფული, აჩუქა თუ ასესხა, არ მახსოვს და ისე გაისტუმრა მევალეები. ჰო, მერე ამათგან როგორც გავიგე, ერთ-ერთი ვილაცას დაუჭრია...

— მაგაზე უარესი მე ვიცი! — ამბობს მეორე.

— რა? — ერთხმად.

— ერთი კაცი ხალხს ხოცავდა და ძველ სასაფლაოზე მარხავდა, ადიოდა ნიღბით და...

ბავშვები ერთიანად წამოიშალნენ და გაიქცნენ. ერთი დარჩა მხოლოდ, ამ ბოლო ამბის მომყოლი, ირონიული, დამცინავი სიცილი გადაჰფენოდა სახეზე, კმაყოფილი ჩანდა თავისი ძლევამოსილებით...

## კაცები

სოფლის შარა. ორი კაცი მოდის. ორივეს უბრალოდ აცვია — შეწუხებული, დაღლილი სახეებით მოაბიჯებენ.

კაკლის ქვეშ გაჩერდებიან. დაბლა კუ მოათრევს თავის მძიმე სხეულს... შემოდგომაა...

— არა რა, ადამიანი... ადამიანზე საზიზღარი რამე არ მოგონილა, — ამბობს ერთი!

ამ დროს ხიდან კაკალი ჩამოვარდება და პირდაპირ კუს ბაკანზე — რაკ!

მეორე კაცი გაიცინებს, თან ცეტივით აცაპცაპებს თვალებს, პირის კუთხეში სიგარეტი აქვს გარჭობილი...

— აი, თენგიზ, აეს უნდა იყო — არც კოპი დაგაჯდება, არც ხელფასს დაგიგვიანებენ სამსახურში, არც შპალიერი გექნება სახლში გამოსაცვლელი.

თენგიზა ხელს ჩაიქნევს და სტვენით გაუყვება გზას.

## ნიკო

დუმილი... თენდება... ნიკო ფანჯარას უყურებს, ფანჯრიდან სიშავე ჩანს, ნიკო მონწყენილია, სევდიანი... ყავას სვამს, მძიმე ფიქრებშია გადაშვებული...

* * *

ბინდი გაფერმკრთალდა, სუსტი ნიავი წამოვიდა, დილაა, ეს დროა, როცა ქალაქი ახლა იკრეფს მთავარ ძალას სუნთქვისთვის... ქალაქის ჩუმი ქუჩა... ნაცრისფერი კადრები...

ნიკო კართან დგას, მერე მის ყურადღებას ასფალტზე დანახული ლაქები იპყრობს, წინ დგამს რამდენიმე ნაბიჯს, იხრება, სისხლია...

„მე ჩემს სევდაზე ვწუხვარ და ვილაცის სისხლი დაღვრილა წუხელ" — გაიფიქრა ნიკომ და სუნთქვა შეაჩერა წამით.

## პატარა მოგონება

ერთი ნაკვეთი გვქონდა, ჩემებმა დაასუფთავეს... მერე ამ ნაკვეთს ვიყენებდით, ოჯახს ეხმარებოდა ხილით, ბოსტნეულით, მწვანილით. ერთხელ ჩემები იყვნენ წასულები და რომ დაბრუნდნენ, მითხრეს, იქ მაგარი ვინმე გელოდებაო. პატარა ვიყავი, გადავირიე, ვინ მელოდება-მეთქი. წამოდი ხვალე და ნახავო. დილით უნდა წასულიყვნენ. ადრიანად ავდექი, ვჭამე და გზას დავადექით. მთელი გზა ხვეწნასა და თხოვნებში გავატარე, ოღონდ მითხარით, რა არის-მეთქი. არაო, წამოდი და ნახავო.

არ ამბობენ არაფრით, მეც მივხტივარ, მივქრივარ. წავალ, გავასწრებ, ხელს დამიქნევენ გაჩერდი, დაგველოდეო. მივალ შევუერთდები, ვივლით, ისევ გავასწრებ, მერე ისევ დამიქნევენ ხელს და ასე.

ბოლოს როგორც იყო დაგვადგა საშველი, მივედით. მიმითითეს ერთგან, ვხედავ შაბიამნის დასაყენებელ ჭასთან რაღაცას კომბოსტოს ფოთლები აფარია, მივედი, ავწიე და რასა ვხედავ — სათამაშო ბურატინო პლასტმასის, ფეხი აქვს მოტეხილი, თეთრი სახე, ხელები და ფეხები, მწვანე მაისური... გადავირიე სიხარულისგან; ვითამაშე მთელი დღე, კვირები, თვეები, მერე, როგორც მოაღწია ჩვენამდე, ისეც დაიკარგა...

როგორც იტყვიან, ქარის მოტანილსო...




## მადლიანი დილა

სექტემბერია. ახალი სასწავლო წელი დაიწყო. სკოლის ეზოში ნახავთ გალიმებულ და თვალებგაბრწყინებულ ბავშვებს, რომლებიც გულისფანცქალით ელიან თავიანთ საკლასო ოთახებში შესვლას და მასწავლებლისთვის თაიგულების დარიგებას. იციან, რომ დამრიგებლის მიერ ფერადი ბუშტებით გაფორმებული სავსე კლასი, სხვადასხვა ნუგბარი, სიყვარულითა და სითბოთი ალსავსე წერილები დახვდებათ.

ზარია და ყველა მოსწავლე თავის კუთვნილ ადგილს იკავებს. დამრიგებლის თვალები ერთ მერხთან ჩერდება.

— ნეტავ, სანდრო რატომ არ მოვიდა? — ფიქრობს თავისთვის. ბავშვებიც ამჩნევენ დამრიგებლის მზერას და სანდროსკენ იხედებიან. ხან დამრიგებელს უყურებენ გაოცებულნი, ხანაც ცნობისმოყვარეობის ჟინით შეპყრობილნი თვალებს აქეთ-იქით აცეცებენ...

დუმილი ისევ დამრიგებელმა დაარღვია და მიესალმა თავის მახარობელ მერცხლებს. დროდადრო თვალებს კარებისკენ აპარებდა, თითქოს ელოდა, აი, ახლა შემოაღებს კარს, შემოვა მისი მზის სხივი და ჩასახუტებლად პაწაწა ხელებს გამოიწვდენს.

— ალბათ, რაღაც შეემთხვა! — გაიფიქრა და უცებ გულმა რეჩხი უყო...

პირველმა დღემ მეტ-ნაკლებად ხალისიანად ჩაიარა. სანდრო მეორე დღესაც არ გამოცხადებულა სკოლაში. ასე გაგრძელდა მთელი კვირა. პარასკევს დამრიგებელმა მოსწავლეები სახლებში გაუშვა და თავადაც გზას გაუდგა, თუმცა არა თავისი სახლისკენ...

* * *

სოფლის ბოლოს ერთი პატარა სახლი დგას. ეზო მოვლილია, მხოლოდ ერთი უზარმაზარი კაკლის ხე ამშვენებს აქაურობას. ჩვენი დამრიგებელი სწორედ ამ სახლის ზღურბლს უახლოვდება.

კარზე დააკაკუნა და სანდროს დედის მოსიყვარულე ხმა მოესმა:

— შვილო, სანდრო, კარი გააღე! — ეკასთან ორწლიანმა ურთიერთობამ დაარწმუნა, რომ მის არსებაში ყველა სათნოებას მოეყარა თავი, რაც კი ქვეყნად არსებობდა.

სანდრო არ ელოდა საკუთარ ზღურბლზე დამრიგებლის ნახვას და მოულოდნელობისაგან სახტად დარჩა. თითქოს ენა პირში ჩაუვარდა, ასე იდგა გაშეშებული. ამასობაში ეკაც გამოჩნდა და დამრიგებლის დანახვისთანავე შეცბა, დაიბნა, თუმცა მალევე გონს მოეგო და სახლში შეიპატიჟა:

— მობრძანდით, თინა მასწავლებელო, აპატიეთ სანდროს, სტუმარმასპინძლობის წესი დაავიწყდა, — ღიმილით უთხრა ქალმა, მორიდებული სანდრო, დედის კალთას ამოჰფარებოდა...

უცებ ელდანაკრავივით, მოსწყდა მშობელს და მთელი ძალით მოხვია თავისი პაწაწა ხელები თინა მასწავლებელს.

სუფთა და კეთილმოწყობილი გარემო დახვდა თინა მასწავლებელს სანდროს პატარა, მაგრამ სითბოთი და სიყვარულით გაჟღენთილ სახლში. ოთახები ღარიბულად, მაგრამ კოხტად გამოიყურებოდა...

დამრიგებელს არ უნდოდა ოჯახის შეწუხება, ამიტომ პირდაპირ აუხსნა დედას მოსვლის მიზეზი. სანდრო გაფართოებული თვალებით შესცქეროდა ხან დედას, ხანაც თავის მშვენიერ მასწავლებელს, რომელიც მისთვის მეორე დედა იყო.

— ძალიან ვწუხვარ, რომ ჩვენ გამო ამხელა გზა გამოიარეთ ფეხით. სანდროს აუცილებლად გამოვუშვებდი სკოლაში... თუმცა ცოტა მოგვიანებით. ჩემი მეუღლე ქალაქში მუშაობს, სანდრო ჩემი მიზეზით არ დადიოდა ეს კვირა... ოჯახურ საქმეებში მეხმარებოდა... — თითქოს თავს იმართლებდა დედა.

თინა მასწავლებელი დიდხანს აღარ შეყოვნებულა, მადლობა გადაუხადა მასპინძელს მასპინძლობისთვის და კარისაკენ გაემართა, სანდროც უკან აედევნა და ჭიშკრამდე მიაცილა, ბოლოს ჰაეროვანი კოცნაც გაუგზავნა საყვარელ მასწავლებელს.

— შეამჩნიე? — ფიქრობდა გზად მიმავალი, — როგორი დაკონკილი კაბა ეცვა დედას? სანდროს? ბავშვს ფეხსაცმელი არ ეცვა, მხოლოდ წინდები, ისიც თითებზე ალაგ-ალაგ დახეული.

შეფიქრიანებული მიაბიჯებდა დამრიგებელი. ისე მიუახლოვდა თავის სახლს, რომ ვერც კი მიხვდა.

* * *

მეორე დილას, მზიანსა და მადლიან დილას, ზღურბლზე მოზრდილი ტილოს აბგა დახვდა დედა-შვილს. გახსნეს და გაოცებულებმა ერთმანეთს დაუწყეს ყურება, თითქოს ერთმანეთისგან პასუხს ელოდნენ და თან არც ელოდნენ. აწყლიანებული თვალებით შეჰყურებდა დედა შვილს და შვილი — დედას.

უსიტყვოდ, უთქმელად მიხვდნენ მადლიანი დილის მიზეზს.

რამდენიმე დღის შემდეგ სანდრომ, ზურგზე ჩანთაგადაკიდებულმა, კლასში ამაყად შეაბიჯა. ახალი ფეხსაცმელი და ტანისამოსი ამშვენებდა. მისი თვალები ვილაცას ეძებდა გამუდმებით, აფახურებდა დიდრონ წამწამებს და პირისახიდან ღიმილი არ შორდებოდა.

ზარი დაირეკა და ოთახში დამრიგებელი შემოვიდა, პირველი მზერა სანდროსკენ გააპარა, რომელიც თვალს არ აშორებდა მოღიმარ თინა მასწავლებელს.

ბავშვის თვალებზე ცრემლი კიაფობდა, ცრემლი მადლიერებისა...

## გულგრილობა

მეზობლებს ხშირად ესმოდათ ნაგაზის ტირილი. ზოგს — აწუხებდა, ზოგს — ადარდებდა, ზოგიც უბრალოდ გულგრილი იყო. ალბათ, საზოგადოების სენია, იყო გულგრილი და გულცივი ყველა გაჭირვებულისა და უსახლკაროსადმი, კაცისა თუ ძაღლისადმი...

ნაგაზის ყმუილი რამდენიმე დღე გაგრძელდა... ფიქრობდნენ — უსახლკარო, უპატრონო, შიმშილისაგან გათანგული ძაღლის ყმუილზე, რომელიც ძილს უფრთხობდა მთელ სოფელს. მოჰბეზრდათ, გაბრაზდნენ.

არავინ ფიქრობდა ბუდრუგანამდე მისვლას, მისთვის ლუკმა-პურის მიწოდებას...

ყოველ დილით ძუნძულით აედევნებოდა ამვლელ-ჩამვლელს. იქნებ, ვინმემ პურის ან ძეხვის ნაჭერი მაინც გადმომიგდოსო... მის დიდრონ შავ თვალებში წყრომასაც ვერ ამოიკითხავდით. ეტყობოდა, უყვარდა ადამიანები...

შებინდებისას ნასახლარის უკან, შამბნარში მიარბენინებდა გამოუსადეგარ ნივთებს, ძველმანებს და დილამდე აგრძელებდა ყმუილს; ეს ხალხს აკვირვებდა და ცნობისწადილსაც ულვივებდა.

ერთ დღესაც ყმუილი შეწყდა...

არა მარტო ყმუილი, თვით ძაღლიც აღარ გამოჩნდა... თითქოს მიჩვეულნი იყვნენ, შეშფოთდნენ, შეეშინდათ... რისა? ალბათ, სიკვდილის სურნელისა, რომელიც მთელ სოფელს მოეცვა.

ორი დღის შემდეგ იპოვეს ნაგაზი, სულგანაბული იწვა და დიდრონი შავი თვალებით შესაბრალისად დაჰყურებდა დახვავებულ ქსოვილს.

ძველმანებში ახალშობილის უსულო სხეული აღმოაჩინეს...



*„ოფელიაში“ არტურ რემბო შექსპირულ თემას ეყრდნობა. შექსპირის ტრაგედიის პერსონაჟი, პრინცისგან მიტოვებული ნორჩი ლამაზი გოგონა, რომელიც ჭკუიდან იშლება და სასოწარკვეთილი თავს იხრჩობს, რემბოს ლექსში ტრანსფორმირდება თავისუფლებისკენ სწრაფვისა და მშვენიერების მარადიულ სიმბოლოდ. ლექსის სამი ნაწილი სარკისებური პრინციპითა და ექოს ეფექტით უკავშირდება ერთმანეთს. ლიტერატორთა ვარაუდით, ლექსის პირველი ნაწილი ჯონ ევერეტ მილეს ტილოს („ოფელია“) გვაგონებს. მეორე ნაწილში ოფელიას მითიური დრამის მიღმა თითქოს პოეტის წინააღმდეგობრივი ცხოვრების, მისი ტრაგიკული ხვედრის ასახვაა — სახლიდან არაერთხელ გაქცევა, პროვინციის რუტინისგან თავის განრიდების მცდელობა, ამბოხი, პიროვნული თუ პოეტური ძიებანი, მრავალი სირთულის გადატანა. ლექსი 1870 წელს დაიწერა და ჯერ საკმაოდ შორია 1873 წლის ივლისის ცნობილ ამბებამდე, მერე დიდ მოგზაურობამდე ქვეყნიდან ქვეყანაში, მაგრამ რემბო უკვე ეზიარა „თავისუფლების მძიმე ხვედრს“, რაც შემდგომ უფრო მძაფრად აისახება „მთვრალ ხომალდში“, მოგვიანებით კი დაიწერება „გასხივოსნებანი“ და ფრანგული ლიტერატურის ყველაზე ბუნდოვანი კრებული, „ჯოჯოხეთური დრო“.*

*რემბოს იდენტიფიცირება ოფელიასთან განსაკუთრებით ცხადი ხდება ლექსის მეორე ნაწილის ბოლო სტროფში. ოფელია-რემბოს შეშლილობა ვერ გადაივლის „ბოდვების“ გარეშე. „ჯოჯოხეთური დრო“ სწორედ ამ სტროფის, „საბრალო გიჟის“, „ოცნებებს შეწირული“ პოეტის აგზნებული სულიერი მდგომარეობის ერთგვარი განვრცობაა. „გონების ამღვრევა“, „მოჩვენებები“, „ჰალუცინაციები“ განაპირობებს პოეტური აზროვნების სრულიად სხვა სიბრტყეს. „ჯოჯოხეთური დრო“ უკვე რემბოს ახალი პოეტური ენაა. „სიტყვის ალქიმიაში“ იგი წერს: „მე გამოვიგონე ახალი სიტყვები, ახალი ბგერები, ახალი ფერები, ახალი მუსიკა“. სწორედ ამ ბოლო ნაწარმოებში მკვეთრად გადაეჯაჭვა ერთმანეთს დამხრჩვალი ოფელია-რემბოს მეტაფორული სახე. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ ჯერ „ოფელიაში“, მოგვიანებით კი „ჯოჯოხეთურ დროში“ მოხმობილი პოეტური წყვილის, ცეცხლისა და ყინულის (თოვლის,) თანაარსებობა შეუძლებელი აღმოჩნდა. ძნელია, ავხსნათ, რა მოხდა საბოლოოდ — რემბომ ვერ შეძლო „ცხოვრების შეცვლა“ და ხელახლა დაბადება თუ ეს იყო თვითუარყოფა, გააზრებულად, გაცნობიერებულად აქცია ზურგი ლიტერატურას და პოეტური თვითმკვლელობა ჩაიდინა...*

*მთარგმნელი*

# არტურ რემბო

## ოფელია

I

მრუმე ტალღებზე
ზღვა რომ მთვლემარ ვარსკვლავებს არხევს,
მოცურავს თეთრი ოფელია შროშანის დარად,
ნელა მოარწევს საბურველის ფარფატა აფრებს,
შორეულ ტყეებს ნადირობის ყიჟინი ფარავს.

ათასი წელიც მიილია, რაც ოფელია
მიჰყვება შავ წყლებს, ვით მჭმუნვარე თეთრი ჩვენება,
ათასი წელიც მიილია, საღამოს ნიავს
შლეგის სიამით რომანსებს რომ ესიმღერება.

ნაზად უკოცნის სიო გულ-მკერდს, სამოსს ევლება,
წყალზე გადაშლის, ყვავილივით ააფრიალებს,
ჟრუანტელივით დასდის მხრებზე ძეწნის ცრემლები
და მეოცნებე შუბლს უთრთოლებს ლერწმის შრიალი.

ირგვლივ გათელილ დუმფარების კვნესა ტრიალებს;
ხან კი მურყნარში მთვლემარ ჩიტებს
აკრთობს ხმაურით;
ბუდეებიდან აიშლება ფრთების ფრთხიალი,
ციურ ჰანგივით იდუმალი და უცნაური.

II

თოვლივით თეთრო ოფელია, წაგსვლია ფერი,
პატარავ, უგზოდ წაულიხარ ჩქერთა ცდუნებას
და ეს ქარები, ნორვეგიის მთით მონაბერი,
თავისუფლების მძიმე ხვედრზე ჩაგჩურჩულებდნენ.

ქროლა კულულებს გიჩეჩავდა თავაშვებული,
შენს სულს შეუცნობ, საოცარი ხმებით მსჭვალავდა,
ვით საგალობელს ბუნებისას უსმენდა გული
ხეთა გმინვას და ღამეული ნაღვლის ბალადას.

ეს ხმები, ზღვა რომ ბობოქრობდა, წყლები დიოდნენ,
რა უმოწყალოდ გაგითელეს უმანკო მკერდი;
და მეტრფე, უხმოდ რომ გეწვია იმ ალიონზე,
ო, რა საბრალოდ ჩამოგიჯდა მუხლებთან, გვერდით.

თავისუფლება! სიყვარული! ცა! ეს ზმანება —
ინავლებოდი, ვით თოვლს ალღობს გზნება ალისა,
გერგო ლანდები, შეშლილობა და მდუმარება,
ცისფერი მზერა მილმიურმა ბინდმა დანისლა.

III

პოეტის ხილვით ვარსკვლავების ღამეულ სხივებს
შენც მოჰყვები და კრეფ ყვავილებს,
დაგნათის მთვარეც,
ან კვლავ ვუალით დაბურული და მოლივლივე
წყალზე ირწევი, ოფელია, შროშანის დარად.

## ჯოჯოხეთური დრო

•

ოდესლაც, თუ კარგად მახსოვს, ყოფა ჩემი მოჰგავდა ლხენას. აქ იშლებოდა ყოველი გული, აქ გადმოჩქეფდა ყოველი ღვინო.

ერთ საღამოს მშვენიერება მუხლზე დავისვი, აღმოჩნდა მწარე და შევაჩვენე.

მე ავუმხედრდი სამართალს.

გავიქეცი. ო, გრძნეულნო, მიუსაფრობავ, სიძულვილო, თქვენ მოგანდეთ ჩემი საუნჯე!

შევძელი და გავაქრე ჩემში ყოველგვარი სასოება ადამიანის და მხეცის ფარული ნახტომით ჩავიხშე ყოველი სიხარული. ვუხმე ჯალათებს, რომ სიკვდილისას კბილებით ჩავფრენოდი თოფის კონდახებს. თავს დავიტეხე სტიქიონები, რომ ქვიშასა და სისხლს ნაველეკე. უბედურება ვინამე ღმერთად. ტალახში გავიშხლართე. დანაშაულის ქარმა გამაშრო. მერე ვიანცე შეშლილობამდე.

გაზაფხულმა იდიოტის შემზარავი ხარხარი მიძღვნა.

სულ ახლახანს ლამის ბოლოჯერ დავიჩხავლე! გულში გავივლე, მომეძებნა ადრინდელ ლხინის გასაღები, ეგებ სურვილი დამბრუნებოდა.

ეს გასაღები გულმოწყალებაა. — შთაგონება კი იმას მოწმობს, რომ ზმანებით ვიყავ მოცული.

„შენ მუდამ აფთრად დარჩები და ასე შემდეგ...“ — წამოიყვირა დემონმა და უნაზესი ყაყაჩოების გვირგვინით შემამკო. „ჰპოვე სიკვდილი მთელი შენი სწრაფვით, ეგოიზმით და ყოველგვარი ცოდო-ბრალით“.

ოჰ! მეტისმეტი მომივიდა: — ოღონდ, ძვირფასო სატანავ, გევედრები, ნუ ბრაზობ ასე! ნაგვიანევი რაღაც მცირემცირე სილაჩრის მოლოდინში გადმოგიგდებთ რამდენიმე უმსგავსო ფურცელს წყეული კაცის დღიურიდან თქვენ, ვისაც მწერალში გხიბლავთ აღწერითი და აღმზრდელობითი ნიჭის ნაკლებობა.

## შფოთვა

წინაპარი გალებისგან გამომყვა ღია ცისფერი თვალები, მოკლე ჭკუა და ბრძოლაში წინდაუხედაობა. მგონი, მეც ისე ველურივით ვიცვამ, როგორც ისინი, ეგ არის, თავს არ ვიპოხავ.

იმ დროისთვის გალები ყველაზე უნდილად შიგნავდნენ ცხოველებს და წვავდნენ მწვადებს.

მათგან დამყვა: კერპთაყვანისმცემლობა და მკრეხელობისკენ სწრაფვა;

ყოველგვარი ბიწიერება, გულფიცხობა, ავხორცობა; დიდებული რამაა ავხორცობა; — განსაკუთრებით ცრუპენტელობა და სიზარმაცე.

მეზიზღება ყოველგვარი ხელობა. ოსტატები და მუშები, ყოველი გლეხი, საძაგლობაა. კალმიან ხელს მეგუთნის ხელის ფასი აქვს. — მართლაც ხელთა საუკუნეა! — მე არასდროს მექნება ხელი. ხელმარჯვეობას ძალზე შორს მივყავართ. გლახაკთა პატიოსნება მაღელვებს ძლიერ. საძაგელი ბოროტმოქმედნი, ნამდვილი საჭურისები: მე უმწიკვლო ვარ და სხვას არაფერს ვნაღვლობ.

ნეტავ ვინ შექმნა ჩემი ენა ასე უწყალო, რომ დღემდე მართა და ალალა ჩემი სიზანტე? ყველგან ვიცხოვრე, ოღონდ თავის გასატანად ხელი არასდროს გამინძრევია, გომბეშოზე უქნარა ვიყავ. არ არის ევროპაში მოდგმა, მე რომ არ ვიცნობდე. ვგულისხმობ ჩემი მოდგმის მსგავსებს, ადამიანის უფლებათა დეკლარაცია რომ შეითვისეს. — გავიცანი ამ მოდგმათა ყველა შვილი!

•

მე რომ მყოლოდა წინაპრები საფრანგეთის ისტორიის რომელიმე მონაკვეთში!

მაგრამ არა, არაფერი ჩანს.

ჩემთვის ცხადზე ცხადია, რომ ყოველთვის უჯიშო ვიყავი. გაუგებარია, რა არის ამბოხი. ჩემი მოდგმა მხოლოდ რაიმეს მისატაცებლად თუ აღდგებოდა: როგორც მგლები ეძგერებიან სხვის მოკლულ ნადირს.

ვიხსენებ ისტორიას საფრანგეთისას, ეკლესიის უფროსი ასულისას. ერთი სოფლელი ტლუ ბიჭი რომ ვყოფილიყავი, მოვივლიდი წმინდა მიწას; თავში სულ მიტრიალებს შვაბური ველების გზები, ბიზანტიის სანახები, იერუსალიმის გალავნები; ჩემში ილვიძებს წმინდა მარიამის კულტი და გულჩვილობა ჯვარცმის წინაშე ათას მკრეხელურ სანახაობასთან ერთად. — ახლა კეთროვანი ვზივარ მზისაგან ამოჭმული კედლის ძირას, გატეხილ ქოთნებსა და ჭინჭრებზე. — მოგვიანებით კი დაქირავებულ ჯარისკაცს გერმანიაში ღია ცის ქვეშ გამითენდება.

აჰ! კიდევ: მეწამულ ველზე, მოხუცებთან და ბავშვებთან ერთად ავსულთა რიტუალურ ცეკვას ვუერთდები..

დედამიწასა და ქრისტიანობაზე შორეული არაფერი მახსოვს. გამუდმებით ამ წარსულში ვხედავ ჩემს თავს. ოღონდ მარტოს, მიუსაფარს; ნეტავ რა ენაზე ვლაპარაკობდი? ჩემს წარმოსახვას სულ მთლად ეუცხოება ქრისტეს სწავლება; წმინდა მამების, ქრისტეს მოციქულთა სწავლებანი.

ნეტავ ვინ ვიყავი წინა საუკუნეში: მე ხომ ჩემს თავს ახლაღა ვპოვებ. აღარ არიან მაწანწალები, აღარც სისხლისმღვრელი ომებია. დაბალმა რასამ ყოველივე მოიცვა ირგვლივ. როგორც ამბობენ, ესაა ხალხი, გონება, ერი, მეცნიერება.

ოჰ! მეცნიერება! მოგვარდა ყოველივე. სხეულისა და სულისათვის, — წმინდა ზიარებასავით, — გვაქვს მედიცინა და ფილოსოფია, — ექიმბაშის წამლები და ხალხური სიმღერების ჰარმონია. უფლისწულთა მხიარულება და თამაშები, ისინი რომ კრძალავდნენ! გეოგრაფია, კოსმოგრაფია, მექანიკა, ქიმია!..

მეცნიერება, ახლად მოვლენილი კეთილშობილება! პროგრესი. სამყარო წინ მიიწევს! რატომ არ უნდა ებრუნა?

რიცხვების მომრავლება. სვლა გონებისკენ. ცხადზე ცხადია, რასაც ვამბობ, წინასწარმეტყველებაა. მშვენივრად მესმის, მაგრამ არ ვიცი, როგორ გამოვთქვა წარმართული სიტყვების გარეშე, ამიტომ დუმილი მიჯობს.

•

წარმართული სისხლი ჩუხჩუხებს! ახლოა სული, რად არ შემეწევა ქრისტე, რად არ მომჰმადლებს სულს კეთილშობილებასა და თავისუფლებას? ვაგლახ! ევანგელეს დრო წავიდა! ევანგელე! ევანგელე!

ველი უფალს სულმოუთქმელად. მე სამარადჟამოდ მდაბალ მოდგმას ვეკუთვნი.

აი, არმორიკულ სანაპიროზე ვარ. დაე, ქალაქები გაჩირაღდნენ საღამოს. ჩემი დღე დასრულებულია, ვტოვებ ევროპას. ზღვის ჰაერი დამიწვავს ფილტვებს; მიყრუებულ ადგილებში გავირუჯები. ცურვა, ბალახზე კოტრიალი, ნადირობა, განსაკუთრებით მოწევა; გავარვარებულ რკინასავით მაგარი სასმელების დალევა, — რასაც ძვირფასი წინაპრები აკეთებდნენ კოცონის ირგვლივ.

მე დავბრუნდები რკინის ხელ-ფეხით, მუქი კანით, მრისხანე მზერით: შემომხედავენ და ყველას ვეგონები ძლიერი მოდგმისა. მექნება ოქრო: ვიქნები უსაქმური და უკმეხი. ქალებს სიამოვნებთ ზრუნვა ცხელი ქვეყნებიდან დაბრუნებულ ასეთ ულმობელ ხეიბრებზე. მერე გავერევი პოლიტიკაში და გადავრჩები.

ახლა დაწყევლილი ვარ, სამშობლო შიშს მგვრის. სჯობს, გავილეშო და ქვიშიან სანაპიროზე გამოვიძინო.

•

ვერსად წავალთ. ისევ აქაურ გზებს გავუყვეთ, აღსავსეს ჩემი ბიწიერებით; ბიწიერებით, თავისი მტანჯველი ფესვები რომ გაიდგა ჩემკენ ჯერ კიდევ მაშინ, როცა გონება ილვიძებდა — ზეცამდე სწვდება, მერევა, გონებას მიმღვრევს, მიზიდავს.

საბოლოო უმანკოება, ბოლო სიმორცხვე. ყოველივე ნათქვამია. საქვეყნოდ არ უნდა ვამხილო ბევრი რამის სიძულვილი ანდა ლალატი.

გზას გავუდგეთ! სვლა, ტვირთი, უდაბნო, კაეშანი და მრისხანება.

ვის მივენდო? რომელ მხეცს ვეთაყვანო? რომელ წმინდა ხატს შევუტიო? ვის დავუსერო გული? რომელი სიცრუე ვაღიარო? — ვის სისხლში ჩავდგა ფეხი?

სჯობს, ვუფრთხილდე მართლმსაჯულებას. — უმოწყალო ყოფა, უბრალოდ, გამოთაყვანება, — ავხადო კუბოს სარქველი დამჭკნარი ხელით, ჩამოვჯდე სულშეხუთული. მაშინ სიბერეც ამშორდება და ფათერაკიც: შიში არ ახასიათებთ ფრანგებს.

ეჰ! მე იმდენად მარტოსული ვარ, რომ ნებისმიერ ღვთიურ ხატებას გავანდობ სწრაფვას სრულყოფისაკენ.

ო, ჩემი თვითუარყოფა, საოცარი გულმოწყალება! მაინც აქ ვარ — ქვემოთ!

De profundis Domine, რა ბრიყვი ვარ!

•

ჯერ კიდევ მთლად ბავშვს მხიბლავდა მოურჯულებელი კატორღელი, სამუდამოდ საპყრობილეში გამოკეტილი. შემოვივლიდი ხოლმე ფუნდუკებსა და ოთახებს, მისი ყოფნით ნაკურთხებს; მისი თვალებით შევყურებდი ზეც-

ის ლაჟვარდს და მინდვრის ნათესთა გაყვავილებას; შევიგრძნობდი მის ავ ბედისწერას ქალაქებში. წმინდანზე მეტი ძალა შესწევდა, უფრო სალად აზროვნებდა, ვიდრე ვინმე მოგზაური, ის, ის ერთადერთი! მოწმედ თვისი დიდებისა და გონიერების.

ზამთრის ღამეებში, გზებზე, მიუსაფარს, შიშველ-ტიტველს, მშიერს გაყინულ გულს მიკუმშავდა ხმა იდუმალი: „ულონობა თუ ძალა: დიახ, ძალა სჯობს, არ იცი საით ანდა რისთვის მიემართები, ყველგან შედი, ყველაფერზე უპასუხე. ცხედარივით ხარ, ამაზე მეტად ველარ მოგკლავენ". დილით ისეთი გაურკვეველი მზერა მქონდა, ისეთი უსიცოცხლო-მიხვრა-მოხვრა, შესაძლოა, შემხვედრები ვერც კი მამჩნევდნენ.

ქალაქებში ერთი შეხედვით ლაფი ხან შავი, ხან წითელი მეჩვენებოდა, სარკესავით, როდესაც ლამპა მოძრაობს მეზობელ ოთახში, როგორც ტყეში ჩაფლული განძი! სიკეთე თქვენდა, ვყვიროდი და ცისკიდურზე ზღვად გადაშლილ ცეცხლსა და კვამლს შევყურებდი; მარცხნივ და მარჯვნივ მირიადი ელვასავით ბურბურებდა ურიცხვი განძი.

მაგრამ ორგია და ქალებში დროსტარება მეკრძალებოდა. ერთი ვინმეც კი არ მყავდა გვერდით. თითქოს გამძვინვარებული ბრბოს წინ ვიდექი, ჩემს დასახვრეტად გამზადებული ხალხის პირისპირ და ვტიროდი უბედური, რომ ვერ შეძლეს, გაეგოთ ჩემთვის, მე კი მაინც მივუტევებდი! — ვით ჟანა დ'არკი! — „მღვდლებო, მასწავლებლებო და ოსტატებო, ცდებით, თუ სამსჯავროს უნდა გადამცეთ. მე არასოდეს ვცნობდი ამ ხალხს; არასოდეს ვყოფილვარ ქრისტიანი; იმ მოდგმისა ვარ, ტანჯვაწამებაშიც რომ მღერის; არ ვცნობ კანონებს; არ მაქვს მორალი, ველური ვარ: თქვენ ცდებით..."

დიახ, მაბრმავებს თქვენი სინათლე. მე ვარ პირუტყვი, ერთი ზანგი ვარ. თუმცა შემიძლია, გადავრჩე. თქვენ ცრუ ზანგები ხართ, სიგიჟით შეპყრობილები, სისხლისმწოველები და ხარბები. ვაჭარო, შენც ზანგი ხარ, მოსამართლევ, ზანგი ხარ, გენერალო, ზანგი ხარ, იმპერატორო, ბებერო ავხორცო, შენც ზანგი ხარ: სატანის ნახელავი დაუბეგრავი სასმელი იგემე. — ეს ხალხი შთაგონებულია ციებ-ცხელებითა და კიბოთი. ხეიბრები და მოხუცები ისეთ პატივში არიან, რომ ითხოვენ, ცოცხლად მოიხარშონ. — ყველაზე გონივრულია, დატოვო ეს კონტინენტი, სადაც უგუნურება დათარეშობს, რომ ეს საბრალონი მძევლად აიყვანოს. მე შევდივარ ქამის შთამომავალთა ჭეშმარიტ საუფლოში.

ჯერ განა ვიცნობ ბუნებას? ან ჩემს თავს ვიცნობ? კმარა სიტყვები. მე ვასაფლავებ ჩემს სხეულში მიცვალებულებს. შეძახილები, დაფდაფები, ცეკვა, ცეკვა, ცეკვა, ცეკვა! იმ დროსაც კი ვერ ვჭვრეტ, თეთრკანიანები რომ ნაპირზე გადმოვლენ და არარაობაში ჩავეფლობი.

შიმშილი, წყურვილი, შეძახილები, ცეკვა, ცეკვა, ცეკვა!

თეთრკანიანები გადმოდიან. ზარბაზნის ხმაა! უნდა მოინათლო, ჩაიცვა, იმუშაო.

მადლი შემოიჭრა გულში. ოჰ! ამას როგორ ვიფიქრებდი!

ბოროტება სრულიად არ ჩამიდენია. დღეები შემიმსუბუქდება, მონანიება გადამარჩენს. არასოდეს განმიცდია სულიერი ტანჯვა, ის მკვდარია სათნოებისთვის და აფრქვევს სამგლოვიარო სანთლებივით ულმობელ შუქს. ნებიერი ვაჟების ხვედრი, ცხარე ცრემლებით დასველებული ნაადრევი კუბო. რა თქმა უნდა, სისულელეა გარყვნილება და უზნეობაც სისულელეა; უნდა ერიდო გახრწნილებას. თუმცა საათი მხოლოდ წმინდა ტკივილის ჟამს შეწყვეტს რეკვას! მე ბავშვივით მომიტაცებენ, რომ სამოთხეში თამაშ-თამაშით დავიწყებას მივცე ყველა უბედურება!

იჩქარე! ნეტავ სხვა სიცოცხლეებიც გველის? — სიმდიდრეში ვერ დაიძინებ. სიმდიდრე მუდამ საზოგადოებრივი ქონება იყო. მხოლოდ ღვთიური სიყვარულით მოვიხელთებთ შემეცნების გასაღებს. ვამჩნევ, რომ ბუნება მხოლოდ სიკეთის განსახიერებაა. მშვიდობით ქიმერებო, იდეალებო, შეცდომებო.

ანგელოზთა დაბალხმოვანი გალობა აღწევს მაშველი ხომალდიდან: ესაა ღვთიური სიყვარული. — ორგვარი სიყვარული! მე შემიძლია, მოვკვდე მიწიერი სიყვარულით, მოვკვდე თავგანწირვით. მივატოვე სულიერნი, რომელთაც ჩემი წასვლა დატანჯავთ! დაღუპულ გემის მგზავრთა შორის მხოლოდ და მხოლოდ მე რომ მირჩევთ, ვინც რჩება, ჩემი მეგობარი არ არის განა?

ისინიც გადაარჩინეთ!

ჩემში გაიღვიძა გონიერებამ. კეთილშობილია სამყარო. ცხოვრებას დავლოცავ. შევიყვარებ თანამოძმეებს. ეს აღარც ბავშვური დაპირებებია და არც იმის იმედი, რომ ავიცილებ სიბერესა და სიკვდილს. ღმერთი მანიჭებს ძალას და მე ვადიდებ უფალს.

•

აღარ მიყვარს ნაღველი. ყოველგვარი სიშმაგე, გარყვნილება და უგუნურება, რომელთა მთელი ავ-კარგი და დამღუპველი ხასიათი მშვენივრად ვიცი — მთელი ეს ტვირთი ჩამოვიცილე. გულდინჯად განვსაჯოთ, რამდენად უმანკო ვარ.

ველარ შევძლებდი, რომ სანუგეშოდ გაროზგვა მეთხოვა. არ ვაპირებ ქორწილს იესო ქრისტესთან, მამინაცვალთან.

მე გონების ტყვე არა ვარ. ვთქვი: ღმერთი. მსურს, ხსნაში ვპოვო თავისუფლება: როგორ მივაღწიო? აღარ მაქვს ამაო ზრახვები. აღარ მჭირდება თავგანწირვა, აღარც ღვთიური სიყვარული. არ მენატრება მგრძნობიარე გულთა საუკუნე. ყველას თავისი სიმართლე და ცოდვა-მადლი აქვს. სალი აზროვნების ანგელოზებრივი იერარქიის მწვერვალზე მე ჩემი ადგილი მიკავია.

მყარი ბედნიერება, შინ თუ გარეთ, არა... არა, არ შემიძლია. ძალზე თავგზააბნეული ვარ და ძალზე სუსტი. სიცოცხლეს ამკობს შრომა, ეს უძველესი ჭეშმარიტებაა: ჩემი ყოფა არც თუ ისე მძიმეა, აფრინდება და მილივლივებს შორს, ქმედების მიღმა, ესაა სამყაროს ძვირფასი არეალი.

თანდათან როგორ ვემსგავსები შინაბერას, გამბედაობა არ მყოფნის, რომ სიკვდილი შევიყვარო!

უფალი რომ მომამადლებდეს ზეციურ, ჰაეროვან შვებას, ადრინდელი წმინდანების ლოცვის უნარს. — წმინდანები! ძლიერნი! მეუდაბნოე ბერები,

ხელოვანნი, თუმცა ისინი ვიღას სჭირდება!

უსასრულო ფარსი! ჩემივ უმანკობა ტირილს მგვრის. ცხოვრება საყოველთაო ფარსია.

•

საკმარისია! განკითხვის ჟამიც დადგა! გასწი!

ოჰ! ფილტვები მეწვის, საფეთქლები მიხურს! მზე თვალთ მიბნელებს! ო, გული...და სხეული...

საით მივდივართ? საბრძოლველად? მე სუსტი ვარ! სხვები წინ მიიწევენ. აღჭურვილობა, იარაღები...დროა!..

ცეცხლი! ცეცხლი გამიხსენით! აქ! ანდა თავად გნებდებით. — ლაჩრებო! თავს თვითონვე ვიკლავ! ცხენებს ფეხებში ვუვარდები!

აჰ!..

— ამასაც შევეგუები.

ეს იქნებოდა ნამდვილი ფრანგული ყოფა, გზა ღირსებისა!

## ღამე ჯოჯოხეთში

საწამლავის დიდი დოზა ვიგემე. სამგზის კურთხეული იყოს ეს შეგონება. შიგნეულობა მეწვის. შხამი მწვავეა, ვიკლაკნები, ვიმანჭები, მერე ვეცემი. წყურვილი მახრჩობს, სული მეხუთება და ყვირილიც არ შემიძლია. ნამდვილი ჯოჯოხეთია, სამარადისო ტანჯვა-წამება! შეხედეთ, როგორ ბურბურებს ცეცხლი! როგორ ვიწვი. განვედი ჩემგან, სატანავ!

ჩვენება მქონდა, რომ ვეწიე სიკეთეს და ბედნიერებას, ხსნა ამაშია. შევძლებ, აღვწერო ეს ზმანება, თუმცა სივრცე ჯოჯოხეთისა ვერ ჰგუობს ხოტბას! მილიონობით თვალწარმტაცი ქმნილება იყო, სასულიერო კონცერტი და ტკბილხმოვანება, სიძლიერე და სიმშვიდე, კეთილშობილური სწრაფვანი, კიდევ რა ვთქვა?

კეთილშობილური სწრაფვანი!

ისევ და ისევ ვცოცხლობ! — დიახ, ტანჯვა-წამება სამარადჟამოა! კაცი რომ თავის თავს გაიმეტებს, სამარადისოდ შეჩვენებულია, ასე არ არის? მგონი, უკვე ჯოჯოხეთში ვარ, სწორედ იქა ვარ. კატეხიზმოს დოგმებს მივყვები. მონა ვარ ჩემივ ნათლობისა. მშობლებო ჩემო, მეც შავ დღეში ჩამაგდეთ და თქვენივე თავიც. საბრალო უმანკო! ჯოჯოხეთი ულმერთოებს ვერაფერს აკლებს. — სიცოცხლეს განვაგრძობ! მოგვიანებით შეჩვენებით მოგვრილ სიამეთ უფრო და უფრო ღრმად შევიგრძნობთ. ჩქარა, ჩქარა დანაშაული, რათა აღსრულდეს ადამიანური კანონი და მე ვიქცე არარაობად.

ჩუმად, ჩუმად იყავი-მეთქი!.. აქ შერცხვენაა, გაკიცხვაა: სატანა ამბობს, რომ ცეცხლი შემზარავია, ჩემი რისხვა კი მეტისმეტად სულელურია. — კმარა!.. როცა სიცრუეს, მაგიურ აზრებს, საეჭვო სურნელს, ყმაწვილურ ჰანგებს ჩამაგონებენ... — ვიტყვი, რომ ვფლობ ჭეშმარიტებას, რომ ვჭვრეტ სამართლიანობას: ისეთი სალი და ურყევი განსჯა მაქვს — მზად ვარ სრულქმნილებისთვის. სიამაყე! — თავის კანი მიხმება. შემიწყალეთ! უფალო, შიშმა დამრია ხელი! მწყურია, ისე ძალიან მწყურია! აჰ! ბავშვობა, ბალახი, წვიმა, ტბა ქვიანი სანაპიროთი, მთვარის შუქი, როცა სამრეკლო თორმეტჯერ რეკდა... ამ დროს ეშმაკი სუფევს სამრეკლოსთან. მარიამ! წმინდა ღვთისმშობელო!.. — რა საშინლად ბრიყვი ვარ.

იქით, ქვემოთ, ხომ მართალი სულები ჩანან, ჩემთვის რომ მხოლოდ კეთილი სურთ. მოდით... პირზე ბალიშს მაფარებენ, არ ესმით ჩემი, მოჩვენებები არიან. თან სხვაზე არასოდეს არავინ ფიქრობს. ოღონდ არ მომიახლოვდეთ. დამწვრის სუნი მაქვს, მართლაც ასეა.

ურიცხვი ჰალუცინაციაა. ეს ყოველივე მუდამ თან მდევდა: გაქრა რწმენა ისტორიისა, პრინციპებიც გადავივიწყე. ამაზე სულ დავდუმდები. შემშურდებოდათ პოეტებსა და ვიზიონერებს. მე ხომ ათასჯერ უფრო მდიდარი ვარ, ვიყოთ ზღვასავით ხელმომჭირნე.

აჰა ესეც! ეს-ესაა შედგა ჟამი ცხოვრებისა. აღარ ვარ ქვეყნად. — სერიოზული მოვლენაა თეოლოგია, ჯოჯოხეთი, რა თქმა უნდა, ქვემოთაა, ზემოთ კი — ზეცა. — აღტკინება, კოშმარი, თვლემა ცეცხლთა საბუდარში.

რაოდენი მზაკვრობაა სიფრთხილეში ყოველ ნაბიჯზე...სატანა ფერდინანდი ნავარდობს და ღვარძლს აფრქვევს... იესო დადის მაყვლის მეწამულ ბუჩქებზე ისე, თითქოს არც კი ეხებაო... იესო აღელვებულ წყალზეც დადიოდა. შუქურას სინათლეზე დავინახეთ, ზურმუხტისფერ ტალღაზე იდგა სულ მთლად თეთრი, ყავისფერი კულულებით...

მე ჩავწვდი ყოველ საიდუმლოს: იდუმალებას რელიგიისა თუ ბუნებისა, სიკვდილსა თუ დაბადებას, მომავალს, წარსულს, კოსმოგონიას, არარსებობას. მე ხომ ფანტასმაგორიის დიდოსტატი ვარ.

მისმინეთ!..

მე ვფლობ ყოველგვარ ნიჭს! — აქ არვინაა და არის კიდეც ვიღაც: არ მინდოდა, ტალანტი ჩემი სააშკაროდ გამომევლინა. — ზანგურ ჰანგებს ხომ არ ისურვებთ ან ჰურიათა ცეკვების ხილვას? ან იქნებ გინდათ, გავუჩინარდეთ, ჩავყვინთოთ ბეჭდის საძიებლად? გნებავთ? მე შევქმნი ოქროს, სხვადასხვა წამალს.

ირწმუნეთ ჩემი. რწმენა ნუგეშს გვგვრის, გზას გვიჩვენებს და გვაჯანსაღებს. მოდით სულ ყველა, პატარებიც, — რომ დაგამშვიდოთ, გული მოგიძღვნათ, — ეს გული ჯადოსნური! — საბრალო ადამიანებო, მაშვრალნო! არ შეგთხოვთ ლოცვას; მხოლოდ და მხოლოდ თქვენი ნდობა მომანიჭებს ბედნიერებას.

— ვიფიქროთ ჩემზე. ასე ძალიან აღარ დამწყდება გული ამქვეყნიურობაზე. ბედის წყალობით ბოლო მოეღო ტანჯვა-წამებას. ცხოვრება ჩემი გაილია მხოლოდ უწყინარ სიშლეგეებში, სამწუხაროა.

მეტად და მეტად დავნაღვლიანდეთ.

ჩვენ ნამდვილად აღარა ვართ ამქვეყნიური. აღარც ბგერა არავითარი. გაქრა შეგრძნებაც ყოველგვარი. ოჰ! ჩემო კოშკო, ჩემო საქსონია, ჩემო ძეწნებო. საღამოებო, დილებო, ღამეებო და დღეებო... დაქანცული ვარ!

უნდა მრგებოდა ჩემი ჯოჯოხეთი მრისხანებისთვის, ჯოჯოხეთი სიზვიადისთვის, — ჯოჯოხეთი ვნებათაღელვისთვის; მთელი კონცერტი ჯოჯოხეთური.

დაღლილობამ გამასავათა. აი, სამარეც. ჭიაღუას კერძი ვარ, რა საშინელებაა! სატანავ, ფარისეველო, გსურს, რომ გამხრწნა მაგ თილისმებით. გემუდარები, გემუდარები! ერთი დაკვრა ფიწლისა, მცირე ალი ცეცხლისა.

ოჰ! კვლავ სიცოცხლე უნდა განვაგრძო! უნდა ვუყურო ჩვენს სიმახინჯეს.

და ეს სამსალა, ეს ათასგზის კრული ამბორი! ჩემი სისუსტე და სამყაროს ულმობელობა! უფალო ღმერთო, შემიწყალე და დამიფარე, მე, გატანჯული! — თითქოს მიფარავ და არც მიფარავ.

ჩაღდება ცეცხლი და იწვის მასში შეჩვენებული.

## ბოდვები

## II

## ნაწყვეტები

## სიტყვათა ალქიმია

ახლა კი ჩემზე. ერთი ამბავი ჩემი სიშლეგეებიდან.

დიდი ხანია, ვტრაბახობდი, რომ მოვიხელთე ყველა შესაძლო პეიზაჟი და სასაცილოდ მეჩვენებოდა მხატვრობისა თუ თანამედროვე პოეზიის განთქმული სახელები.

მომწონდა კარზე გამოსახული იდიოტური ნახატები, დეკორები, შარლატანების ტილოები, აბრები, უბრალო გრავიურები; მოდიდან გასული ლიტერატურა, ეკლესიების ლათინური, ორთოგრაფიულად გაუმართავი ეროტიკული წიგნები, ჩვენი წინაპრების რომანები, ჯადოსნური ზღაპრები, ბავშვობის მომცრო წიგნები, ძველი ოპერები, სულელური რეფრენები, გაუწაფავი რიტმები.

მეზმანებოდა ჯვაროსანთა ლაშქრობები, მოგზაურობა აღმოჩენებისთვის, რომელიც ჯერ არავის აღუწერია, უისტორიო რესპუბლიკები, სულშემხუთველი რელიგიური ომები, ზნეობრივი რევოლუციები, რასებისა და კონტინენტების მოძრაობა; მჯეროდა ყოველი გრძნეულებისა.

მე გამოვიგონე ხმოვანთა ფერები! — ა შავი, ე თეთრი, ი წითელი, ო ლურჯი, უ მწვანე, — მე მოვხაზე თითოეული თანხმოვნის ფორმა და მიმოხვრა და ინსტინქტური რიტმებით ვცადე, შემეთხზა ახალი პოეტური ენა, ალბათ, დღეს თუ ხვალ გასაგები ყოველი გრძნობით. ეს ენა მხოლოდ მე ვიცოდი.

თავდაპირველად იყო სწავლა-ძიება. ვიწერდი სიჩუმის, ღამეების ხმებს, ვცდილობდი გამოუთქმელის გამოხატვას, ყოველი გრძნობათღელვის მოხელთებას.

•

პოეტური სიძველეებიც საკმაოდ იყო ჩემს სიტყვათა ალქიმიაში.

ჩემთვის ჰალუცინაციები ჩვეულებრივი მოვლენა გახდა. ქარხნის ნაცვლად ცხადად ვხედავდი მეჩეთს, დაფდაფების სასწავლებელში ანგელოზებს, ცისთავანზე ეტლების სრბოლას, ტბის სიღრმეში სალონს; ურჩხულები, იდუმალი არსებები; ვოდევილის სათაური თვალწინ საშინელებებს აღმიძრავდა.

მერე კი ამ ჯადოსნურ სოფიზმთა ახსნა სიტყვათა ჰალუცინაციაში ვპოვე!

ბოლოს წმინდათაწმინდად მეჩვენა ჩემი გონებრივი ქაოსი. მოხეტიალე შემიპყრო მწვავე ციებ-ცხელებამ: შევნატროდი ცხოველთა ნებიერ ყოფას, — მუხლუხოჭიებს, სამოთხის კარის სისპეტაკეს რომ გამოკვეთენ, თხუნელებს, უმანკო ძილ-ბურანს.

ცუდ გუნებაზე ვდგებოდი. სამყაროს ვემშვიდობებოდი ჩემებური რომანსებით...

## დილა

განა მე არ მქონდა ოდესღაც საამო, გმირული, ზღაპრული ყრმობა, ოქროს ფურცლებზე დასაწერი? ბედმა ძალიან გამილიმა! ნეტავ რომელი დანაშაულის, ან რომელი შეცდომისათვის დავიმსახურე ეს უძლურება?თქვენი კი, ვინც ფიქრობთ, რომ ცხოველები ქვითინებენ ხოლმე ჯავრისგან, რომ სნეულები იმედს კარგავენ, რომ მკვდრებს ავი ზმანებები აქვთ, სცადეთ, გადმოსცეთ ჩემი დაცემა და ძილ-ბურანი. მე კი ვერა და ვერ ავხსენი საკუთარი თავი, მხოლოდ მათხოვრად ვიქეცი და გამუდმებით ვიმეორებ „მამაო ჩვენოსა" და „ავე მარიას". ლაპარაკიც გადამავიწყდა.

თუმცა ამჟამად, მგონი, გასრულდა ჩემი ჯოჯოხეთი. მართლაც რომ ჯოჯოხეთი იყო, ძველთუძველესი, რომლის ბჭენიც ადამის ძემ შეაღო.

# არტურ რემბო

## დილა

დასასრული

ისევ იმ უდაბნოდან, იმგვარსავე ღამეში, კვლავაც ვახელ დაქანცულ თვალებს ვერცხლისფერი ვარსკვლავის კიაფით, ისევ ძვრა ვერ ვუყავი ამ ცხოვრების მეუფეთ, სამ გრძნეულს: გულს, სულსა და გონებას. ნეტავ როდის გადავივლით ქვიშნარებსა და მაღლობებს, რომ მივესალმოთ ახალი ქმნილების შობას, ახალი სიბრძნის დაბადებას, ტირანების და დემონების გადახვეწას და დასასრულს ცრურწმენისა, რომ თაყვანი ვცეთ — პირველებმა! — შობაა დედამიწაზე!

ზეცათა ჰანგი, ხალხთა მსვლელობა! მონებო, ნუ შევაჩვენებთ სიცოცხლეს.

## დამშვიდობება

უკვე შემოდგომაა! — რაღად ვინატროთ მარადი მზე, თუ ღვთიური ნათლის შეცნობას ვცდილობთ. შორს იმ ხალხისგან, ბოლოს რომ ულევს დროთა მსვლელობა.

შემოდგომაა. უძრავ ნისლებში ჩაძირული ჩვენი ნავი მიექანება უბედურების ნავსაყუდელში, ცეცხლითა და ტალახით დასვრილ ვეებერთელა ცის ტატნობისკენ. ოჰ! მყრალო ძონძებო, წვიმისაგან დამბალო პურო, თრობავ, ათასო ვნებავ სიყვარულისა, ჯვარზე რომ მაცვით! ნუთუ არასდროს დამთავრდება ამ ვამპირის მბრძანებლობა, ის მფლობელია ათასობით მიცვალებულის სულის და ხორცის, განკითხვის ჟამს რომ ელიან! კვლავ მეჩვენება, რომ კანი მაქვს ამოჭმული ტალახისგან და წყლულებისგან, ჭიებით კი სავსე მაქვს თმები და იღლიები, გულს მიხრავენ უფრო და უფრო დიდი ჭიები, გაშოტილი ვარ უგრძნობელ და უასაკო უცნობთა შორის... შემეძლო კიდეც იქ მოვმკვდარიყავ... საშინელი მოგონებაა! მზარავს ეს სატანჯველი.

შიშს მგვრის ზამთარი, ის ხომ კომფორტის დროა!

— დროდადრო ცაზე ვლანდავ ქვეყნებს დაუსაბამოს, ნათლითმოსილი, სიხარულით მოცული ადამიანებით. ჩემს ზემოთ ვეება ოქროს ხომალდი დილის ნიავზე აფრიალებს ჭრელ ბაირაღებს. მე დავუდე დასაბამი ყოველგვარ ზეიმს, გამარჯვებას, ყოველგვარ დრამას, ვცადე, აღმომეჩინა ახალი ყვავილები, ახალი მნათობები, ახალი სხეულები, ახალი ენები. მეგონა ზებუნებრივ ძალას ვფლობდი. ასე მეგონა! ახლა კი უნდა დავასამარო წარმოსახვაც და მოგონებანიც! მომხიბლავი დიდება ხელოვანისა და შთაგონებული შემოქმედისა!

ეს მე ვარ! მე ვარ, თავს რომ ხან მოგვად, ხან ანგელოზად ვსახავდი ხოლმე, ყოველგვარი მორალისგან განძარცვული, ძირს განრთხმული, რათა ვეძიო და ულმობელ სინამდვილეს ჩავებღაუჭო! გლეხი ვარ!

ეგებ მოვტყუვდი? ეგება ჩემთვის შეწყალება სიკვდილის დობილად ქცეულიყო?

ბოლოს და ბოლოს მიტევებას გთხოვთ იმისათვის, რომ სიცრუით ვიკვებებოდი. ახლა კი გზას გავუდგეთ.

არცერთი ხელი, მეგობრული! სად ვპოვო შვება?

•

დიახ, ახალი დროება ჩემთვის მეტად მკაცრია.

რადგან შემიძლია ვთქვა, რომ გავიმარჯვე: კბილთა ღრჭიალი, ცეცხლის ტკრციალი, სნეულთ ვაება ყუჩდება. ინავლებიან უამური მოგონებანი. ქრებიან ჩემი საბოლოო მწუხარებანი, — შეშურდეთ გლახაკებს, ავაზაკებს და სიკვდილის თანამოძმეებს, ყველა ჯურის უპოვარს. — შეჩვენებულნო, შურს ვიძიებდი განა საკუთარ თავზე?!

უნდა იყო სრულიად თანამედროვე.

არავითარი ხოტბა-დიდება: მყარად გადადგი ყველა ნაბიჯი. მძიმე ღამეა!

სახეზე შემხმარ სისხლს ორთქლი ასდის, უკან კი სხვა არაფერი მაქვს ამ საშინელი ჩირგვის გარდა!.. სულიერი ბრძოლა ისევე მძაფრია, როგორც კაცთა შორის ამტყდარი ომი; ოღონდ მხოლოდ უფალი ჭვრეტს ჭეშმარიტებას.

უკვე წინა დღეა. ვცნოთ ყოველგვარი მდინარება ძალისა და ნამდვილი გრძნობის. განთიადისას, საოცარი მოთმინებით აღჭურვილნი, შევალთ კაშკაშა ქალაქებში.

რას ვამბობდი მეგობრულ ხელზე! მშვენიერია, ახლა ვიცინებ განვლილ, ამაო სიყვარულებზე და ამ წყვილთა სიყალბეს ვამხელ, — იქით ვიხილე ქალთა ჯოჯოხეთიც — და მაქვს ნება, სულიერად და სხეულებრივად დავეუფლო ჭეშმარიტებას.

*თარგმნა ქეთევან კოკოზაშვილმა*



*არზუ ქარადაღი დაიბადა 1979 წელს თურქეთში, პულუმურში. დაამთავრა ულუდაღის უნივერსიტეტი. იბეჭდება სტუდენტობიდან. არის ათობით წიგნის ავტორი. მიღებული აქვს პრესტიჟული ჯილდოები პოეზიის დარგში. არზუს ლექსები ითარგმნა 2020 წელს „მთარგმნელთა კოლეგიის" ეგიდით, რომელსაც ხელმძღვანელობდა ალექსანდრე ელერდაშვილი. აღნიშნული თარგმანები შესულია თურქული პოეზიის ანთოლოგიაში, მოგვიანებით ნინო მოდრეკილაძის თარგმანები დაიბეჭდა ჟურნალ „ხორნაბუჯში".*

*გთავაზობთ არზუ ქარადაღის ახალი ლექსების ახალ თარგმანს.*

# არზუ ქარადაღი

### ფარდა

ჩვენი სამეზობლოს
ქალები
გადიან ტროტუარზე
და სახლების ჩრდილში ჩამომსხდარნი
საღამოს ელოდებიან.
ვინ იცის, რა ტკივილებს ფარავენ,
ან რა დარდზე საუბრობენ...
ბავშვები კი იქვე, კარნინ,
შუა ქუჩაში ბეტონზე
თამაშობენ...
ვინ იცის, რას დღესასწაულობენ,
რა სიხარულის ყიჟინა აქვთ...
შევყურებ ღია ფანჯრებს და
ვიცი,
ვინ რატომ ჩამოაფარა ფარდა.

### უთოვლო ვერხვი

ნადი,
დამტოვე
დანგრეული ქალაქის მზერით,
ხელებზე — არეული ამინდით,
მყიფე წინადადებებით,
სანამ იისფერი გაქრება,
სანამ სავსე მთვარე ყელს ჩამწვავს.
ნადი,
დამტოვე უფერული ოცნებებით,
ტყუილი ნავსაყუდელით,
ვნებიანი სიყვარულის
უსასრულო ლოდინის კალენდრით,
სანამ მოთოვს და ვერხვი დაიზნიქება,
სანამ ჩემს გონებაში ჭეშმარიტებაა...
ნადი, იპოვე ზღაპრები ბედნიერი დასასრულით
და
ვაშლის სურნელოვანი საღამოებით.
წასვლა შენთვის მშობლიურია,
დარჩენა დააჭკნობს მთებსა და მდინარეებს.

### დავუშვათ, რომ

დავუშვათ, რომ
დაგავიწყდა სახელები, იდენტობები,
ანდა,
უდაბნოს მძეინვარე ხანძარს
გადარჩენილი
ყველა სახე ერთნაირია,
შეძლებ, თვალებით ამომიცნო?..
დავუშვათ, რომ
გარდასული დღეები
კუნაპეტ ღამეებად იქცნენ
და შენი გარდასული სიყვარულები
ერთმანეთში გადაიხლართნენ.

### ქვიშაზე დაწერილი

შენ მიატოვე მთა და ზღვა
და ვერ ივიწყებ,
როგორ ბანაობდი
ხის ქოშებიან ბოშებთან ერთად,
გწყუროდა სიყვარული
და სიცოცხლე.
შენ მიატოვე გზა და
ნაბიჯ-ნაბიჯ გაზომე ნაპირი,
გესმოდა ტალღების ქართან ჩურჩული,
მაგრამ გსურდა, გაგეგო
როგორ იცხოვრო...
რადგან კლდეებზე ცოცვა, ან
ზღვაში ცურვა არ არის საკმარისი იმისათვის,
რომ მონაწილეობა მიიღო
ცოცხლად ყოფნის სიხარულში,



თუნდაც შუბლი ცას მიაბჯინო,
გული თუ ვერ ხედავს მზეს.

### ქალები

მოსავენ სიკვდილს სიბნელის ქვები,
ცის საშვილოსნო აჩენს შავ ღრუბლებს,
ქალები საუბრობენ სხეულის ენით,
ზრდიან ბავშვებს და რწყავენ გაზაფხულებს...
და ვიდრე ბავშვები იბუტებიან,
ვიდრე მზე მათ კულულებს დაეძებს,
ქალები სარკეებს მიუსხდებიან,
კისერზე ივარცხნიან გაზაფხულებს.
სარკე, დაუნდობელ დროის ანარეკლი,
უმოწმებს ქართა ნაკვალევს,
ქალები მშვიდად ადგებიან,
კიდებენ ფარდების გაზაფხულებს.
ქალები — მივიწყებული კოცნების
ბედნიერი მოგზაურები.

### ატირებული ქალაქის ლექსი

ეს გარიყული ქალაქი
იტანჯება მშიერი შვილების გამო,
მათი დაკარგული ნაბიჯებისთვის,
ყველაფერს დასტირის:
მთავრობას,
უსიყვარულობას,
უსამართლობას...
მიილტვის უსასრულო კაცთმოყვარეობისკენ.
ეს ქალაქი დასტირის შიშვლად სიკვდილს,
დაცლილი სახლების სახურავებს,
დასტირის ჭვარტლიან ლურჯ ცას,
დასტირის უყვავილო ეზოებს,
აგურისფერ სასოწარკვეთილებას.
ეს ქალაქი დასტირის მთელ კონტინენტს,
ტროტუარებზე ჩავლილ ყალბ სახეებს.
თავის არსებობას,
ქალების ჩაშავებულ თვალებს,
სხეულებს,
ტირის დილიდან საღამომდე.
ქალაქი ტირის უსამართლობაზე,
ტირის ცოდვილი ხალხისთვის.

### რასაც მზე უჭირავს

ეს შენთვის იყო:
დილის თენება,
ყვავილთა ზვრები,
ბოლოკაბები,
ბაზარი,
ქალები — სიხარულის შემგროვებლები.
ეს შენთვის იყო:
ფეხშიშველი ქუჩის ბავშვები
ჯიბეში ფერადი ოცნებებით.
ეს შენთვის იყო:
სისხამზე ვინც ლილაკს ჩართავდა,
უკანასკნელი კეტავდა კარს,
მორიგე ცვლაში,
რიჟრაჟებზე გალვიძებული მემანქანე,
შავი მუშები.
ეს შენთვის იყო:
სინათლის გამყიდველები,
გზის გამხსნელები,
მესაფლავეები...
შენს ძარღვებში
კი სისხლი ჩქეფდა სამყაროს აზრი,
ღამლამობით იმედს მარხავდი,
დილაობით გამოაჩენდი.

*თარგმნა ნინო მოდრეკილაძემ*

ლიტერატურული გაზეთი
საქართველოს კულტურისა
და სპორტის სამინისტრო
საქართველოს მწერალთა სახლი

რედაქტორი ირაკლი ჯავახაძე
რედაქტორის მოადგილე უჩა შერაზადიშვილი
ჟურნალისტი თამარ ჟურული

მობ. ტელ.: (577)742277; (599)269852; e-mail: litgazeti@yahoo.com

ISSN 2346-7940